ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

19 აპრილი სამშაბათი 2016
№ 076 (14 810) ფასი 1 ლარი

ვინ როგორ დაისჯება?

საპოვნელას დირექტორი

...ზუგდიდს სტადიონს უშენებენ და იქნებ, ამხელა ფულის დახარჯვის შემდეგ მისი ლიგიდან გავარდნა გარკვეულ წრეს არც აწყობს?..



ნარიაშვილის სიმბოლური, ასეიშვილის ლელო

ქართული სარაგბო ლეგიონის ამბები

14

ოქრომ ოქრო უნდა მოიგოს

ევროპის ჩემპიონ

ლაშა ტალახაძეს

ქომაგები რიოში მის წარმატებაზე ფიქრით დახვდნენ

გიორგი ასანიძე, მწვრთნელი

რიოს ოლიმპიადაზე ლაშას ფავორიტობა უფრო

გამოიკვეთა

სიუჟეტი გამძაფრდა

ინგლისური დეტექტივის ბოლო ფურცლები

9

ჯეიმი ვარდი განაჩენს ელის

ტოტენჰემს ლესტერამდე 5 ქულა აშორებს

7

ვინ როგორ დაისჯება?

საპოვნელა სამართალს ეძებს:

თითქმის გავარდნილები ვართ და ხელს მაინც ნუ შეგვიწყობენ

დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის წევრები შეიკრიბებიან და XXV ტურში მომხდარ ინციდენტებზე იმსჯელებენ. მათი ყურადღება ორმა მატჩმა მიიქცია - მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე თბილისის „ლოკომოტივისა" და მარტვილის „მერანის" შეხვედრაში ვითარება ბოლოსკენ დაიძაბა: სტუმართა გოლის დროს „ლოკომოტივის" მწვრთნელ **ჟერარ სარაგოსას** კონფლიქტი მოუვიდა მოწინააღმდეგის სამწვრთნელო შტაბისწარმომადგენელთან. გაწევ-გამოწევა მატჩის დასრულების შემდეგ კიდევ უფრო გამძაფრდა და მხარეები მხოლოდ სტადიონის დაცვამ დააშოშმინა.

საპოვნელა-ზუგდიდი. თერჯოლელები არბიტრის გადაწყვეტილებას აპროტესტებენ
ფოტო სკ საპოვნელას ფეისბუქის გვერდიდან

დისციპლინარები ქობულეთის „შუქურასა" და გორის „დილას" მატჩის დროს მომხდარზეც იმსჯელებენ. არბიტრმა **ბაკურ ნინუამ** სათადარიგოთა სკამიდან სტუმართა მთავარი მწვრთნელი **უჩა სოსიაშვილი** გააძევა.

მაგრამ ყველაზე ხმაურიანი ინციდენტი მოხდა ზესტაფონში, სადაც თერჯოლის „საპოვნელამ" „ზუგდიდს" უმასპინძლა. აუტსაიდერთა პრინციპული მატჩი 2:2 დასრულდა, რაშიც, თერჯოლელთა აზრით, დიდი როლი არბიტრ **გიორგი ყრუაშვილს** მიუძღვის. როგორც ამბობენ, მან „საპოვნელა" დაჩაგრა. უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლმა თერჯოლელებმა მნიშვნელოვანი ქულები დაკარგეს.

„რაც მსაჯებმა ჩვენ გაგვიკეთეს, ძალიან მოულოდნელი იყო. შეხვედრის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო კომიტეტმა მატჩზე ხუთი არბიტრი გამოაგზავნა. მეგონა, თამაშს ობიექტურად განსჯიდნენ, მაგრამ იმედები გამიცრუვდა. მერე გამახსენდა, მატჩის წინ ერთ-ერთ ინტერნეტგაზეთში გამოქვეყნებული წერილი, რომ „ზუგდიდი" ამ თამაშს მოიგებდა. მაინტერესებს, ამას რა ინფორმაციის საფუძველზე წერდნენ? ასეთი „რასკლადი" იყო? ეს დ ა თ ა - მ ა შ ი ს დროს მომ-ხდარი ამბები მა-ფიქრებს - რა ხდება ასეთი ჩვენს თავს? მით უფრო, რომ თამაშის დროს ჩვენ არ ჩაგვითვალეს გიორგი მაკარიძის მიერ გატანილი ნაღდი გოლი. მალე გიორგი ბიბილეიშვილი საჯარიმოში წააქციეს და პენალტი ვერ გაიმეტეს, მაშინ, როცა ამას უცებ ჩვენს კარში დანიშნული 11-მეტრიანი მოჰყვა და ანგარიში 2:2 გახდა. მანამდე, იგივე მაკარიძე საჯარიმოში მოცელეს და პენალტის ნაცვლად, მხოლოდ ჯარიმა დაგვინიშნეს. ამ დროს, ჩვენი ფეხბურთელი საჯარიმოში წააქციეს და არა მის გარეთ და ეს ყველამ ცხადად ნახა", - ამბობს „საპოვნელას" დირექტორი **მირიან გეწაძე**.

საპოვნელას დირექტორი

...ზუგდიდს სტადიონს უშენებენ და იქნებ, ამხელა ფულის დახარჯვის შემდეგ მისი ლიგიდან გავარდნა გარკვეულ წრეს არც აწყობს?..

მას არ სურს „შეთქმულების თეორიებით" მსჯელობა, თუმცა გარკვეული ვარაუდები გააჩნია:

„მომხდარში ფედერაციას არ ვადანაშაულებ. მაგრამ მეორე მხრივ, ისე გამოდის, რომ „ზუგდიდს" სტადიონს უშენებენ და იქნებ, ამხელა ფულის დახარჯვის შემდეგ მისი ლიგიდან გავარდნა გარკვეულ წრეს არც აწყობს? ეს იმ დროს, როცა ჩვენ ლიცენზირების პროცესი გავიარეთ და იმედია, ეროვნულ ჩემპიონატში თამაშის უფლებას მივიღებთ. თუმცა „საპოვნელას" სტადიონი მოსაწესრიგებელია და იქნებ, ასეთი გუნდი უმაღლეს ლიგაში არც სჭირდებათ? ვიმეორებ, ამის დაჯერება არ მინდა, მაგრამ ფაქტია, რომ უშუალო კონკურენტ „ზუგდიდთან" დავიჩაგრეთ. მჯერა, ამ მატჩის მსაჯობას ფედერაცია სათანადოდ შეაფასებს, მაგრამ ჩვენ პენალტი „დინამოსთანაც" დაუმსახურებლად დაგვიდეს და ქულა წაგვართვეს, ახლა კი, მოგების ნაცვლად, მხოლოდ ერთ ქულას დაგვაჯერეს და მსაჯის დასჯას ჩვენთვის რაღა აზრი აქვს, ამ სამ ქულას ვინმე დაგვიმატებს? მეც ვიცი, რომ რეალურად, უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი თითქმის აღარ გვაქვს. მაგრამ ერთი სათხოვარი გვექნება - ამაში ხელს მაინც ნუ შეგვიწყობენ".

სცენეს თუ არა მსაჯები თამაშის შემდეგ? გავრცელდა ინფორმაცია, რომ ისინი მოედნის დატოვებას დიდხანს ვერ ახერხებდნენ და, თითქოს, თამაშის დასრულების შემდეგ მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. გეწაძეს ამ ინციდენტზეც ვკითხეთ:

„ხალხი გამწარებული იყო და თამაშის შემდეგ აღშფოთებას ვერ მალავდა. მაგრამ მე გასახდელამდე ვერ მივაღწიე, რადგან სტადიონის დაცვამ იქამდე არც მიმიშვა - თურმე, კლუბის დირექტორს ამის უფლება არ მქონდა. ამიტომ, მე ვერ დავინახე, იქ რა მოხდა და მსაჯებს ვინმემ დაარტყა თუ არა".

იურაი იარაბეკი
ფოტო fcdinamo.ge

იურაი იარაბეკი

არ მესმის, რა არის გასაკვირი ამ გადაწყვეტილებაში?!

სლოვაკი სპეციალისტის დასკვნა: გვაკლია აგრესია, გვჭირდება გაძლიერება

ბოლო უქმეებზე თბილისის „დინამომ" საჩხერის „ჩიხურასთან" 0:1 წააგო და უშუალო მდევარ „სამტრედიას" სხვაობის შემცირების შანსი მისცა. თბილისის „დინამოს" მთავარ მწვრთნელ იურაი იარაბეკს ინტერვიუ ამ მატჩის შემდეგ ჩამოვართვით...

სლოვაკ სპეციალისტს ჯერ იმაზე ვკითხეთ, თუ რით იყო გამოწვეული მის გუნდში რამდენიმე წამყვანი მოთამაშის არყოფნა. სხვათა შორის, ამან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და ცხადია, იარაბეკის არგუმენტები საინტერესოა..

- დიახ, რამდენიმე მნიშვნელოვანი ფეხბურთელის გარეშე ვითამაშეთ, რადგან 20 აპრილს იმავე „ჩიხურასთან" სათასო მატჩი გველის. ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი თამაშია და ამის გამო, გუნდის ლიდერები - ამისულაშვილი და იაშვილი დავასვენეთ.

- გელაშვილისა და პარუნაშვილის არყოფნა რაღამ გამოიწვია?

- ორივეს მცირე ტრავმა აწუხებდა და ზედმეტ რისკს მოვერიდეთ. იმავეს ვიტყვი ცინცაძესთან დაკავშირებითაც, რომელმაც სრული დატვირთვით ვარჯიში ახლახან განაახლა. ამ სეზონში თბილისის „დინამოს" მიზანი დუბლის შესრულებაა - ჩემპიონობასთან ერთად, თასის მოპოვებაც გვსურს და არ მესმის, რა არის იმაში გასაკვირი, რომ რამდენიმე ფეხბურთელი დავასვენეთ, რამდენიმეს კი - გავუფრთხილდით? რთულ სეზონში ძალების გადანაწილება ჩვეულებრივი მოვლენაა. წინ ნახევარფინალია და ამისთვის სათანადოდ უნდა მოვემზადოთ.

- თქვენი აზრით, „ჩიხურასთან" წაგების თავიდან აცილება შეგეძლოთ?

- შეგვეძლო, საგოლე მომენტების ნაწილი მაინც რომ გამოგვეყენებინა. პირველ ტაიმში ჩემი გუნდი მომეწონა, აქტიურები ვიყავით და კარგადაც ვუტევდით. რამდენიმე საგოლე შანსი მეორე ნახევარშიც გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. გაიხსენეთ, ჭანტურიშვილმა ბურთი ძელს რომ მოარტყა, ხელსაყრელი მომენტები ჰქონდათ კიტეიშვილსა და კაკაბაძესაც, მეორე ტაიმში კი - ქვილითაიას, ჯიღაურს... გარდა ამისა, საჩხერელებთან 3-5-2 ტაქტიკური სქემა გამოვცადეთ და ის ფეხბურთელები დავტვირთეთ, ვისაც ნაკლები სათამაშო დრო ჰქონდათ. ესეც მიღებული პრაქტიკაა.

- „ტორპედოსთან" მატჩის შემდეგ თქვით, რომ ქუთაისური გუნდი პირველი მეტოქე იყო, რომელმაც თბილისში, ასე ვთქვათ, ფეხბურთი ითამაშა. „ჩიხურაზე" რას იტყვით?

- უნდა ვაღიაროთ, რომ საჩხერელებმაც კარგად ითამაშეს და გვაჯობეს კიდეც. მეორე ნახევარში მეტოქემ საკმაოდ აგრესიული ფეხბურთი შემოგვთავაზა, ჩვენ კი მოედნის ცენტრში უპირატესობა დავკარგეთ, რასაც ბოლო წუთზე დაცვაში უხეში შეცდომა დაემატა და ასე გავუშვით გოლი... მაგრამ, ვიმეორებ - მომენტებით რომ გვესარგებლა, საქმე აქამდე არ მივიდოდა. სამწუხაროდ, ასეთია ფეხბურთის წესი - ვერ გაიტან? დაისჯები!

- საერთოდ, „დინამო" მეორე ტაიმში კონცენტრაციას კარგავს ხოლმე. საჩხერეშიც, თითქოს კარგად გამოიყურებოდით, მაგრამ ბოლო მომენტში გუნდს იგივე დაემართა...

- კონცენტრაციასა და მომენტების რეალიზებაზე მართლაც მეტი გვაქვს სამუშაო. ჩვენ უფრო მეტოქის გოლის შემდეგ ვთამაშობთ მონდომებით. მაგრამ ამჯერად, „ჩიხურამ" 87-ე წუთზე გაგვიტანა და თამაშის შემოსატრიალებლად საკმარისი დრო აღარ დაგვრჩა. ბიჭები კარგად თამაშობენ, მაგრამ ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა აგრესიული თამაშის დეფიციტია.

- ამ შეხვედრაში და, საერთოდ, მეორე წრის მსვლელობისას გამოჩნდა, რომ გუნდს ჰაერივით სჭირდება გაძლიერება - ასეთი თამაშით გუნდი ევროთასებზე შორს ვერ წავა. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

- ვეთანხმები. გაძლიერება მართლაც გვჭირდება. ჩემპიონთა ლიგაში მაღალი სტანდარტია და უკეთესი ფეხბურთი მოგვეთხოვება.

- მოთამაშეთა მიწვევასა და გაძლიერებას აპირებთ?

- დიახ, ასეთი ჩანაფიქრი ნამდვილად გვაქვს.

- ყველაზე პრობლემატურად რომელ რგოლს მიიჩნევთ?

- ახლა ამაზე ლაპარაკს მოვერიდები, ყველაფერი სეზონის შემდეგ გახდება ცნობილი.

- „დინამოში" ზამთრის მოსამზადებელ ეტაპზე მიხვედით. თქვენს მოთხოვნებზე მოსარგებად გუნდს ალბათ მეტი დრო სჭირდება...

- რა თქმა უნდა, საამისოდ მინიმალური დრო მქონდა. მაგრამ ჩვენს მოთხოვნებს ფეხბურთელები ნელ-ნელა ეგუებიან და ითვისებენ.

გვერდი მოამზადა
მერაბ მამულაშვილმა

ევრო 2017

ესპანეთსა და ჰოლანდიას ველოდებით, ინგლისიც სათვალავშია

ყიფიანი ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას 18-წლამდელებით იწყებს

ცნობილია, რომ 19-წლამდელთა ევროპის 2017 წლის ჩემპიონატს საქართველო უმასპინძლებს. საამისოდ, მზადებას უკვე შეუდგა 18-წლამდელთა ნაკრები, რომლის მთავარი მწვრთნელი გიორგი ყიფიანია. რეალურად, ამ ნაკრების ბაზაზე ჩამოყალიბდება 19-წლამდელთა გუნდი, რომელიც ამ ტურნირში ითამაშებს...

„ახლა პირველად შეიკრიბება 18-წლამდელთა ნაკრები და მეც ამ გუნდში მუშაობაზე გადავერთე. ეს გუნდი მომავალ წელს საქართველოში გასამართავ ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. დიდი დრო არ გვქონდა, მაგრამ სელექციაზე ვმუშაობთ და კანდიდატებს მალე დავასახელებთ. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტ ტურნირზე ვითამაშოთ, კანდიდატები საქმეში ვნახოთ და ოპტიმალურ შემადგენლობაზე ჩამოვყალიბდეთ", - ამბობს **გიორგი ყიფიანი**.

ევროპის მომავალი ჩემპიონატისთვის ეს გუნდი რამდენიმე სერიოზულ ტურნირში გაივლის წრთობას.

„25-29 აპრილს სლოვაკეთის თასზე ვითამაშებთ. გუნდი 20 აპრილს ნაკრების ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე" შეიკრიბება და მზადებას დავიწყებთ, სლოვაკეთში კი 24 აპრილს გავემგზავრებით. ჯგუფში ჩვენი მეტოქეები იქნებიან აშშ, სლოვაკეთი და უკრაინა. მეორე ჯგუფში ითამაშებენ ნორვეგია, მაკედონია, ჩეხეთი და რუსეთი. შემდეგ მეოთხე თამაშიც გველის და მიმაჩნია, რომ გუნდის ჩამოსაყალიბებლად სასარგებლო ტურნირი იქნება. გარდა ამისა, 2 და 4 ივნისს თბილისში ორჯერ შევხვდებით უკრაინას. ტურნირებისთვის დავგეგმეთ სექტემბერიც და ოქტომბერიც. ამ მატჩების დანიშნულება ფეხბურთელების შესაძლებლობების მაქსიმალურად შესწავლა და გუნდის კარგად მომზადებაა".

გიორგი ყიფიანი

ყიფიანის თქმით, ნოემბერში თბილისი ძალიან საინტერესო ტურნირს უმასპინძლებს. საქართველოში ჩამოვლენ ესპანეთი, ჰოლანდია და, სავარაუდოდ, ინგლისიც. მწვრთნელი დასძენს, რომ ნაკრებისთვის კანდიდატებს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, უცხოეთშიც ეძებს:

„უცხოეთში ბევრი უცნობი ქართველი თამაშობს. მათ ჩვენი ანალიტიკური ჯგუფი აკვირდება და თუ ვინმე საინტერესო გამოჩნდება, სიამოვნებით გავსინჯავთ. ელიტრაუნდისთვის „კრასნოდარიდან" მცველის, გოგლიჩიძის მოწვევა გვსურდა, მაგრამ ვერ ჩამოვიდა. რუსეთის ნაკრებში ყიფიანი და მელქაძე თამაშობდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ნაკრებში გამოსვლის სურვილი არ აქვთ, ყოველ შემთხვევაში, ასეა ამ ეტაპზე და არავინ იცის, რა პოზიცია ექნებათ მათ ხვალ და ზეგ".

მხოლოდ დაძაბულობამ იმატა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის XXV ტური ისტორიას ჩაბარდა. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი პირველობის დონე იმატებს. ეგაა, ფინიში ახლოვდება და დაძაბულობაც პიკს აღწევს...

დედა შვილს არ აიყვანდაო...

ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ტურს ვნებათაღელვა არ დაჰკლებია. ჯერ იყო და, „ლოკომოტივი"-"მერანის" მატჩის ბოლოს მოხდა არასასიამოვნო დაპირისპირება, მერე კი ვნებები დუღდა ზესტაფონში („საპოვნელა"-"ზუგდიდი"), სადაც მსაჯებს ფიზიკურად შეეხნენ...

ზესტაფონში ისეთი ამბები დატრიალდა, დედა შვილს არ აიყვანდაო, თვითმხილველები ამბობენ. „საპოვნელას" შემტევმა **გიორგი ბიბილეიშვილმა,** ორი წელი რომ გაუცდა ტრავმის გამო, შესანიშნავი ფლანგური რეიდი განახორციელა. ფირზე ისე ჩანს, რომ ბიბილეიშვილი წესების დარღვევით შეაჩერეს ზუგდიდელთა საჯარიმოში. არბიტრმა **გიორგი ყრუაშვილმა** კი 11-მეტრიანი არ დანიშნა...

„ზუგდიდის" პირველივე კონტრშეტევას უკვე თერჯოლელთა კარში დანიშნული პენალტი მოჰყვა. მერე კი „დავით აბაშიძეზე" მოხდა ის, რაც არ უნდა ხდებოდეს, თუმცა ეს ჩვენი საქმე ნაკლებადაა - ყველაფერში დისციპლინარები გაერკვევიან.

საქართველოს ახალი ჩემპიონის გამოვლენა გადაიდო. „ჩიხურამ" არსებობის ისტორიაში მეორედ მოუგო (იგულისხმება მხოლოდ ჩემპიონატი) თბილისის „დინამოს"...

ლიდერის მდევარმა „სამტრედიამ" კი ერთხელაც გამოავლინა უტეხი ხასიათი და ბოლო წუთებზე სასწაულად შემოატრიალა თამაში „ცხინვალთან" საშინაო მატჩში. მე-15 გოლი შეაგდო **ბუდუ ზივზივაძემ**, ვინც დღესდღეობით მართლაც შესანიშნავ ფორმაშია...

კარგია, რომ არ გამართლდა...

„შუქურა"-"დილას" ქობულეთურ მატჩს თან არაერთი არასასიამოვნო ვარაუდი ახლდა. ბევრი მიიჩნევდა, რომ ამ შეხვედრაში გამარჯვება გორელებს დარჩებოდათ, რომელთაც მეტოქეზე მეტად სჭირდებოდა 3 ქულა.

მავანს ამგვარი ვარაუდის საფუძველს, ალბათ, ის აძლევდა, რომ გუნდებს შორის ძალიან „ახლო" ურთიერთობაა. „დილას" პირველ წრეში რამდენიმე ფეხბურთელი ჰყავდა განათხოვრებული „შუქურაში". ისინი ახლა ისევ გორული კლუბის ღირსებას იცავენ...

საბედნიეროდ, ვარაუდი არ გამართლდა - იყო ბრძოლა და ნაკლებად მოტივირებული „შუქურას" 3 ქულა. „დილას" კი ჯერაც ვერ მოვიხსენიებთ საქართველოს ექსჩემპიონად, რადგან ჩემპიონობის მათემატიკური შანსი ჯერ კიდევ შემორჩა, თუმცა იქ ახლა ამაზე არავინ ფიქრობს. მთავარია, „დილამ" მესამე ადგილი შეინარჩუნოს, რაც ევროპა ლიგაზე მოხვედრის გარანტიაა - აი, ეს არის ახლა გორელთა მთავარი მიზანი.

აქვე ვთქვათ, რომ ამ მატჩის გმირი „შუქურას" 23 წლის ფორვარდი **ელგუჯა ლობჟანიძე** (მის შესაძლო თურქულ ტრანსფერზე მე-5 გვერდზე წაიკითხავთ) გახდა. მას უდავოდ კარგი სეზონი აქვს.

„დილა" კი მშვიდად ვერაფრით იქნება, რადგან **უჩა სოსიაშვილის** გუნდს ზურგსუკან კონკურენტების - „ჩიხურასა" და „სიონის" „სუნთქვა" ესმის.

დუბლები

ისე მოხდა, რომ ჰეთ-თრიკს ამ ტურშიც ვერ ვეღირსეთ. საერთოდ, რაც ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე დაიწყო, დაფიქსირდა მხოლოდ ერთი ჰეთ-თრიკი, რომელიც „საბურთალოს" ლიდერმა **გიორგი ხარაიშვილმა** შეასრულა.

სამაგიეროდ, ვნახეთ დუბლები და უნდა ითქვას, რომ ყველა ამ ფეხბურთელმა კარიერაში პირველად გაიტანა ორი გოლი მოწინააღმდეგის კარში: 24 წლის **ევგენი მოროზენკო** („გურია"), 19 წლის **გურამ გოშთელიანი** („საბურთალო"), 24 წლის **გიორგი ბუხაიძე** („საპოვნელა") და 26 წლის **ლევან წურწუმია** („ზუგდიდი").

XXV ტურის სიმბოლური ნაკრები




ბუდუ ზივზივაძე
ფოტო სკ სამტრედიის ფეისბუქის გვერდიდან

სერიები: ცხინვალი ერთადერთია...

ახლა ვილაპარაკოთ როგორც უიღბლო, ისე იღბლიან სერიებზე. უიღბლოთი დავიწყოთ. მართლაც რთული ასახსნელია, რა სჭირს ბათუმის „დინამოს". აჭარელთა კრიზისს მხოლოდ მოჭარბებული ტრავმებით თუ ავხსნით.

ტური არ გავა, ახალი მწვრთნელი არ გამოჩნდეს ასპარეზზე. ახლაც ასე იყო: „სიონი" **არმაზ ჯელაძემ** გაიყვანა სათამაშოდ, ბათუმის „დინამო" კი - **ლევან ხომერიკმა.** ზღვისპირელთა შედეგებზე მთავარი მწვრთნელის შეცვლა ჯერ არ ასახულა. აჭარლებმა ზედიზედ მეხუთე შეხვედრა წააგეს.

უიღბლო სერია აქვს „ცხინვალსაც". აი, ამის ახსნა კი უფრო იოლია. გუნდს ფინანსურად ძალიან უჭირს და საუკეთესო ფეხბურთელი - **ნიკა კაჭარავა** აღარ ჰყავს. **კახა კაჭარავას** გუნდი მეორე წრეში ერთადერთია, რომელსაც გამარჯვების სიტკბო არ უგრძვნია.

აღმავლობის გზაზე დგას „საბურთალო". მას შემდეგ, რაც გუნდის სათავეში **პაბლო ფრანკო მარტინი** მივიდა, ამ ახალგაზრდულ კრებულს თამაში არ ნაუგია. ეს სერია უკვე 6 მატჩს მოიცავს. არ შეიძლება, „ხეტაფეს" ყოფილ დამრიგებელს მუშაობა არ შეუქო. აქვე შევნიშნოთ, რომ ფოთის „კოლხეთთან" მოპოვებული გამარჯვება (5:0) სარეკორდო იყო ამ გუნდისთვის უმაღლეს ლიგაში.

საბურთალოელები თამაშიდან თამაშამდე უმატებენ და ეს გვახარებს. ამ გუნდის შემადგენლობაში ხომ საქართველოს ახალგაზრდული და ასაკობრივი ნაკრებების არაერთი ფეხბურთელი თამაშობს...

დებიუტანტები

ტური რამდენიმე ფეხბურთელისთვის დაუვიწყარი იქნება. სწორედ გასულ უქმეებზე ჰქონდათ დებიუტი **გურამ სირაბიძეს** („დინამო" ბთ), **ალეკო გამყრელიძეს** („დილა"), **ილია შენგელიასა** და **ნიკოლოზ გაბრიჭიძეს** (ორივე - „ცხინვალი").

აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით იღბლიანი დებიუტი გაბრიჭიძეს გამოუვიდა, ვინც „ცხინვალს" გოლითაც შეენია. რა ვუყოთ, რომ ამ გოლმა სამტრედიიდან თუნდაც ქულის წამოსაღებად არ იკმარა...

ალეკო კაკაურიძე

ბურთით მიხეილ სარდალიშვილი
ფოტო სკ ჩიხურას ფეისბუქის გვერდიდან

ჩიხურა

მეთორმეტე მოთამაშის ფაქტორი

სარდალიშვილი ქომაგების მადლიერია, ჰამზიჩმა დინამოზე არაფერი იცის

ივანწმინდაში გამართული ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრაში საჩხერის „ჩიხურამ" ლიდერ თბილისის „დინამოს" უმასპინძლა და 1:0 დაამარცხა. ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა საჩხერელთა შემტევმა ნახევარმცველმა **მიხეილ სარდალიშვილმა**. მან მთელი შეხვედრის განმავლობაში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა - აქტიური და აგრესიული შემტევი მეტოქის მცველებს გასაქანს არ აძლევდა და რამდენჯერმე სახიფათოდაც დაარტყა, ხოლო 89-ე წუთზე არბიტრმა პენალტი სწორედ საჯარიმოში მისი შეჭრისა (ეფექტური ფინტით) და წაქცევის გამო დანიშნა.

„დინამოს" მეკარე **ლიბორ ჰრდლიჩკამ** სარდალიშვილის 11-მეტრიანი კი მოიგერია, მაგრამ დამატებაზე თავად დამრტყმელმა ივარგა და თავისიანებს უზომო სიხარული აჩუქა. ამ გამარჯვების შემდეგ „ჩიხურას" სამეულში მოხვედრის რეალური შანსი გაუჩნდა.

„პირველ წრეში დამაჯერებლად ვერ გამოვიყურებოდით, მაგრამ ზამთრის შესვენების შემდეგ უკეთ ავთამაშდით და სამეულში მოხვედრისა და ევროპის ლიგაზე გასვლის იმედი გაგვიჩნდა. ამ კუთხით, თბილისის „დინამოსთან" შეხვედრას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჩემპიონატის ლიდერის დამარცხება და გადამწყვეტი გოლის გატანა ამიტომაც მიხარია. ჩვენს გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშა მაყურებელმა, რომელიც ივანწმინდაში, რეალურად, ჩვენი გუნდის მეთორმეტე ფეხბურთელია", - ამბობს მატჩის გმირი.

გახარებული იყო „ჩიხურას" მწვრთნელი **სოსო ფრუიძეც**:

„არ არის დასამალი, რომ „დინამოს" ჩემპიონობა, ფაქტობრივად, განაღდებული აქვს და ტიტული ახლავე შეიძლება მივულოცოთ. ამან ჩვენი მოწინააღმდეგის თამაშზე გავლენა მოახდინა. თუმცა, მთავარი, რა თქმა უნდა, ჩვენი ბიჭებისა და გულშემატკივრების შემართება იყო. ფეხბურთელებმა დავალება უნაკლოდ შეასრულეს, ხოლო გულშემატკივრების მხარდაჭერით ამ ურთულესი თამაშის მოგება შევძელით".

სულ რაღაც ორი თვეა, რაც საჩხერელებს ბოსნიელი მეკარე **დინო ჰამზიჩი** შეუერთდა. ბალკანელმა კლასი არაერთხელ გამოავლინა. ის ფეხითაც კარგად თამაშობს, დამაჯერებელია გამოსვლებზეც და კარის ხაზზეც მშვენიერი რეაქცია გამოარჩევს. საჩხერელთა „სპაიდერმენმა" თბილისის „დინამოსთან" მატჩიც უმაღლეს დონეზე ჩაატარა და მაყურებელთა აპლოდისმენტები დაიმსახურა.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ მისით თბილისის „დინამოა" დაინტერესებული, თუმცა ბოსნიელ მეკარეს ამაზე ლაპარაკი არ სურს:

„პირადად არავინ დამლაპარაკებია და საერთოდაც, სეზონის მსვლელობისას ტრანსფერებზე ფიქრი უაზრობაა. მირჩევნია, თამაშებზე ვიყო კონცენტრირებული და არა - გარიგებაზე. ახლა ამის დრო არ არის, რადგან ჩემპიონატი მთავრდება და თამაშებიც სულ უფრო დაძაბულია. თბილისის „დინამოსთან" მატჩი მაინც გამორჩეული იყო. ლიდერთან მოგება ყოველთვის საამაყოა. მაგრამ პირადად ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, რომ 20 აპრილის სათასო შეხვედრისთვის კარგად მოვემზადოთ და ფინალში გავიდეთ. საერთოდ, ყველა ჩემპიონატი სპეციფიკურია. მაგრამ ყველაფერს ვაკეთებ, რომ ქართულ ფეხბურთს შევეგუო და გუნდისთვის სასარგებლო ვიყო".

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონი გუშინ...

კვირკველიამ ტური გამარჯვებით დახურა

რუსეთის პრემიერლიგის XXIV ტურის ბოლო შეხვედრაში ყაზანის „რუბინმა" გასვლაზე 1:0 მოუგო „ურალს". საქართველოს ნაკრების ცენტრალურმა მცველმა **საბა კვირკველიამ** ყაზანელთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა.

პირველ დივიზიონში ხაბაროვსკის „სკა ენერგიამ" შინ 1:0 დაამარცხა „ტომსკი". გამარჯვებულთა რიგებში 90 წუთი დაჰყო მოედანზე **გიორგი ნავალოვსკიმ**, **გიორგი ილურიძე** კი 70-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში.

ამავე ლიგაში „არმავირმა" სტუმრად 0:1 წააგო „სპარტაკის" დუბლებთან. მოსკოველთა შორის ერთადერთი გოლი **გიორგი მელქაძემ** გაიტანა. „არმავირის" შემადგენლობაში კი **ზურაბ არზიანი** 56-ე წუთზე შეცვალა **ირაკლი ჭეჟიამ**. თავის მხრივ, ისიც მოგვიანებით შეცვალეს.

გერმანიის II ბუნდესლიგის გუშინდელ მატჩში („ბრაუნშვაიგი"-"ფრაიბურგი") სტუმართა შორის განაცხადში არ ყოფილა საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **ლუკას ჰუფნაგელი**.

ალეკო კაკაურიძე

ევრო 2016 აპრილში დაიწყება!

პინძელ ყველა სტადიონს, გუნდსა და ფეხბურთელს, გაალამაზე ალბომი უმაღლესი ხარისხით ნაბეჭდი სტიკერებით და მიიღე ევროპის ჩემპიონი ნაკრების მაისურა!

კოლექციონერს შეუძლია, ცალკე შეიძინოს სტიკერების პაკეტები და ალბომში დარჩენილი ცარიელი ადგილები ეტაპობრივად შეავსოს. პაკეტში სტიკერების ხუთი ბლოკი დევს. ალბომში სტიკერისთვის გამოყოფილი თითოეული ადგილი დანომრილია, ისევე, როგორც სტიკერები. შესაბამისად, კოლექციის მფლობელი იოლად მოუძებნის ადგილს პაკეტში მოთავსებულ სტიკერს. სასურველი სტიკერის შეძენა ვებგვერდ www.biblusi.ge-ს მეშვეობითაც შეგიძლიათ...

25 აპრილიდან ფეხბურთის ყველა მოყვარულს შეუძლია (და აუცილებლად მოუნდება!) ევროპის ჩემპიონატის მონაწილე 24 ნაკრებისა და მოთამაშეების სტიკერების შეგროვება. მით უმეტეს, რომ ყველას, ვინც სრულად შეავსებს ალბომს, საჩუქრად გადაეცემა ევროპის 2016 წლის ჩემპიონი ნაკრების მაისურა!

იცოდე, რომ საფეხბურთო ციებ-ცხელება საქართველოში ივნისს არ დაუცდის...

ამაში 25 აპრილიდან დარწმუნდები!

საქართველოს ნაკრები არ თამაშობს 2016 წლის ევროპის ჩემპიონატზე, მაგრამ საქართველოში მაინც ბევრი ელის მოუთმენლად 10 ივნისის საღამოს, როცა პარიზის „სტად დე ფრანსზე“ „ევრო 2016“-ის პირველი მატჩი დაიწყება.

მაგრამ ფეხბურთი მხოლოდ სტადიონი არ არის. და მით უმეტეს, არც – მხოლოდ ტელევიზიით ნანახი თამაში.

ფეხბურთს აჟიოტაჟი სტადიონს მიღმაც უხდება.

მახსოვს, ბავშვობაში როგორ ვაგროვებდით საყვარელი გუნდების და ფეხბურთელების ფოტოებს. საღეჭ რეზინში ამოსული „ნაკლეიკა“ ან ფერადი ჟურნალიდან ამოჭრილი სურათი მაშინ უფრო ძვირად გვიღირდა, ვიდრე თანამედროვე მოზარდებს – Xbox-ის დისკი, ან სოციალურ ქსელში ასობით მოწონება... მაშინ ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატი ჩვენთვის ოფიციალურ გახსნამდე კარგა ხნით ადრე იწყებოდა.

ახლაც ასე იქნება, ოღონდ ახლა შვილებთან ერთად შევაგროვებთ უფრო ხარისხიან და მრავალფეროვან სტიკერებს.

ევროპის 2016 წლის ჩემპიონატი საფრანგეთში 10 ივნისს აიღებს სტარტს. თუმცა, კონტინენტის პირველობა შენთვის აპრილიდან დაიწყება! 25 აპრილიდან საგაზეთო ჯიხურებში, სუპერმარკეტებსა და წიგნის მაღაზიებში გაიყიდება „პალიტრა L“-ის გამოცემული გზამკვლევი და სტიკერების ალბომი, რომელიც ევროპის ჩემპიონატს ეძღვნება. ალბომში გაეცნობით დეტალურ ინფორმაციას „ევრო 2016“-ის მასპინძელი სტადიონების, მონაწილე ნაკრებებისა და ფეხბურთელების შესახებ, ასევე – ევროპის ჩემპიონატების ისტორიას, სხვადასხვა წლის გამორჩეულ მოთამაშეებს, ნაკრებებს და ა.შ.

სხვაზე ადრე შევსების იმედით, დაიწყება სტიკერების გაცვლა-გამოცვლაც: „ინიესტას ზედმეტი სტიკერი მაქვს. გინდა, რონალდუში გაგიცვალო?“ „რონალდუ უკვე სამჯერ ამომივიდა. აი, ბუფონს თუ მომცემ, შემიძლია, ლევანდოვსკი ან ნოიერი დაგითმო“...

ბავშვების ნუ გაგიკვირდებათ.

დღესაც კი, ინტერნეტის ეპოქაში, ბავშვებს ტელევიზორში ან სოციალურ ქსელში ნანახ ბუფონს და ინიესტას ხელშესახები, თავიანთ ალბომში ჩაკრული მათი ფოტოები ურჩევნიათ.

თუმცა, რატომ მხოლოდ ახალგაზრდებს? თუ ფეხბურთი გიყვარს და განსაკუთრებულად ქომაგობ ევროპის რომელიმე ნაკრებს, „პალიტრა L“-ის გამოცემულ უმაღლესი ხარისხის ალბომს გულგრილად ვერც შენ ჩაუვლი...





ნუ დაელოდები 10 ივნისს. მანამდე მოემზადე ევროპის ჩემპიონატისთვის.

მერე რა, რომ საფრანგეთში ვერ მიდიხარ? საქართველოშიც შეგიძლია „პატარა საფრანგეთის“ მოწყობა: შეიძინე გზამკვლევი, გაეცანი ევროპის ჩემპიონატის მასპინძელ ქალაქებს, ეცადე ალბომი ბოლომდე შეავსო, ეცადე ბევრ ადგილას ერთ-ერთ ფანატად ჩაეწერ, ეცადე ბევრ ადგილას ერთ-ერთ ფანატად ჩაეწერ, ეცადე ბევრ ადგილას ერთ-ერთ ფანატად ჩაეწერ...

„სხვაზე ადრე შევსების იმედით, სტიკერების გაცვლა-გამოცვლაც აუცილებლად დაიწყება: – „ინიესტას ზედმეტი სტიკერი მაქვს. გინდა, რონალდუში გაგიცვალო?“ – რონალდუ უკვე სამჯერ ამომივიდა. აი, ბუფონს თუ მომცემ, შემიძლია, ლევანდოვსკი ან ნოიერი დაგითმო“...

შეხვედრა საწვრთნელ ცენტრ ბასაში
ფოტო gff.ge

შეცდომებზეც, პოზიტივზეც...

გეგუჩაძე მწვრთნელებს შეხვდა

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საწვრთნელ ცენტრ „ბასაში" ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი და ასაკობრივ ნაკრებთა სპორტული ხელმძღვანელი **გია გეგუჩაძე** მწვრთნელებს შეხვდა.

შეხვედრა გახსნეს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **კახა ჭუმბურიძემ** და ორგანიზაციის სპორტულ-ტექნიკურმა დირექტორმა **ზაზა ზამთარაძემ**. მათ შეხვედრაზე დამსწრე მწვრთნელებს თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადეს და სამომავლო გეგმებზე ესაუბრნენ.

საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელებმა - **გიორგი ყიფიანმა** და **ვასილ მაისურაძემ** გააანალიზეს 17 და 19-წლამდელთა გუნდების გამოსვლა ამასწინანდელ ელიტრაუნდებში, ისაუბრეს შეცდომებზეც, პოზიტივზეც, მერე მოისმინეს სტუმრების მოსაზრებები.

ამის შემდეგ გეგუჩაძემ ყველა ნაკრების თამაში გაარჩია. ახსნა გარკვეული ტექნიკურ-ტაქტიკური შეცდომები და პასუხი გასცა დამსწრეთა კითხვებს. ამ ყველაფერმა დაახლოებით ორ საათს გასტანა. გეგუჩაძის თქმით, ასეთი შეხვედრები მომავალშიც გაიმართება.

ალეკო კაკაურიძე

მოსალოდნელი ტრანსფერი

ბურთით ელგუჯა ლობჯანიძე

ლობჯანიძე რიზესფორს აინტერესებს?

ჩვენი ინფორმაციით, ქობულეთის „შუქურას" 23 წლის ფორვარდ **ელგუჯა ლობჯანიძის** გადაბირება თურქული სუპერლიგის ბინადარ „რიზესფორს" სურს. ჯერჯერობით, ვერ ვიტყვით, რომ მხარეებს შორის ინტენსიური მოლაპარაკება მიმდინარეობს, თუმცა დაინტერესება ნამდვილად არის და ამას სანდო წყაროზე დაყრდნობით ვამბობთ. სავარაუდოდ, სიტუაციას ნათელი სეზონის დასრულების შემდეგ მოეფინება.

ლობჯანიძე გულშემატკივარმა „ვიტ ჯორჯიიდან" გაიცნო. ბევრი დაგვეთანხმება, რომ საქართველოს ჩემპიონატში მისებრ საინტერესო ფორვარდი დღეს ბევრი არ არის.

„რიზესფორში" კი ამჟამად საქართველოს ნაკრების წევრი **ნიკა ძალამიძე** ირიცხება. დიდი ალბათობით, სეზონის დასრულების შემდეგ ის გუნდს დატოვებს და პოლონეთში დაბრუნდება, სადაც თავის დროზე „ვიძევსა" და „იაგელონიაში" უთამაშია.

ალეკო კაკაურიძე

ნამატჩევს

ცხადაძე ბოდიშს იხდის

ყაზახური „ქაირათის" მთავარმა მწვრთნელმა **კახა ცხადაძემ** გულშემატკივარს ბოდიში მოუხადა „ორდაბასისთან" წაგებული მატჩის შემდეგ.

„მინდა, მოწინააღმდეგეს მივულოცო გამარჯვება. მათ ბევრი იშრომეს და მიმაჩნია, რომ დამსახურებულად მოიგეს. ჩვენდა სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენეთ ის მომენტები, რომელიც გვქონდა. შედეგზე ყოველთვის მწვრთნელი აგებს პასუხს და როგორც გუნდის მთავარი მწვრთნელი, ბოდიშს ვუხდი გულშემატკივარს ამ წაგების გამო", - განაცხადა ცხადაძემ.

კახა ცხადაძე

ალეკო კაკაურიძე

დაბრუნებაც ასეთი უნდა!

...წარმატებული გამოდგა მასპინძელთა მთავარი მწვრთნელის **ვარლამ კილასონიას** დაბრუნება მშობლიური ქალაქის გუნდში: ამ ბოლო დროს არასტაბილურად მოასპარეზე „რუსთავმა" მიმდინარე სეზონში, უდავოდ, საუკეთესო მატჩი ჩაატარა და სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა დიდი ანგარიშით.

არ დაგვავიწყდეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიც: „რუსთავისაგან" განსხვავებით, სატურნირო თვალსაზრისით, „მერცხალი" ზემოტივირებული იყო და **გია ჩხაიძის** დამოძღვრილი გუნდიც წარმატებული სერიის (ზედიზედ სამი მოგება) გაგრძელებას ვარაუდობდა.

თუმცა, მასპინძლებმა „სამართლიანი თამაშის" პრინციპებს არ უღალატეს და ქარიან ამინდში შეკრებილი რუსთაველი გულშემატკივრებიც გაახარეს. გახარებული ტოვებდნენ სტადიონს ქალაქის ხელმძღვანელებიც: მატჩს ესწრებოდა რუსთავის მერი **დავით ჯიქია** და ქალაქის საკრებულოს წევრთა სოლიდური რაოდენობა.

...მატჩი მასპინძელთა შეტევებით დაიწყო და **ბექა ზაქრაძემ** ისეთი ეფექტური რეიდი განახორციელა, თქვენი მოწონებული. თუმცა, ამ მატჩის პირველი და, ფაქტობრივად, 100-პროცენტიანი მომენტი სტუმრებმა შექმნეს: **ნიკოლოზ ხინთიბიძემ** ბურთი მოედნის სიღრმიდან მიიღო, მეურვეს სისწრაფეში აჯობა და მასპინძელთა მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ 21 წლის **ტარიელ ხაინდრავამ** სიტუაცია ჩინებულად შეაფასა და საკუთარი გუნდი აშკარა ხიფათისაგან იხსნა.

აი, ეს იყო და ეს - აქედან მოყოლებული, მატჩის ბოლომდე, სახიფათო მომენტები მხოლოდ სტუმართა კართან იქმნებოდა და საბოლოო შედეგიც არავის უნდა გაუკვირდეს. თუმცა, ერთი შანსი „მერცხალს" მეორე ტაიმშიც ჰქონდა, როცა გამოცდილი **გოგა ფიფიას** პასით **ამირან აბუსელიძე** ახლო მანძილიდან ურტყამდა, მაგრამ იმ დროისთვის მასპინძლები ორბურთიანი უპირატესობით იყვნენ წინ და საერთოდაც, თამაშს სრულად აკონტროლებდნენ.

გამორჩეული მატჩი ჩაატარა მასპინძელთა გამოცდილმა ფეხბურთელმა **ზვიად მეტრეველმა**: „რუსთავის" კაპიტანმა ჯერ **გიორგი გოცაძის** მშვენიერი პასის მერე გაიტანა ეფექტური გოლი, მეორე ტაიმში კი **გიორგი ჩიკვაიძისა** და **ლევან მაჭავარიანის** ჩინებული კომბინაცია დააგვირგვინა ზუსტი დარტყმით.

მეორე ტაიმი მასპინძლებმა დიდი აღმავლობით ჩაატარეს და ვიდრე ზვიად მეტრეველი „დუბლს" შეასრულებდა, ბექა ზაქრაძესა და გიორგი ჩიკვაიძეს შეეძლოთ ანგარიში უფრო სოლიდური გაეხადათ, მაგრამ **ილია მაღრაძემ** თავისი გუნდი რამდენჯერმე იხსნა.

თუმცა, „მერცხალის" მეკარე უძლური იყო „რუსთავის" ახალგაზრდა ფეხბურთელების წინაშე: 19 წლის **ბაჩანა მიქელაძემ** (18 წლის **ავთანდილ გუჯაბიძესთან** ერთად ნახევარდაცვის ცენტრში უშეცდომოდ რომ მოქმედებდა) თავისივე წამოწყებული რეიდი ეფექტური და ზუსტი დარტყმით დაამთავრა.

მატჩის მიწურულს კი 19 წლის გიორგი გოცაძემ მარჯვენა ფლანგზე კიდევ ერთხელ გაილაღა და მისი გამჭოლი გადაცემის შემდეგ 18 წლის **გიორგი დევიძემ** შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ასეთი სხვაობით „რუსთავმა" ამ სეზონში პირველად მოიგო, მაგრამ საქმე მხოლოდ ანგარიშში არ არის: გუნდმა საკმაოდ ორგანიზებული ფეხბურთი აჩვენა ისეთ მატჩში, სადაც, ერთი შეხედვით, მოტივაცია არ უნდა ჰქონოდა...

გია ტუხაშვილი

რუსთავი-მერცხალი 4:0

16.04. რუსთავი. ფოლადი

1:0 ზ. მეტრეველი (18), 2:0 ზ. მეტრეველი (70), 3:0 ბ. მიქელაძე (77), 4:0 გ. დევიძე (89)

რუსთავი (4-2-3-1): **ტ. ხაინდრავა - გ. გოცაძე, ს. ჯიოშვილი (87. გ. ბუზალაძე), ლ. ბერუაშვილი, გ. მინდორაშვილი - ა. გუჯაბიძე, ბ. მიქელაძე (80. გ. დევიძე) - გ. ჩიკვაიძე (87. ბ. გოცაძე), ლ. მაჭავარიანი (81. გ. ბერიძე), ბ. ზაქრაძე (66. რ. ბარამიძე) - ზ. მეტრეველი.**

სათადარიგოები: ლ. ტაბატაძე, მ. ძიძიგური

მწვრთნელი: **ვარლამ კილასონია**

მერცხალი (4-1-3-2): **ი. მაღრაძე - გ. ჭეიშვილი, მ. აფხაზავა, ს. ჩიგოგიძე (75. ნ. ჭკუასელი), ზ. ელიავა - ვ. ჯაყელი - ს. ბახია (75. ზ. ციკოლია), გ. ფიფია, ლ. ინგოროყვა - ნ. ხინთიბიძე, ა. აბუსელიძე (75. გ. კვერენჩხილაძე).**

სათადარიგოები: შ. გუჯაბიძე, ნ. მაჭავარიანი, მ. ანდღულაძე, ლ. დარჩია

მწვრთნელი: **გია ჩხაიძე**

გაფრთხილება: **ს. ჯიოშვილი**

არბიტრი: **გ. ვადაჭკორია**

ვარლამ კილასონია რუსთავში გამარჯვებით დაბრუნდა
ფოტო სკ რუსთავის ფეისბუქის გვერდიდან

ოდიში 1919-ლიახვი 2:1

16.04. ზუგდიდი.
გაიას საწვრთნელი ბაზა

0:1 თ. შათირიშვილი (7), 1:1 შ. გვაზავა (13), 2:1 ლ. კუტალია (43)

ოდიში: **ვ. ჩანგელია, დ. წულაია (90. გ. სართანია), ლ. აკობია, ლ. ღონღალძე, რ. გაგუნი, რ. დემიანოსი, შ. გვაზავა, ბ. გაბედავა, ლ. ქანთარია (61. დ. კუტალია/90. შ. თოლორაია), ლ. კუტალია, ა. ფარჯიკია.**

სათადარიგოები: გ. ხარებავა, თ. გვასალია, გ. ფურცელაძე, ლ. გულორდავა

მწვრთნელი: **სერგეი ჟიცკი**

ლიახვი: **ნ. დაუშვილი (46. ბ. აფციაური), ო. ტოლმასოვი, ა. ინნკირველი (15, ვ. ჯელიევი), ვ. ლომაშვილი, მ. ჯიქია, მ. კოჩიევი, ი. ფუხაევი (46. შ. გაბრიჭიძე), თ. შათირიშვილი, გ. გოგიჩაიშვილი, ც. ბუკია (46. ს. ლომია), ლ. ლოლაევი (46. ლ. წოწონავა).**

სათადარიგოები: გ. ცხადაია, ფ. მარაქველიძე

მწვრთნელი: **მალხაზ ჟვანია**

გაფრთხილება: **ლ. კუტალია, შ. გვაზავა - მ. კოჩიევი, ო. ტოლმასოვი, ნ. დაუშვილი, ვ. ჯელიევი**

არბიტრი: **ბ. გლუშჩუკი**

სქური-ბორჯომი 2:0

16.04. წალენჯიხა. საშა კვარაცხელია

1:0 გ. სალია (31-პენ), 2:0 ნ. შელია (67)

სქური: **დ. კეკელიძე, ნ. შელია (90. თ. ფიფია), პ. ცხვიტარია, გ. პაჭკორია, ლ. გაბუნია (15. ლ. მორგოშია), გ. შელია (86. გ. კრასოვსკი), გ. სალია, დ. ქირია, კ. ბარამიძე (75. ს. კოტი), ლ. კუკავა (90. დ. ძიძიგური), ი. დეისაძე.**

სათადარიგოები: გ. ბერიშვილი, დ. გაბიჩვაძე

მწვრთნელი: **აკაკი კუპრეიშვილი**

ბორჯომი: **ბ. შეყრილაძე, გ. მემარნიშვილი, დ. ლომაია, გ. ხუბუა, ბ. გედენიძე (46. ი. ცნობილაძე), ლ. თედიაშვილი, დ. კირვალიძე (87. ს. ალიტორქამანი), მ. ახალაია, ა. მესხი, ი. პავლიაშვილი, მ. როსტიაშვილი.**

სათადარიგოები: ი. ფირცხალავა, ნ. ლომიძე, ვ. ჯოჯუა, ს. ზუროშვილი

მწვრთნელი: **კობა თედიაშვილი**

გაფრთხილება: **ს. კოტი - ა. მესხი, ი. ცნობილაძე, ბ. შეყრილაძე**

არბიტრი: **გ. ვარდიძე**

ბეთლემი-ჩხერიმელა 1:0

16.04. ქედა. ცენტრალური

1:0 გ. კახიანი (28)

ბეთლემი: **ლ. ბექთაშვილი, თ. ხარებავა, ნ. ჯობინაშვილი, ა. ბაჯელიძე, კ. მაკარიანი, ი. ბაჯელიძე, გ. ზოიძე, ა. ჯანელიძე, მ. მამულაძე (57. ი. სამნიძე), გ. კახიანი, ზ. ტულუში (90. ვ. ივანნიაძე).**

სათადარიგოები: ჯ. გორგაძე, ნ. ქორიძე, ე. ერქომაიშვილი, ლ. ნინიკაშვილი, გ. რომანაძე

მწვრთნელი: **ავთანდილ კუნჭულია**

ჩხერიმელა: **შ. გოგიაშვილი, ი. ვეკუა, ჯ. გაბუნია, თ. ჩადუნელი (85. ა. ეგუტიძე), ო. ცაროიელაშვილი, ო. კურტანიძე, ა. სულაძე, თ. ბარბაქაძე, გ. სანიკიძე (54. კ. მიკუჩაძე), გ. ცაგარეიშვილი, მ. აშვეთია.**

სათადარიგოები: ბ. ოკრიბელაშვილი, ი. მღებრიშვილი, მ. ჩხარტიშვილი, მ. სეკო, გ. კიკნაძე

მწვრთნელები: **გიორგი შავგულიძე, პაატა ლურსმანაშვილი**

გაფრთხილება: **მ. მამულაძე, ლ. ბექთაშვილი - მ. აშვეთია, კ. მიკუჩაძე**

არბიტრი: **დ. სანოძე**

სხვა მატჩები

ვიტ ჯორჯია-ჭიათურა	0:0
ალგეთი-კოლხეთი (ხ)	2:2
სამგურალი-მეშახტე	1:2
მაჭახელა-იმერეთი	1:1
სამეგრელო-გაგრა	1:2

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ლიახვი	29	19	8	2	78-24	65
2. კოლხეთი	29	14	9	6	47-25	51
3. ვიტ ჯორჯია	29	14	9	6	50-24	51
4. ბორჯომი	29	14	8	7	36-27	50
5. გაგრა	29	15	1	13	49-34	46
6. სამგურალი	29	14	3	12	53-39	45
7. ოდიში	29	12	6	11	42-50	42
8. რუსთავი	29	10	10	9	31-27	40
9. ბეთლემი	29	12	3	14	40-54	39
10. მეშახტე	29	9	10	10	24-25	37
11. სქური	29	9	9	11	28-30	36
12. იმერეთი	29	8	10	11	28-46	34
13. ჭიათურა	29	7	12	10	32-42	33
14. მაჭახელა	29	7	10	12	28-41	31
15. ჩხერიმელა	28	8	6	14	28-46	30
16. სამეგრელო	29	7	7	15	23-44	28
17. ალგეთი	29	7	7	15	24-43	28
18. მერცხალი	28	6	8	14	36-56	26

გამოტოვებული მატჩი

20 აპრილი

ჩხერიმელა-მერცხალი

XXX ტური

24 აპრილი

ლიახვი-ვიტ ჯორჯია
კოლხეთი (ხ)-სქური
ბორჯომი-ბეთლემი
გაგრა-სამგურალი
მეშახტე-რუსთავი
იმერეთი-ოდიში
ჩხერიმელა-სამეგრელო
ჭიათურა-ალგეთი
მერცხალი-მაჭახელა

განუმეორებელი ვლადიმერ გუცაევი

...მალე სამი წელიწადი გახდება, ჩვენი კოლეგები, ცნობილი სპორტული კომენტატორები - **ბიძინა ბარათაშვილი, ლევან სალუქვაძე** და **გიგა გვენცაძე** მართლაც რომ მშვენიერი პროექტით ანებივრებენ ქართულ სპორტულ საზოგადოებას.

„ქართული სპორტის ლიდერები" - აი, ასე ჰქვია პროექტს, რომელიც ისევ და ისევ ქართული სპორტის პოპულარიზაციას ემსახურება და, ამ სამი წლის განმავლობაში, თითქმის ყოველ თვე (ხანდახან - თვეში ორჯერაც) გვქონდა იმის ბედნიერება, რომ კიდევ ერთხელ შევხვედროდით ახლო თუ შორეული წარსულის ჩვენს გამორჩეულ სპორტსმენებს.

ამ სამი წლის განმავლობაში უცვლელი რჩებოდა თავშეყრის ადგილიც და ამ საინტერესო შეხვედრების ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა: კვლავაც ტოტალიზატორმა „ლიდერებთმა" გვიმასპინძლა და კვლავაც ჩვენი უფროსი კოლეგა **ჯამლეტ ხუხაშვილი** უძღვებოდა ჩვეული ორატორული ოსტატობით ლამაზ და დასამახსოვრებელ შეხვედრას.

ანდა, როგორ შეიძლებოდა, სხვანაირად ყოფილიყო: იმ დღეს ხომ **ვლადიმერ გუცაევი** გახლდათ „მთავარ როლში" - ქართული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა!..

...ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთეულებზე თუ შეიძლება იმის თქმა, რომ ყველა დროს საუკეთესოთა შორის მოვიხსენიოთ და ვლადიმერ გუცაევი სწორედაც რომ ამ კატეგორიას მიეკუთვნება!

შეხვედრა ლიდერებთში. მარცხნიდან ვაჟა აზარაშვილი, ჯამლეტ ხუხაშვილი და ვლადიმერ გუცაევი
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ეგ კი არა, ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ინდივიდუალისტისა და უბადლო დრიბლიორის ოსტატობაში საერთაშორისო ასპარეზზეც რწმუნდებოდნენ და არა მხოლოდ რწმუნდებოდნენ - აღიარებდნენ კიდეც და ამის დასტურად 1981 წლის ზაფხულში, ესპანეთში ჩატარებული „ოთხთა ტურნირიც" გამოდგება, როცა იმ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად თბილისის „დინამოს" მარჯვენა გარემარბი ვლადიმერ გუცაევი აღიარეს!

არადა, იმ ტურნირზე „დინამოს" მეტოქეთა (მადრიდის „რეალი", მიუნხენის „ბაიერნი", ჰოლანდიური „აზ-67 ალკმაარი") შემადგენლობაში მსოფლიოს დონის ვარსკვლავები თამაშობდნენ; თუმცა, ვლადიმერ გუცაევიც თამამად შეიძლება მივიჩნიოთ საერთაშორისო დონის ვარსკვლავად - თამაშის გამორჩეული მანერით, უსწრაფესი და ელეგანტური დრიბლინგით, უმწვავესი ფლანგური გარღვევებითა და უამრავი საგოლე პასებით.

ახლა, გოლები? იმის მიუხედავად, რომ იმდროინდელ „დინამოში" ერთი-მეორეზე უკეთესი გოლიადორები იყვნენ, ვლადიმერ გუცაევს ფლანგის ფორვარდისთვის უჩვეულოდ ბევრი გოლი გაჰქონდა, თანაც, იმასაც ხომ გააჩნია, როგორი დონის გუნდების კარში გაჰქონდა ეს ერთი მეორეზე ეფექტური და, რაც მთავარია, უსაჭიროესი გოლები!

თანაც, ამ შემთხვევაში საერთაშორისო ასპარეზს ვგულისხმობთ და აღარც ვიცით, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: 1976 წელს განახლებულ „დინამოს" სტადიონზე პირველი გოლი („კარდიფ სიტისთან") თუ სამი წლის შემდეგ „ლივერპულისა" და „ჰამბურგის" კარში გატანილი გოლები. აღარაფერს ვამბობთ 1981 წლის ტრიუმფზე: „დინამოს" მარჯვენა გარემარბმა თასების თასის იმ გათამაშებაში, ფაქტობრივად, ყველა მეტოქის („კასტორია", „ვესტ ჰემი", „ფეიენოორდი", „კარლ ცაისი") კარში გაიტანა გოლი!

ცალკე საუბრის თემაა საკავშირო ასპარეზზე გატანილი გოლები - ხშირ შემთხვევაში რომ ასევე გადამწყვეტი და ეფექტური ყოფილა. აი, თუნდაც ის განუმეორებელი გოლი, 1978 წლის ბოლო მატჩში რომ გაუტანა მოსკოვის „ტორპედოს" - მარცხენა ფლანგიდან, ფაქტობრივად, კუთხურის ადგილიდან.

...ვლადიმერ გუცაევს 18 წლის ასაკში ჰქონდა დებიუტი „დინამოს" ძირითადში და 16 სეზონის განმავლობაში ამ გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი გახლდათ. „დინამოსთან" ერთად მან მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობაც და თასიც (ორჯერ), აღარაფერს ვამბობთ 1981 წლის ტრიუმფზე!

ინდივიდუალური აღიარებაც არასდროს დაჰკლებია, თუმცა, მაშინაც (როცა თამაშობდა) და ახლაც გული გვწყდება, რომ ასეთი გაქანების და დონის ფეხბურთელს საბჭოთა კავშირის ნაკრებში მხოლოდ 11 მატჩი აქვს ჩატარებული.

ისე, შესაძლოა ბევრმა არც იცოდეს, რომ ჩატარებული მატჩებით თბილისის „დინამოს" აბსოლუტური რეკორდსმენი სწორედ ვლადიმერ გუცაევია - საკავშირო ჩემპიონატში, თასზე და საერთაშორისო სარბიელზე მას 437 მატჩი დაუგროვდა და ამ მაჩვენებლით ქართული ფეხბურთის სამ ლეგენდარულ კაპიტანს უსწრებს - **ავთანდილ ღოღობერიძეს, მანუჩარ მაჩაიძეს, ალექსანდრე ჩივაძეს...**

...ვლადიმერ გუცაევის შთამბეჭდავ საფეხბურთო კარიერას არანაკლებ წარმატებული გაგრძელება მოჰყვა სხვა ამპლუაშიც: წლების განმავლობაში იყო თბილისის „დინამოს" გუნდის უფროსი, დიდი წვლილი შეიტანა რუსეთის პერიფერიული გუნდის, ვლადიკავკაზის „ალანიას" ჩემპიონობაში;

მერე წარმატებით მუშაობდა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში, რის შემდეგაც მერე ჩვენი უპირველესი გუნდის გაძღოლაც ანდეს. ეს კიდევ არასრული ჩამონათვალია და „ლიდერებთში" გამართული შეხვედრის დროსაც ძალიან ძნელი იყო, უემოციოდ მოესმინა კაცს ის შეფასებები, ქართული ფეხბურთის ლეგენდის მიმართ რომ არ დაიშურეს სხვადასხვა თაობისა თუ პროფესიის წარმომადგენლებმა, უპირველესად კი, ვლადიმერ გუცაევის ნიჭის დიდმა დამფასებლებმა - **ვაჟა აზარაშვილმა, თენგიზ გაჩეჩილაძემ, დავით ქლიბაძემ, გია გორგოძემ, ბიძინა ბარათაშვილმა, ვერნი ალფაიძემ, თემურ ღაღანიძემ, პაატა გურასპაულმა, თენგიზ პაჭკორიამ, თემურ ჩიხლაძემ...** და მისმა ყოფილმა თანაგუნდელმა **თენგიზ სულაქველიძემ** - იმ მართლაც დიდი „დინამოს" წარმატებების ასევე ერთ-ერთმა შემოქმედმა...

გია ტუხაშვილი

SBM LEAGUE 2015/16

კორპორატიულ ლიგებში პლეი ოფები საინტერესოდ დაიწყო

16 და 17 აპრილს ახალმა სპორტის სასახლემ ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის მორიგ სათამაშო დღეებს უმასპინძლა...

უქმეების მთავარი ინტრიგა კორპორატიული ლიგის პლეი ოფის პირველი რაუნდის შეხვედრები იყო. განსაკუთრებულად დაძაბულად წარიმართა 1/4 ფინალური დაპირისპირებები ვერცხლის ლიგაში, სადაც ოთხივე შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ დასრულდა და გამარჯვებულის გამოსავლენად 7-მეტრიანების სერიის დანიშვნა გახდა საჭირო.

ოთხიდან სამ შეხვედრაში გოლების მინიმალური რაოდენობა გავიდა. ფრე **1-1** ითამაშეს **ალიანს საქართველოსა** და **საქრუსენერგოს** გუნდებმა, სადაც საფეხბურთო ლატარეაში ალიანსის ფეხბურთელებს გაუმართლათ და სერიაშიც სწორედ ისინი დაწინაურდნენ.

ანალოგიური ანგარიშით **1-1** და საბოლოოდ სენსაციური შედეგით დასრულდა ლიგის ფავორიტის, **ტატიშვილის სამედიცინო ცენტრისა** და **ბანკი რესპუბლიკას** გუნდების პირველი 1/4 ფინალური დაპირისპირება. 7-მეტრიანების სერია უკეთ „ბანკირებმა" შეასრულეს და ნახევარფინალისკენ პირველი სერიოზული ნაბიჯი გადადგეს.

კიდევ უფრო დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა **ვითიბი ბანკისა** და **ბაქსვუდის** დაპირისპირება. ძირითადი დროის **1-1** დასრულების შემდეგ, 7-მეტრიანების წყალობით სერიაში დაწინაურება ვითიბის ფეხბურთელებმა მოახერხეს.

განსხვავებული, თუმცა საყაიმო ანგარიშით დასრულდა თეთრი ქუდის და თბილისის მერიის გუნდების შეხვედრა - 2-2. 7-მეტრიანი საჯარიმო დარტყმების შედეგად, პლეი ოფში დაწინაურება „სოკოებმა" მოახერხეს.

16.04.2016. ვერცხლის ლიგა

1/4 ფინალი (I)

ალიანს საქართველო - საქრუსენერგო 1-1 **პენ. 2-0**
ტატიშვილი - ბანკი რესპუბლიკა 1-1 **პენ. 3-4**

17.04.2016. ვერცხლის ლიგა

1/4 ფინალი (II)

ვითიბი ბანკი - ბაქსვუდი 1-1 **პენ. 2-1**
თეთრი ქუდი - თბილისის მერია 2-2 **პენ. 3-2**

შეგახსენებთ, რომ პლეი ოფში გამარჯვებული ორი მოგების შედეგად უნდა გამოვლინდეს.

ოქროს ლიგაში მხოლოდ ერთი 1/4 ფინალური დაპირისპირება გაიმართა. **„ჯორჯიან ვოთერ ენდ პაუერისა"** და **საქართველოს ბანკის** შეხვედრა „ჯივიპი-ს" გამარჯვებით **1-0** დასრულდა.

17.04.2016.ოქროს ლიგა

1/4 ფინალი (I)

GWP - საქართველოს ბანკი 1-0

კვირას გაირკვა კორპორატიული და სუპერლიგის თასის ბოლო ნახევარფინალისტების ვინაობაც.

სუპერლიგის თასის 1/4 ფინალურ შეხვედრაში **პსპ**-მ **თბილისის სატრანსპორტო კომპანიის** საფეხბურთო გუნდს სძლია **2-0** და 1/2 ფინალში მფკ ტატიშვილს დაუპირისპირდება. მეორე ნახევარფინალში კი შსს და ჯორჯიან მანგანეზ ჭიათურა ითამაშებენ.

17.04.2016. სუპერლიგის თასი

1/4 ფინალი

FC PSP - FC TTC 2-0

კორპორატიული ლიგის ნახევარფინალის საგზური მოიპოვა **საპატრულო პოლიციის გუნდმა**, რომელმაც **ვესტ ინვესტი** დაამარცხა **4-1**. ნახევარფინალში „ძალოვნების" მეტოქე, გათამაშების ფავორიტი ნატახტარი იქნება. ფინალის მეორე საგზურისთვის კი ვითიბი ბანკი და საქართველოს ფოსტა იბრძოლებენ.

17.04.2016. კორპორატიული ლიგის თასი

1/4 ფინალი

ვესტ ინვესტი - პატრული 1-4

ორ დღეზე გადანაწილდა ბრინჯაოს ლიგის მესამე ტურის შეხვედრები. შაბათს **თიბისი ბანკმა ბი პი ჯორჯიას** სძლია დიდი ანგარიშით **5-1**. კვირას კიდევ სამი დაპირისპირება გაიმართა. **შემოსავლების სამსახურმა ეროვნული ბანკის** გუნდს მოუგო **2-0**.

ტურის ყველაზე დაძაბული და საინტერესო დაპირისპირება **ლიბერთი ბანკისა** და **ავერსის** გუნდებს შორის გაიმართა, სადაც გამარჯვება „ფარმაცევტებს" ხვდათ წილად - **2-1**. **ევროპაბეთმა** კი იოლად მოახერხა **აჭარა ჯგუფის** დამარცხება **3-0**.

16.04.2016. ბრინჯაოს ლიგა

III ტური

თიბისი ბანკი - BP GEORGIA 5-1

17.04.2016. ბრინჯაოს ლიგა

III ტური

ეროვნ ბანკი - შემოსავლ. სამსახური 0-2
ავერსი - ლიბერთი ბანკი 2-1
ევროპაბეთი - აჭარა ჯგუფი 3-0

ზედიზედ მეხუთე გამარჯვება იზეიმა სუპერლიგა C-ში **ტელეკომპანია იმედის** გუნდმა. მეხუთე ტურში მათი მეტოქე გათამაშების ერთ-ერთი ფავორიტი **ჯვაროსნები** იყვნენ. დაძაბული შეხვედრა იმედის გამარჯვებით **2-1** დასრულდა. **სისი ლოუნმა** კი **თავდაცვის სამინისტროს** მოუგო **8-4**.

16.04.2016. სუპერლიგა C

V ტური

სკ ჯვაროსნები - ტვ იმედი 1-2
თავდაცვის სამინისტრო - CC LOAN 4-8

17.04.2016.სუპერლიგა C

IV ტური

თავდაცვის სამინისტრო - ჯი პი აი ჰოლდ. 5-0

შაბათს გაიმართა ბავშვთა ლიგის მეორე ტურის შეხვედრა, რომელშიც ერთმანეთს ქუთაისის „მართვე" და საქართველოს უნივერსიტეტის 2003/04 წ.წ. გუნდები დაუპირისპირდნენ. მატჩი „უნივერსიტეტის" სასარგებლოდ 3-1 დასრულდა.

16.04.2016. ბავშვთა ლიგა

II ტური

მართვე (ქუთ) - UG 1-3

*ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის გენერალური პარტნიორია **„ვითიბი ბანკი"***

. ჩემპიონატის ტექნიკური პარტნიორია, ესპანური სპორტული ბრენდი JOMA

. ღონისძიების პარტნიორები და მხარდამჭერები არიან: ტელეკომპანია „იმედი", იურიდიული ჯგუფი „ერისთავი და პარტნიორები", „ტატიშვილის სამედიცინო და სპორტული რეაბილიტაციის ცენტრი", სასტუმრო „ჰოლიდეი ინი", „foodpanda", „წყალი მარგებელი", Apple City, ვერცხლის ნაკეთობები „შემოინახე მემკვიდრეობა" .

მედია პარტნიორები: რადიოები, „იმედი", „კომერსანტი", ვებპორტალები - geosports.ge, sportall.ge, worldsport.ge, goal.ge და გაზეთი „ლელო".

სპორტული სააგენტო SBM-ის პრესსამსახური

ჰარი კეინმა ჯეიმი ვარდის ბომბარდირთა დავაში გადაუსწრო

ბენიტესი პელეგრინის უნდა შეაკვდეს

მერსისაიდულ დერბიში ისევ ფრე იქნება?

სტოკი-ტოტენჰემი 0:4

გოლები: 0:1 კეინი (9), 0:2 ალი (67), 0:3 კეინი (71), 0:4 ალი (82)

სტოკი (4-2-3-1): გივენი - კამერონი, შოუკროსი, ვოლშაიდი, მუნიესა - უელანი (76. ადამი), იმბულა - შაჩირი (46. ხოსელუ), აფელაი, არნაუტოვიჩი - კრკიჩი

ტოტენჰემი (4-2-3-1): ლორისი - უოლკერი, ალდერვეირელდი, ვერტონგენი, როუზი - დაიერი, დემბელე (87. მეისონი) - ლამელა (90. სონი), ალი (84. შადლი), ერიკსენი - კეინი

გაფრთხილება: იმბულა, ადამი -

კუთხური: 5-3; **ჯარიმა:** 12-12; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 12-23 (2-6); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

მაყურებელი: 27 442

სამშაბათი. 19 აპრილი

XXVII ტური

ნიუკასლი-სიჯი 22:45

დისკვალიფიკაცია: არავინ

ტრავმა: იანმაატი, აიდარა, ელიოტი, კრული, მბაბუ, კოლოჩინი — კომპანი, სტერლინგი, სილვა

ბოლო 6 მატჩი

+1=1-4 +4=1-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 139 თამაში: +52=33-54 (188-203)

ოთხშაბათი. 20 აპრილი

XXX ტური

ვესტ ჰემი-უოტფორდი 22:45

დისკვალიფიკა: არავინ

ტრავმა: - ეკსტრანდი, ჯილმარტინი

ბოლო 6 მატჩი

+2=4-0 +1=1-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 17 თამაში: +9=3-5 (21-21)

XXVII ტური

ლივერპული-ევერტონი 23:00

დისკვალიფიკაცია: არავინ

ტრავმა: ჰენდერსონი, როსიტერი, ბენტეკე, გომესი, ინგსი - ბეინსი, ლენონი, კლევერლი, ბრაუნინგი, ჰიბერტი

ბოლო 6 მატჩი

+4=1-1 +0=3-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 193 თამაში: +73=63-57 (265-225)

XXX ტური

მანჩესტერი-კრ. პალასი 23:00

დისკვალიფიკაცია: არავინ

ტრავმა: ერერა, იანუზაი, კინი, ჯონსი, შოუ, შვაინშტაიგერი - ზაჰა, ჰანგელანდი, აპია, გეილი, მაკარტური, შამახი

ბოლო 6 მატჩი

+4=0-2 +1=3-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 31 თამაში: +19=7-5 (54-26)

XXX ტური

ხუთშაბათი. 21 აპრილი

არსენალი-ვესტ ბრომვიჩი 22:45

დისკვალიფიკაცია: არავინ

ტრავმა: კასორლა, ჯენკინსონი - პიტჩარდი, მორისონი, ბრანტი

ბოლო 6 მატჩი

+2=3-1 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 121 თამაში: +61=28-32 (214-156)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ლესტერი	34	21	10	3	59-33	73
2. ტოტენჰემი	34	19	11	4	64-25	68
3. სიტი	33	18	6	9	61-33	60
4. არსენალი	33	17	9	7	56-34	60
5. მანჩესტერი	33	16	8	9	40-30	56
6. ვესტ ჰემი	33	13	14	6	54-42	53
7. საუთჰემპტონი	34	14	9	11	45-35	51
8. ლივერპული	32	14	9	9	52-43	51
9. სტოკი	34	13	8	13	37-47	47
10. ჩელსი	33	11	11	11	49-45	44
11. ევერტონი	33	9	14	10	53-44	41
12. უოტფორდი	33	11	8	14	32-37	41
13. ბორნმუთი	34	11	8	15	41-57	41
14. ვესტ ბრომვიჩი	33	10	10	13	31-40	40
15. სუონსი	34	10	10	14	34-45	40
16. კრ. პალასი	34	10	9	15	36-43	39
17. ნორვიჩი	34	8	7	19	35-60	31
18. სანდერლენდი	33	7	9	17	39-57	30
19. ნიუკასლი	33	7	7	19	35-61	28
20. ასტონ ვილა	34	3	7	24	23-65	16

ბომბარდირები: 24 - ჰარი კეინი (ტოტენჰემი); 22 - ჯეიმი ვარდი (ლესტერი); 21 - სერხიო აგუერო (სიტი); 18 - რომელუ ლუკაკუ (ევერტონი); 16 - რიად მაჰრეზი (ლესტერი); 14 - ოდიონ იგალო (უოტფორდი).

ამ დღეებში ინგლისის პრემიერლიგის 27-ე და 30-ე ტურებიდან გადმოტანილი ხუთი შეხვედრა გაიმართება.

„სიტიმ" მესამე ადგილზე კი აინაცვლა, მაგრამ ერთი-ორი წაბორძიკება და მესამე ადგილი კი არა, შესაძლოა, ოთხეულიდან გავარდეს. ამიტომაც, **მანუელ პელეგრინი** ვერაფერს დაუთმობს **რაფაელ ბენიტესს**, რომელიც გასაჭირშია და ქულები ესაჭიროება. „კაჭკაჭებს" ბოლომდე და მხურვალედ გაამხნევებენ ფანები, რომლებიც ცოტა ნაწყენები კი არიან, მაგრამ „სენტ ჯეიმს პარკზე" შესანიშნავი ატმოსფერო იქნება. „სიტი" კი ძალიან კარგ ფორმაშია და ამის დემონსტრირებას ეცდება.

სიფრთხილე „არსენალსაც" მართებს და როდესაც უცილობლად მოსაგები გაქვს, **ტონი პულისის** „ვესტ ბრომვიჩი" მეტოქედ საუკეთესო ვარიანტი არ არის. მაგრამ **არსენ ვენგერმა** და მისმა ბიჭებმა „ალბიონის" ტაქტიკური ხლართების გადალახვა როგორმე უნდა მოახერხონ.

„კრისტალ პალასმა" დაადასტურა, რომ პრობლემების შექმნა ნებისმიერისთვის შეუძლია და „ოლდ ტრაფორდზე" „მანჩესტერ იუნაიტედისთვისაც" ეცდება გარკვეული სიურპრიზის შეთავაზებას. თუ ასე მოხდა და „არწივები" „წითელ ეშმაკებს" ქულებს დააკარგვინებენ, **ლუი ვან გაალმა** მეოთხე ადგილზე აღარც უნდა იოცნებოს, ოცნება კი „ოცნებების თეატრზე" ძალიან უყვართ და **მარკუს რაშფორდით** შეიარაღებული მანჩესტერელები 3 ქულას დაუმიზნებენ.

„ვესტ ჰემმა" ზედიზედ 4 დრამატული ფრე შემოგვთავაზა და „ჩაქუჩები" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის გაბრძოლების შანსს ისევ ინარჩუნებენ. ოღონდ, „უოტფორდთან" აუცილებლად მოსაგები აქვთ და იმის გათვალისწინებით, რომ უოტფორდელები ფიქრით ასოციაციის თასის ნახევარფინალში იქნებიან, თუ **სლავენ ბილიჩს** კიდევ რამეზე აქვს პრეტენზია, მისმა ბიჭებმა „ბოლეინ გრაუნდზე", წესით, სასურველ შედეგს უნდა მიაღწიონ.

თასის ნახევარფინალი ელის „ევერტონსაც", მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ „კანფეტები" უყურადღებოდ იქნებიან, რადგან მათ „ლივერპულთან" დერბი აქვთ. დიდი სატურნირო მოტივაცია არც **იურგენ კლოპს** აქვს, მაგრამ მერსისაიდული დერბი განყენებული მოვლენა და ერთ-ერთი გამორჩეული ჯახია საფეხბურთო სამყაროში, ამიტომ ასეთ დროს სხვა ფაქტორები გვერდზე გადადის. ახალს ამ დუელზე ვერაფერს ვიტყვით, რაც აქამდე არ თქმულა და არ დაწერილა. დანარჩენი თავად ფეხბურთელებმა გვითხრან „ენფილდზე", სადაც სასწაულები რომ ხდება ხოლმე, რამდენიმე დღის წინათ „ლივერპულის" „დორტმუნდთან" მატჩმაც დაადასტურა. ერთი იმას შეგახსენებთ, რომ ამ კლუბებს ზედიზედ 3 ფრე აქვთ ნათამაშები და ბოლო 7 ურთიერთშეხვედრიდან 6 სწორედ ფრედ დაასრულეს. „ევერტონს" „ლივერპულისთვის" 2010 წლის მერე არ მოუგია ანუ უკვე 11 თამაშია - 4 წაგება, 7 ფრე.

გიორგი კაკაბაძე

იტალია.

სერია A. XXXIV ტურის წინ

19 აპრილი

ნაპოლი-ბოლონია 22.45

დისკვალიფიკაცია: იგუაინი (ნაპოლი)

ტრავმა: დესტრო, მორლეო, მუნიერი, დონსა, ძუკულინი (ბოლონია)

ბოლო 6 მატჩი

+4=0-2 +0=2-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 23 თამაში: +10=4-9, (38-37)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. იუვენტუსი	33	25	4	4	62-17	79
2. ნაპოლი	33	21	7	5	66-29	70
3. რომა	33	18	11	4	70-36	65
4. ინტერი	33	18	7	8	44-30	61
5. ფიორენტინა	33	17	8	8	54-36	59
6. მილანი	33	14	10	9	43-35	52
7. სასუოლო	33	12	12	9	41-38	48
8. ლაციო	33	13	9	11	44-42	48
9. კიევო	33	12	9	12	38-40	45
10. ტორინო	33	11	9	13	42-44	42
11. ჯენოა	33	11	7	15	38-41	40
12. ემპოლი	33	10	9	14	36-45	39
13. ბოლონია	33	10	7	16	31-38	37
14. ატალანტა	33	9	10	14	34-41	37
15. სამპდორია	33	9	9	15	46-50	36
16. უდინეზე	33	9	8	16	29-48	35
17. კარპი	33	7	10	16	33-51	31
18. ფროზინონე	33	8	6	19	31-61	30
19. პალერმო	33	7	7	19	29-61	28
20. ვერონა	33	3	13	17	28-56	22

ბომბარდირები: 30 - გონსალო იგუაინი (ნაპოლი); 15 - კარლოს ბაკა (მილანი), მაურო იკარდი (ინტერი); 14 - პაულო დიბალა (იუვენტუსი); 13 - იოსიპ ილიჩიჩი (ფიორენტინა)

ესპანეთი

ლა ლიგა. XXXIV ტურის წინ

სამშაბათი. 19 აპრილი

ესპანიოლი-სელტა 22:00

დისკვალიფიკაცია: არავინ

ტრავმა: რობერი, არბილია - ბოვიუ, მალიო, დიასი, ფონტასი, ორელიანა (?), ვასი

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 +3=2-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 93 თამაში: +41=18-34, (142-118)

ბეზისი-ლას პალმასი 23:00

დისკვალიფიკაცია: არავინ

ტრავმა: მონტოია (?), სებალიოსი (?), ვარგასი (?), პიცინი, დიგარი - ვაკასო, არაუხო (?), კასტელიანო

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 +4=1-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 39 თამაში: +17=7-15, (55-52)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბარსელონა	33	24	4	5	88-29	76
2. ატლეტიკო	33	24	4	5	57-16	76
3. რეალი	33	23	6	4	98-30	75
4. ვილიარეალი	33	17	9	7	42-28	60
5. ბილბაო	33	16	6	11	51-40	54
6. სელტა	33	15	8	10	46-53	53
7. სევილია	33	13	10	10	46-40	49
8. მალაგა	33	10	11	12	30-30	41
9. ეიბარი	33	11	8	14	45-49	41
10. სოსიედადი	33	11	8	14	41-44	41
11. ვალენსია	33	10	10	13	38-40	40
12. ლას პალმასი	33	11	7	15	38-45	40
13. დეპორტივო	33	7	17	9	42-48	38
14. ბეტისი	33	9	11	13	30-46	38
15. ესპანიოლი	33	10	6	17	34-62	36
16. ვალეკანო	33	8	10	15	45-65	34
17. გრანადა	33	7	9	17	33-60	30
18. სპორტინგი	33	7	8	18	33-54	29
19. ლევანტე	33	7	7	19	30-56	28
20. ხეტაფე	33	7	7	19	29-61	28

ბომბარდირები: 31 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 26 - ლუის სუარესი (ბარსელონა); 23 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 22 - ქარიმ ბენზემა (რეალი); 21 - ნეიმარი (ბარსელონა); 20 - ანტუან გრიზმანი (ატლეტიკო),

ამბები

ჩელსიმ ტიტული შეინარჩუნა

თუკი ჩემპიონთა ლიგის ზედიზედ მოგება არავის გამოსდის, „ჩელსიმ" ეს ახალგაზრდულ დონეზე შეძლო - უეფას ახალგაზრდული ლიგის ფინალში ლონდონურმა გუნდმა 2:1 დაამარცხა „პარი სენ-ჟერმენი". გამარჯვებულთაგან გოლები მეიტემ და პალმერმა გაიტანეს, მანამდე კი ფრანგები ტომორის გოლის წყალობით იგებდნენ. შარშანდელ სეზონში „ჩელსის" 19-წლამდელთა გუნდმა ფინალში დონეცკის „შახტარს" ავჯობა.

რეალი სილვას სამშობლოში დააბრუნებს

„ეკიპის" ცნობით, მადრიდის „რეალი" **ლუკას სილვას** იჯარის წესით ბრაზილიურ „კრუზეიროში" გაუშვებს. 23 წლის ფეხბურთელი ამჟამად „მარსელში" თამაშობს იჯარით, მაგრამ ფრანგულ კლუბს მისი გამოსყიდვა არ სურს. აღსანიშნავია, რომ მომავალ სეზონში სილვას ხელფასს ერთობლივად გადაუხდიან „რეალი" და „კრუზეირო".

ნიკოლოზ ნეფარიძე

ლა ლიგა. XXXIII ტურის ფაქტები და სტატისტიკა

ბენზემას საუკეთესო სეზონი რეალში

* **პაკო აიესტარანმა** „ვალენსიას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე 3 მატჩიდან 2 მოიგო. გარი ნევილს სულ 3 გამარჯვება ჰქონდა ჩემპიონატში ჩატარებულ 16 შეხვედრაში.

* „ბარსელონამ" ლა ლიგაში ზედიზედ 3 მატჩი 2003 წლის თებერვლის მერე პირველად წააგო.

* **ლიონელ მესის დიეგო ალვეშის** კარში 17 გოლი აქვს გატანილი, ყველაზე მეტი, ვიდრე რომელიმე სხვა მეკარისთვის.

* „ღამურებისთვის" გატანილი გოლი მესისთვის მე-500 გახლდათ კარიერაში - 450 „ბარსას" მაისურით, 50 - არგენტინის ნაკრების.

* საინტერესოა, რომ „ვალენსიას" **სანტი მინა** და „სელტას" **ჯონ გუიდეტი** ის ფეხბურთელები არიან, რომლებმაც ამ სეზონში „ბარსელონას" ორივე მატჩში გაუტანეს.

* **ანხელ კორეას** შეცვლებზე შემოსვლის მერე ყველაზე მეტი, 4 გოლი აქვს გატანილი, რაც საუკეთესო მაჩვენებელია.

* **ფერნანდო ტორესმა** ჩემპიონატის ზედიზედ ოთხ ტურში 2005 წლის მარტის მერე პირველად გაიტანა ანუ მსგავსი ფაქტი 4053-დღიანი პაუზის მერე დაფიქსირდა.

* **კოკე** ნახევარმცველებს შორის ყველაზე პროდუქტიულია. „ატლეტიკოს" შუახაზელმა 17 გოლში მიიღო მონაწილეობა - 5 გაიტანა და 12 პასი გააკეთა.

* „დეპორტივომ" უკვე მე-17 ფრე ითამაშა. ეს ლაკორუნიელების რეკორდია ერთ ჩემპიონატში ნათამაშები ფრეების რაოდენობით.

* „მალაგას" 15 მატჩის პირველ ტაიმში აქვს 0:0 ნათამაშები, რაც მიმდინარე ჩემპიონატის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

ქარიმ ბენზემამ „რეალში" სეზონში გოლების პირადი რეკორდი დაამყარა

* **ივან კუელარი** გახდა მეორე მეკარე **კარლოს კამენის** შემდეგ, ვინც ამ სეზონში საგოლე პასი გააკეთა.

* **ქარიმ ბენზემას** უკვე 22 გოლი აქვს გატანილი, რაც მისი საუკეთესო მაჩვენებელია „რეალის" მისურით. 2011/2012 წლების სეზონში ლა ლიგაში მან 21 ბურთი შეაგდო.

* „ესპანიოლი" ბოლო 18 საგარეო მატჩია, გოლს უშვებს. ასეთი ცუდი სერია ამ კლუბს 2000 წლის მერე არ ჰქონია.

* „ლევანტეს" ბოლო 9 გოლიდან 7-ში მონაწილეობა **ჯუზეპე როსიმ** მიიღო - 5 გაიტანა, 2 პასი გააკეთა.

* მხოლოდ პირველი ტაიმების შედეგები რომ ითვლებოდეს, მადრიდის „რეალი" 12-ქულიანი უპირატესობით იქნებოდა ლიდერი, 76 ქულით. მეორეზე „ბარსელონა" მოგვევლინებოდა 64 ქულით, მადრიდის „ატლეტიკოს" კატალონიელებზე 2 ქულით ნაკლები ექნებოდათ. მეოთხეზე „ბილბაოს" ვნახავდით, მეხუთეზე „სელტას", მეექვსეზე კი „ეიბარს"...

* 33 მატჩიდან 21-ის პირველი ტაიმი „ვალენსიას" ფრედ აქვს დასრულებული.

ბუნდესლიგა. XXX ტურის ფაქტები და სტატისტიკა

მოგავალი დორტმუნდისაა

* „დორტმუნდის" **იულიან პულიშიჩმა** თავისი სადებიუტო ბუნდესლიგური გოლი 17 წლის და 212 დღის ასაკში გაიტანა. ამ მხრივ იგი მესამე ადგილზე აღმოჩნდა. საინტერესოა, რომ ხუთეულში ბორუსიელთა სამი ფეხბურთელია, მათ შორის ლიდერი **ნური შაჰინი**, რომელიც 17 წლისა და 81 დღის გახლდათ. მეორეზე მაშინ „შალკეში" მოთამაშე **იულიან დრაქსლერია** (17 წლის და 192 დღის), მესამეზე **ტიმო ვერნერი** (17 წლის და 196 დღის), მერე პულიშიჩი და მეოთხეზე ბორუსიას ყოფილი და ბოლომდე ამოუბრწყინებელი ვარსკვლავი **ლარს რიკენი** (17 წლის და 241 დღის).

* პულიშიჩის გარდა, „დორტმუნდის" ძირითადში დაიწყო 17 წლის **ფელიქს პასლაკმაც**, რომელსაც ასევე მშვენიერი სრულფასოვანი დებიუტი გამოუვიდა.

* **თომას ტუხელმა** ბუნდესლიგაში მწვრთნელის რანგში მე-200 მატჩი ჩაატარა.

* **მანუელ ნოიერმა** ბუნდესლიგაში თავის 313 შეხვედრაში მე-200 გამარჯვება იზეიმა. მხოლოდ **ბასტიან შვაინშტაიგერს** დასჭირდა უფრო ნაკლები მატჩი (311), რომ 200-მოგებიან ნიშნულამდე მიეღწია.

* **დავიდ ალაბა** გახდა „ბაიერნის" ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე (23,8 წელი), რომელმაც ბუნდესლიგაში მე-100 გამარჯვება მოიპოვა.

* **რობერტ ლევანდოვსკის** ახლა 27 გოლი აქვს 30 ტურის მერე. უკანასკნელი ფეხბურთელი ვინც მსგავსი რამ მოახერხა **დიტერ მიულერია**, რომელსაც 1976/1977 წლების სეზონში ასეთი მაჩვენებელი „კიოლნის" მაისურით ჰქონდა.

* „ბაიერნს" ჩემპიონთა ლიგის მატჩის მერე ჩატარებული 9-ვე ბუნდესლიგური თამაში აქვს მოგებული მიმდინარე სეზონში, საერთო ბურთების სხვაობით - 26:2.

* **სანდრო ვაგნერმა** ბოლო 14 მატჩში 14 გოლში მიიღო მონაწილეობა - 10 თავად გაიტანა, 4-იც თავისიანებს გაატანინა.

* საინტერესოა, რომ „აუგსბურგს" არასოდეს წაუგია საშინაო ბუნდესლიგური შეხვედრა, რომლის პირველ ტაიმსაც იგებდა - 19 მოგება, 3 ფრე. ასე რომ, გასაკვირი არ არის, აუგსბურგელებმა გასულ უიქენდზე „შტუტგარტთან" მოგებული ტაიმი ბოლომდე რომ მიიყვანეს სასურველ შედეგამდე და იმარჯვეს (1:0).

* **კლაუდიო პისარომ** ისევ გაიტანა და ბუნდესლიგაში „ვერდერდის" საუკეთესო ბომბარდირი გახდა. „ბრემენელი მუსიკოსების" მაისურით მას გერმანიის ჩემპიონატში 183 მატჩი აქვს ჩატარებული და 102 გოლი გატანილი. პისარომ **მარკო ბოდეს** გადაასწრო (379 მატჩში 101 გოლი). მესამეზე **რუდი ფიოლერია** (137 - 97), მეოთხეზე **ფრანკ ნაუბარტი** (317 - 97), მეხუთეზე კი **აილტონი** (169 - 88).

* **ბერნდ ლენოს** უკვე 574 წუთია, გოლი არ გაუშვია (ყველა ტურნირზე), რითაც მან „ლევერკუზენის" იქამდელი რეკორდი (506 წუთი) გააუმჯობესა.

იულიან პულიშიჩმა ბუნდესლიგაში პირველი გოლი გაიტანა

სერია A. XXXIII ტურის ფაქტები და სტატისტიკა

ტოპფორმაში: 67 69-დან

* 2016 წელს სერია A-ში მხოლოდ **გონსალო იგუაინს** აქვს იმაზე მეტი (14) გოლი გატანილი, ვიდრე **ანდრეა ბელოტტის** (9).

* „იუვენტუსმა" ბოლო 23 ტურში შესაძლებელი 69 ქულიდან 67 დააგროვა. ეს სერია A-ს რეკორდია, ასეთი 23-ტურიანი სერია იტალიის ჩემპიონატში არავის ჰქონია.

* **გონსალო როდრიგესს** 2012/2013 წლების სეზონიდან აქამდე 21 გოლი აქვს გატანილი სერია A-ში, რაც 11 ბურთით უფრო უკეთესი მაჩვენებელია, ვიდრე რომელიმე სხვა მცველს აქვს.

* **ჯაკომო ბონავენტურას** 8 საგოლე პასიდან 5 **კარლოს ბაკაზე** მოდის.

* რომის „ლაციომ" ზედიზედ ორ ტურში კარი მშრალად ამ სეზონში პირველად შეინახა.

* 33 ტურის მერე ტურინის „იუვენტუსს" მხოლოდ 17 გოლი აქვს გაშვებული. ამაზე ცოტა გოლი ამ დროისთვის 1993/94 წლების სეზონში „მილანს" ჰქონდა გაშვებული (14).

* ზედიზედ მე-4 სეზონია, „იუვენტუსს" 5 ტურით ადრე მინიმუმ 8-ქულიანი უპირატესობა აქვს უახლოეს მდევართან.

* **ფრანჩესკო ტოტიმ** სერია A-ს ბოლო 4 მატჩში 3 გოლში მიიღო მონაწილეობა. ლეგენდარულმა ვეტერანმა ერთი გოლი გაიტანა, ორჯერ კი პასი გააკეთა.

* **მარკო ბორიელოს** ყოფილი კლუბის „რომას" წინააღმდეგ ჩატარებულ ბოლო 3 მატჩში გოლი აქვს გატანილი. ამჯერად მან „გლადიატორებს" დუბლი შეუსრულა და პლუს საგოლე გადაცემაც მიითვალა.

* დეკემბრის მერე „ინტერმა" პირველად შეძლო მიყოლებით ორ ტურში კარის მშრალად შენახვა.

* **მაურო იკარდის** მიმდინარე სერია A-ში 15 გოლი აქვს გატანილი და ყველა მეტოქის საჯარიმოში ყოფნისას დარტყმებით. საჯარიმოს გარედან არგენტინელს ჯერ არ გაუტანია.

ხედირას „იუვენტუსი" დიდებულ ფორმაშია

* იკარდის საშუალოდ ბურთთან 50 შეხება სჭირდება გოლის გასატანად, რაც ბოლო ორ სეზონში საუკეთესო მაჩვენებელია იმ ფეხბურთელებს შორის, რომლებსაც 3 ან მეტი გოლი აქვთ გატანილი.

* „კარპიმ" ისტორიაში პირველად მოახერხა სერია A-ს მატჩის პირველ ტაიმში ორი გოლის გატანა. აღსანიშნავია, რომ გუნდმა ორივე ბურთი პირველი ტაიმის კომპენსირებულ დროში შეაგდო.

* მხოლოდ პირველი ტაიმები რომ ითვლებოდეს, „რომასა" და „იუვენტუსს" თანაბარი ქულები ექნებოდათ - 62-62. მესამეზე „ნაპოლი" მოგვევლინებოდა 58 ქულით, მეოთხეზე კი „ფიორენტინა" 56-ით.

პრემიერლიგა. XXXIV ტურის ფაქტები და სტატისტიკა

სერხიო აგუერომ „სტემფორდ ბრიჯზე" ჰეთ თრიკი შეასრულა

ჩელსის გამამწარებელი

* „ლესტერმა" გამოიმუშავა (11) და გაიტანა (9) ყველაზე მეტი გოლი პენალტის ნიშნულიდან, ვიდრე რომელიმე სხვა კლუბმა მიმდინარე პრემიერლიგაში.

* „მელიებს" „ვესტ ჰემთან" მატჩში 2 ზუსტი დარტყმა ჰქონდათ და ორივე გაიტანეს.

* საინტერესოა, რომ „ვესტ ჰემს" საგარეო შეხვედრაში პირველი პენალტი დაუნიშნეს 2010 წლის ოქტომბრის მერე.

* **ჯეიმი ვარდი** გახდა „ლესტერის" მეორე ფეხბურთელი ისტორიაში, რომელმაც პრემიერლიგის მატჩში გაიტანა კიდეც და წითელი ბარათიც მიიღო. პირველად ასეთი რამ 1994 წელს „უიმბლდონთან" მატჩში **დევიდ ლოუმ** მოახერხა.

* ვარდიმ მატჩის პირველი გოლი ამ სეზონში 11-ჯერ გაიტანა ანუ სხვა ყველა ფეხბურთელზე მეტჯერ.

* ვარდის მიმდინარე პრემიერლიგაში ყველაზე მეტ გოლში აქვს მონაწილეობა მიღებული - 22 გოლი, 6 პასი.

* **სერხიო აგუერო** გახდა მესამე ფეხბურთელი, რომელსაც პრემიერლიგურ მატჩში „სტემფორდ ბრიჯზე" „ჩელსისთვის" ჰეთ თრიკი აქვს შესრულებული. პირველი ორი **ნვანკვო კანუ** და **რობინ ვან პერსია** .

* **ტიბო კურტუა** გახდა მე-6 მეკარე, რომელიც პრემიერლიგის სეზონში მეორედ გააძევეს.

* მხოლოდ „კრისტალ პალასს" აქვს მიმდინარე სეზონში ლონდონურ დერბებში უფრო ნაკლები (5) ქულა აღებული, ვიდრე „არსენალს" (7).

* „მეთოფეებს" ამ ჩემპიონატში მხოლოდ ერთი დერბი აქვთ მოგებული. ასეთი ცუდი შედეგი გუნდს ბოლოს 1963/64 წლების სეზონში ჰქონდა.

* **ემანუელ ადებაიორმა** „არსენალის" წინააღმდეგ ბოლო 4 დაპირისპირებაში 4 გოლი შექმნა - 2 გოლი, 2 პასი.

* **ალექსის სანჩესმა** უკანასკნელ 6 პრემიერლიგურ მატჩში 7 გოლში მიიღო მონაწილეობა - 4 გაიტანა, 3-ჯერ თავისიანებს უპასა.

* **დენი უელბეკმა** ზედიზედ ორ ტურში საგოლე პასი კარიერაში პირველად გააკეთა.

* „ბორნმუთთან" გამარჯვების მერე, „ლივერპულს" ახლა უკვე 50 სხვადასხვა სტადიონზე აქვს პრემიერლიგაში მოგებული, რაც პრემიერლიგაში საუკეთესო მაჩვენებელია.

* **რობერტო ფირმინო** ბოლო 11 პრემიერლიგურ შეხვედრაში 12 გოლში ფიგურირებს - 8 გოლი, 4 პასი.

* **ანდროს თაუნსენდმა** „ნიუკასლის" (8 მატჩი) მაისურით უკვე იმდენი საგოლე პასი (2) გააკეთა, რამდენიც „ტოტენჰემთან" (50) ერთად.

* **ჯერმინ დეფოს** „სანდერლენდის" მაისურით 14 საგარეო მატჩი აქვს ჩატარებული ამ სეზონში და ვეტერანმა ამ თამაშებში 10 ბურთს მოუყარა თავი.

გვერდი მოამზადა
გიორგი კაკაბაძემ

500 რეალ სჭირდა მესის?

არგენტინელი რონალდოს ჩრდილში მოექცა

ცოტა უცნაურია იმ ფეხბურთელის კრიზისზე ლაპარაკი, რომელმაც ახლახან კარიერაში მე-500 გოლი გაიტანა. მაგრამ ფაქტია, რომ ის გოლი ბევრს ვერაფერს ცვლის. თუნდაც, „ვალენსიასთან" თამაშში, მესის საიუბილეო გოლის მიუხედავად, „ბარსელონამ" წააგო.

„ბარსელონას" დაღმასვლას ბოლო არ უჩანს. კატალონიური კლუბი ერთმანეთის მიყოლებით აგებს მატჩებს როგორც ჩემპიონთა ლიგაზე, ისე ესპანეთის ჩემპიონატში. „ბარსას" სეზონი თითქმის ჩაუვარდა და აღარც ეს „თითქმის" დაგვჭირდება, თუ გუნდმა ესპანეთის ჩემპიონის ტიტული დაკარგა.

„ბარსელონასი" არ იყოს. კრიზისშია მისი არგენტინელი ლიდერი, **ლიონელ მესი**. მესის ის შეემთხვა,რასაც ვერავინ წარმოიდგენდა - სეზონის დასკვნით მონაკვეთში ის **კრიშტიანო რონალდოს** ჩრდილში მოექცა.

ყველაფერს თავისი მიზეზები აქვს და, რა თქმა უნდა, არც არგენტინელი გენიოსის კრიზისი იქნება შემთხვევითი. მიზეზების პოვნა რთულია, მაგრამ ჩვენ მაინც ვცადოთ.

ადამიანური ფაქტორი

ლიონელი ამ ჩავარდნამდე შეუდარებელი იყო. ჩვენ ძალიან ხშირად გვავიწყდება, რომ საქმე ჩვეულებრივ ადამიანთან გვაქვს და არა რობოტთან. როგორც წესი, ადამიანები იღლებიან. ეგაა, მესის გადაღლა ერთობ ცუდ დროს დაეტყო.

ფაქტია, ლიონელს ბოლო თამაშებში გარკვეული პრობლემები ჰქონდა ფიზმომზადების მხრივ. თანამედროვე ფეხბურთი კი ამას არავის პატიობს. მათ შორის - არც უპირველეს ვარსკვლავს.

ლიდერების ცუდი ფორმა

ცნობილია: თანამედროვე ფეხბურთში ერთ კაცს ძალიან უჭირს კონკრეტული მატჩის ბედის გადაწყვეტა. არ არსებობს ფეხბურთელი, რომელსაც პარტნიორების დახმარება და გვერდში დგომა არ სჭირდებოდეს. საიდუმლო არავისთვისაა, რომ „ბარსას" თამაშში ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული მესი-**ნეიმარი-სუარესი-ინიესტას** ოთხეულზე.

თითქოს ჯადოსნური ჯოხი აიქნიესო, ოთხივე მათგანი უცბად ამოვარდა ფორმიდან. ეს განსაკუთრებით ნეიმარზე და ინიესტაზე ითქმის. ბოლო შეხვედრებში ამ ბრწყინვალე ფეხბურთელების თამაში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

სათადარიგოთა სკამი

„ბარსელონას" ერთ-ერთი მთავარი სისუსტე მოკლე სათადარიგოთა სკამია. საერთოდ, ფეხბურთში ასეა მიღებული: თუ მოთამაშეს თამაში არ მისდის, ის იცვლება და მის ნაცვლად სხვა ცდილობს. მერე შეცვლილი ისვენებს და მინდორს ახალი ენერგიით უბრუნდება.

მესის ვინ ჩივის, „ბარსელონას" სხვა ფეხბურთელების ხეირიანი შემცვლელებიც არ ჰყავს. უკვე რა ხანია, „ბარსა" თითქმის თერთმეტი კაცით თამაშობს. ეს უკვე გარკვეულ კითხვებს აჩენს კატალონიური კლუბის ხელმძღვანელობასთან. თუ ასე უნდა წასულიყო საქმე, რატომ შეელივნენ ისინი რამდენიმე კლასიან ფეხბურთელს, მაგალითად - **სესკ ფაბრეგასსა** და **პედროს**?

კლასიკოს კვალი

ყველაფერი კი მადრიდის „რეალთან" საშინაო მატჩით დაიწყო, რომელშიც „ბარსელონა" ძალიან სუსტად გამოიყურებოდა. თითქოს, „რეალს" ერთ კონკრეტულ მატჩში მეტოქის ჯალათის როლი არ ეყოფოდა, ისე გამოვიდა, რომ „რეალმა" მტრის დიდ ჩავარდნას დაუდო სათავე.

ამაზე უკეთესს მადრიდელები მართლაც ვერაფერს ინატრებდნენ. მათთან ნაწნევი მარცხის შემდეგ მესი და „ბარსა" წელში ვეღარ გაიმართნენ და ჩემპიონთა ლიგაზე „ატლეტიკოსთან" მარცხიც მიაყოლეს.

მწვრთნელის ფაქტორი

ლუის ენრიკეს იდეები შემოაკლდაო, წერენ ესპანურ პრესაში. გარეგნულად მწვრთნელსა და მესის შორის იდეალური ურთიერთობაა, თუმცა, ვინ იცის, რა ხდება შიგნით? ეს რამდენიმე დღეა, ენრიკეს ნეიმართან აერია ურთიერთობა. ამბობენ, რომ **დანი ალვეშიც** საშინლად უკმაყოფილოა.

ვინ იცის, თუ „ბარსამ" ესპანური ოქროც დათმო, ლუის ენრიკეს კარისკენ მიუთითონ. როგორც წესი, კატალონიაში ვერ ეგუებიან გუნდის დიდ ჩავარდნებს. მესის, ნეიმარს, სუარესს და ინიესტას არავინ შეელევა. ლუის ენრიკეს კი...

ტრავმა?

ბევრი ვარაუდობს (ამის თაობაზე ესპანურ პრესაშიც დაიწერა), რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრაში ლიონელმა ტრავმით ითამაშა, მაგრამ ის სასტარტოში იყო „ვალენსიასთან" კვირა საღამოს გამართულ შეხვედრაში, რაც თითქმის მთლიანად აქარწყლებს ამ ვარაუდს. ის კი არა, მან გოლიც შეაგდო.

არ გვგონია, ლუის ენრიკეს სკამი იმდენად ძვირად უღირდეს, რომ ფეხბურთელის ჯანმრთელობას რისკავდეს. მეორეც, ასე რომ იყოს, ვფიქრობთ, თავად ლიონელი ამოიღებდა ხმას.

დრო გვიჩვენებს...

ლიონელ მესი კრიზისს დაუძვრება. ამის სჯერა ფეხბურთის ყველა ქომაგს. ალბათ, თვით „რეალის" გულშემატკივრებსაც კი უნდათ, რომ არგენტინელი ძველებურად ათამაშდეს. ამით ხომ ზოგადად ფეხბურთი მოიგებს.

არც ის ვარაუდი გვგონია მართებული, რომლის მიხედვითაც ამ ფორმაციის „ბარსელონას" ეპოქა საბოლოოდ დასრულდა. მოკლედ, უნდა დაველოდოთ, დრო ყველაფერს გვიჩვენებს. ფაქტია, „ბარსელონა" უკვე ყოფილა კრიზისში, თუმცა მას ეს კრიზისი გადაულახავს. მესიც გადალახავს...

ალეკო კაკაურიძე

ამბები

ჯეიმი ვარდი

ვარდის საქმე შავადაა

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ „ლესტერის" ფორვარდი **ჯეიმი ვარდი** არასპორტულ მოქცევაში დაადანაშაულა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წითელი ბარათისთვის მიღებულ ერთმატჩიან ავტომატურ დისკვალიფიკაციას შესაძლოა, კიდევ რამდენიმე თამაში დაემატოს. შეგახსენებთ, რომ ვარდი მას მერე გააძევეს „ვესტ ჰემთან" მატჩში, რაც სიმულაციისთვის მეორე ყვითელი ბარათი მიიღო. ამას მოჰყვა ფორვარდის უცენზურო სიტყვები რეფერი **ჯონ მოსის** მიმართ. ასოციაციამ კლუბიც დაადანაშაულა, რადგან კლუბმა ვერ უზრუნველყო ფეხბურთელთა შესაბამისი მოქცევა. ახლა „ლესტერსა" და ვარდის 21 აპრილამდე დრო აქვთ ამ ბრალდებაზე პასუხის გასაცემად.

გიუნდოგანი და სიტი უარყვეს

დორტმუნდის „ბორუსიას" სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ცორკმა** არ დაადასტურა ინფორმაცია, თითქოს, გუნდის ნახევარმცველმა **ილქაი გიუნდოგანმა** „მანჩესტერ სიტისთან" 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. *„ამის შესახებ არაფერია სალაპარაკო. ინფორმაცია მცდარია"*, - განაცხადა ცორკმა. იგივე გაიმეორა „დორტმუნდის" თავკაცმა **თომას ტუხელმაც**. გერმანული მედიის ცნობით, გიუნდოგანში „სიტი", რომელსაც ახალი სეზონიდან **ხოსეპ გვარდიოლა** ჩაუდგება სათავეში, 30 მილიონ ევროს გადაიხდის. ამ სეზონში გიუნდოგანმა ბუნდესლიგაში 25 მატჩში 1 გოლი გაიტანა და სამი საგოლე პასი მიითვალა.

პელეგრინი ალაპარაკდა

მანუელ პელეგრინიმ, რომელიც ამდენ ხანს შეძლებისდაგვარად არ ეხებოდა სეზონის მერე მის ნაცვლად **ხოსეპ გვარდიოლას** დანიშვნის თემას, „ტელეგრაფს" გულახდილად უთხრა, რომ ამან გუნდში ვითარება არია:

„თებერვლის დასაწყისში გაირკვა სამწვრთნელო ცვლილების შესახებ. რამაც ფეხბურთელები არია. ამის გარდა, მედია, გადავიდა ახალ ტერორზე - დაიწყეს იმის გარჩევა, რომელ ფეხბურთელებს მოუწევთ „სიტის" დატოვება და საიდან მოვლენ ახლები. ეს კი ყველაფერი მოქმედებდა ფეხბურთელებზე. არც ისე იოლია გაზეთში კითხულობდე, რომ რამდენიმე თვეში ახალ მწვრთნელს არ დასჭირდები და ის აუცილებლად გაგაგდებს. ამ დროს ძნელია, ისევ ძველ დონეზე თამაში", - განაცხადა ჩილელმა სპეციალისტმა, რომელმაც ამის მიუხედავად, გუნდი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გაიყვანა.

ჟოზე, კი თუ არა?

„მანჩესტერ ივნინგ ნიუსის" ინფორმაციით, **ჟოზე მოურინიო** უკვე შეუთანხმდა „მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობას, თუმცა კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია. შეგახსენებთ, რომ „ბილდის" ცნობით, ჟოზემ უკვე გააფორმა კონტრაქტი „ეშმაკებთან" 2019 წლის ზაფხულამდე. „იუნაიტედს" ჯერჯერობით, **ლუი ვან გაალი** წვრთნის, რომელსაც დიდი ალბათობით, გუნდიდან წასვლა მოუწევს, რადგან მის ხელში გუნდი წარუმატებელია. დღეისათვის, „მანჩესტერი" 56 ქულით მე-5 ადგილზეა.

ბრძოლა ბომბარდირისთვის

მართალია, „ნაპოლიმ" თითქმის წააგო „იუვენტუსთან" საჩემპიონო ბრძოლა, მაგრამ ახლა ეს ორი კლუბი „პესკარას" ფორვარდ **ჯანლუკა ლაპადულას** ხელში ჩაგდებისთვის იბრძოლებს. 26 წლის ლაპადულა იტალიის რანგით მეორე ლიგის მიმდინარე გათამაშების ბომბარდირია 22 გოლით. „ნაპოლი მზადაა, მის სანაცვლოდ 6 მილიონი ევრო გაიღოს. ამ ორი იტალიური კლუბის გარდა, ლაპადულას შეძენა „ლესტერ სიტისაც" სურს.

ლუკაკუ დორტმუნდში?

„რურ ნახრიშტენის" ინფორმაციით, „დორტმუნდს" „ევერტონის" ფორვარდის, **რომელუ ლუკაკუს** შეძენა სურს. 22 წლის ბელგიელის სანაცვლოდ გერმანული გრანდი მზადაა, 35 მილიონ ევროს შეელიოს. ამ სეზონში ლუკაკუს ანგარიშზე 18 გოლია, მან თანაგუნდელებს 6 გოლი გაატანინა. „დორტმუნდის" გეგმებშია **მარიო გიოტცეს** დაბრუნებაც. ეს ორი ტრანსფერი კი კლუბის ლიდერებს დარჩენისკენ უბიძგებს ხელს.

ლუის ენრიკემ ჟურნალისტი შეურაცხყო

„ვალენსიასთან" მარცხის მერე „ბარსელონას" თავკაცმა **ლუის ენრიკემ** ვერ მოთოკა ნერვები და პრესკონფერენციაზე შეურაცხყოფა მიაყენა ერთ-ერთ ჟურნალისტს. „დიარიო გოლის" ჟურნალისტი **ვიქტორ მალო** მწვრთნელს შეეკითხა, როგორ ახსნის გუნდის ფუნქციონალურ ჩავარდნას შუა აპრილში, ლუის ენრიკემ მიუგო - რა გვარი ხარ? მალო არა? დიახ, დიახ...

საქმე ისაა, რომ ესპანურად „მალო" ცუდს ნიშნავს.

მესი რონალდოზე 40 მილიონით ძვირია

ვალენსიას პოლიტექნიკურმა უნივერსიტეტმა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები შეაფასა. კვლევამ აჩვენა, რომ **ლიონელ მესი** ყველაზე ძვირფასია და მისი რეალური ფასი 141 მილიონი ევროა, **კრიშტიანო რონალდო** კი მასზე 40 მილიონით ნაკლები ღირს - 101 მილიონი ევრო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ტრავმა

საშინელი უქმეები იტალიაში

სკუადრას საძირკველი გამოეცალა

იტალიის ნაკრებმა ერთ-ერთი ლიდერი დაკარგა

საშინელი უქმეები იტალიაში - სწორედ ასე დაასათაურა „კორიერე დელო სპორტმა" სტატია, რომელიც **კლაუდიო მარკიზიოს** ტრავმას ეხება. ასეთ დროს, თითქოს, მეორეხარისხოვანია თუ რამდენი ქულით გაიჭრა წინ „იუვენტუსი", როგორ ჩამორჩა მას „ნაპოლი" და დარჩა თუ არა „ინტერს" ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსი - ყველაზე მთავარი ის გახლავთ, რომ იტალიის ნაკრებმა ერთ-ერთი ლიდერი და საკვანძო ფიგურა დაკარგა.

„იუვენტუსი"-"პალერმო" 15 წუთის დაწყებული იყო, როდესაც მარკიზიომ ტრავმა მიიღო, თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო და საკაცით დატოვა მოედანი. თავიდანვე ჩანდა, რომ 30 წლის ნახევარმცველი მძიმედ დაშავდა, მოგვიანებით კი გაცხადდა, რომ კლაუდიომ ჯვარედინი მყესი გაიწყვიტა. უახლოეს დღეებში, მარკიზიოს ოპერაციას გაუკეთებენ, რასაც ხანგრძლივი სარეაბილიტაციო კურსი უნდა მოჰყვეს. ცნობილია, რომ ასეთი ტრავმის შემდეგ, სრულფასოვნად გამოჯანმრთელებას დაახლოებით 6 თვე სჭირდება. თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, მარკიზიო ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებს.

„იუვენტუსს" მორიგ სკუდეტომდე აღარაფერი უკლია და მიზანს კლაუდიოს გარეშეც მიაღწევს, აი, იტალიის ნაკრებისთვის კი ეს უდიდესი დანაკლისია. ამ თემაზე კომენტარი „სკუადრა აძურას" მწვრთნელმა **ანტონიო კონტემ** გააკეთა და მას არც სხვები ჩამორჩნენ.

ანტონიო კონტე (იტალიის ნაკრები): *„ტრავმა ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც არ გინდა, რომ ბედს შეურიგდე. მარკიზიო ნაკრებისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობის ფეხბურთელია და უნდა ვაღიაროთ, რომ მისი შეცვლა ურთულესი იქნება. მინდა, კლაუდიოს სწრაფი გამოჯანმრთელება ვუსურვო და იმედი მაქვს, რომ კიდევ უფრო ძლიერი დაუბრუნდება მოედანს".*

ჯუზეპე მაროტა (იუვენტუსის სპორტული დირექტორი): *„კლაუდიო ძლიერი ნებისყოფის პიროვნებაა და დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ უკეთესი დაგვიბრუნდება. „იუვენტუსში" არიან ფეხბურთელები, რომლებიც ხელშეუხებელთა კატეგორიას მიეკუთვნებიან და სწორედ მათ რიგებშია მარკიზიო. სარეაბილიტაციო კურსს ყურადღებით დავაკვირდებით და ყველაფერს ვიღონებთ, რომ ფეხბურთელი მალე გამოჯანმრთელდეს".*

ანდრეა პირლო: *„მალე დაბრუნდი მეგობარო, რადგან შენ თანაბრად სჭირდები როგორც „იუვენტუსს", ისე იტალიის ნაკრებს. ვიცი, რას განიცდი, მაგრამ მჯერა შენი მტკიცე ხასიათის და ისიც ვიცი, რომ ამ დარტყმას გაუძლებ. უბრალოდ, არ გაქვს უფლება, რომ კიდევ უფრო ძლიერი არ დაბრუნდე".*

„მილანის" ოფიციალური განცხადება: *„გვჯერა, რომ „იუვენტუსის" და იტალიის ნაკრების ფეხბურთელი, კლაუდიო მარკიზიო წარმატებით გაივლის სარეაბილიტაციო კურსს და მალე დაუბრუნდება მოედანს. ყველაფერი საუკეთესო შენ, კლაუდიო და იმედი გვაქვს, რომ მომავალში კიდევ უკეთესად ითამაშებ".*

მარკიზიოს პირველი კომენტარი

უმძიმესი ტრავმის შემდეგ, პირველი კომენტარი თავად ფეხბურთელმა გააკეთა და სოციალურ ქსელში გავრცელა: *„სახლში სულ ახალი დაბრუნებული ვარ, ექიმების დიაგნოზი კი ჩემთვის დიდი დარტყმაა, თუმცა რას ვიზამთ, ტრავმები ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია. დიდ ძალას ვგრძნობ და მჯერა, რომ მალე დავუბრუნდები მოედანს. მიხარია, რომ „პალერმო" დავამარცხეთ და კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით დიდ მიზნამდე".*

რომა

ლუჩანო სპალეტი და ფრანჩესკო ტოტი

ისევ კონფლიქტი?

სერია A-ს 33-ე ტურის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მატჩი ბერგამოში შედგა, სადაც „ატალანტამ" „რომა" მიიღო და მატჩი ფრედ დასრულდა, 3:3. დედაქალაქელები მარცხისგან **ფრანჩესკო ტოტიმ** იხსნა, რომელიც 78-ე წუთზე ჩაერთო თამაშში და მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე, ეფექტური გოლით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 3:3. იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მატჩის შემდეგ, გასახდელში **ლუჩანო სპალეტისა** და ფრანჩესკო ტოტის შორის კონფლიქტი მოხდა და საქმე ხელით შეხებამდეც კი მივიდა. ეს ცნობა სპალეტიმ კატეგორიულად უარყო:

„მსაჯთან კამათის გამო, წითელი ბარათი მივიღე, ფეხბურთელებს კი გასახდელში ველოდებოდი. არ დავმალავ, რომ მოთამაშეებს საკმაოდ მკაცრად ვესაუბრე, რადგან საშინლად უკმაყოფილო ვიყავი მათი გარჯით, მაგრამ კონფლიქტამდე საქმე არ მისულა. ფეხბურთელზე ხელი არასდროს ამიწევია და ეს დაუშვებლად მიმაჩნია. იყო კამათი, მაგრამ ამაში საგანგაშო არაფერია, ხვალიდან კი ახალი მატჩისთვის ვიწყებთ მზადებას".

ამასობაში, პრესაში ვრცელდება ცნობები, რომ დიდი ალბათობით, სეზონის დასრულების შემდეგ **ედინ ჯეკო** დატოვებს „რომას" და კარიერას გერმანულ, ან ინგლისურ გუნდში გააგრძელებს. მიმდინარე სეზონში, 30 წლის ფორვარდმა 28 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, 8 გოლი შეაგდო და 5 საგოლე პასი გააკეთა, თუმცა, როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა კლუბის მესვეურთა და გუნდის მთავარი მწვრთნელის გულის მოსაგებად. „რომას" ჯეკო 15 მილიონი ევრო დაუჯდა და სავარაუდოდ, მისი სატრანსფერო ფასი სწორედ ამ თანხად განისაზღვრება.

გვერდი მოამზადა
ლაშა წიკლაურმა

მილანი

ბროკის წარმატებული დებიუტი

კრისტიან ბროკის დებიუტი „მილანის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე წარმატებული გამოდგა - „როსონერი" გენუაში „სამპდორიას" ესტუმრა და მინიმალური ანგარიშით სძლია მეტოქეს - 1:0. ერთადერთი და გამარჯვების გოლი **კარლოს ბაკას** ანგარიშზეა, რომელსაც საგოლე გადაცემა **ჯაკომო ბონავენტურამ** გაუკეთა. მილანელები ფლობდნენ უპირატესობას და დაიმსახურეს მოგება, თუმცა მომენტები მასპინძლებსაც ჰქონდათ და შეიძლებოდა, რომ თამაში ფრედ დასრულებულიყო.

ბროკიმ ტაქტიკა არ შეცვალა და გუნდი ისევ 4-4-2 სქემით ათამაშა. არადა, პრესაში აქტიურად იწერებოდა, რომ კრისტიანი გამთამაშებლით აპირებდა თამაშს და შესაბამისად, 4-3-1-2 ტაქტიკას დაეყრდნობოდა. ბროკი „მილანის" ახალგაზრდულ გუნდში სწორედ აღნიშნულ სქემას იყენებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მთავარ გუნდში გამთამაშებელი ვერ იპოვა და იძულებული გახდა, რომ ნახევარმცველები ხაზზე ჩაემწკრივებინა. მთლიანობაში, „როსონერიმ" კარგი შთაბეჭდილება დატოვა და აჯობა მეტოქეს.

მატჩის შემდეგ, ბროკიმ ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა: *„ძალიან კმაყოფილი ვარ შედეგით და ფეხბურთელთა საქმისადმი მიდგომით. მჯერა, რომ თამაშიდან თამაშამდე მოვუმატებთ და სეზონს მაჟორულ ნოტზე დავასრულებთ. თამაშის ხარისხი დამაკმაყოფილებელია და არც ამ მხრივ მაქვს აუგი სათქმელი. ფეხბურთელები ცდილობდნენ, რომ ჩემი ხედვა მოედანზე გადაეტანათ და დიდწილად, ეს გამოუვიდათ. აუცილებელია, რომ მოთამაშეებს სჯეროდეთ ჩემი, რადგან მე მათ სრულად ვენდობი. კარლოს ბაკამ და მარიო ბალოტელიმ ფანტასტიკურად ითამაშეს - დიდი შრომა გასწიეს და ლომის წილი დაიდეს გამარჯვებაში. თუმცა, არც სხვებს უნდა დავუკარგოთ გარჯა, რადგან იგებს გუნდი და არა ერთი კონკრეტული ფეხბურთელი".*

რა ბედი ელის ბალოტელის?

მარიო ბალოტელიმ ბოლო შეხვედრებში მოუმატა, მაგრამ ოპტიმალური ფორმისგან მაინც ძალიან შორსაა. ჩემპიონატის დასრულებამდე 5 ტურია დარჩენილი და სწორედ ამ მატჩებში უნდა დაამტკიცოს 25 წლის ფორვარდმა, რომ „მილანში" დარჩენის ღირსია. წინაღმდეგ შემთხვევაში, ლომბარდიელები მარიოს „ლივერპულში" დაბრუნებენ, რაც თავად ფეხბურთელს არ უნდა:

„ჩემი სურვილია, რომ „მილანში" დავრჩე და აქ გავაგრძელო კარიერა. „ლივერპულში" ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ და შესაბამისად, იქ დაბრუნება არ მსურს. ბოლო ორ შეხვედრაში, კარგად ვითამაშე და ვგრძნობ, რომ ფორმაში შევდივარ. წინ ჩემპიონატის 5 თამაში და პლუს, იტალიის თასის ფინალია. შევეცდები დავამტკიცო, რომ „მილანში" დარჩენის ღირსი ვარ. გადაწყვეტილებას გუნდის მწვრთნელი და კლუბის მესვეურები მიიღებენ, მე კი მათ განაჩენს დაველოდები".

„გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, „მილანის" მესვეურებს სურთ, რომ კიდევ ერთი შანსი მისცენ ბალოტელის და ამისთვის, ლივერპულელ კოლეგებთან აწარმოებენ მოლაპარაკებას. იტალიელებს კიდევ 1-წლიანი საიჯარო ხელშეკრულება სურთ, ინგლისელები კი ფეხბურთელის გაყიდვას და მასში მინიმუმ 15 მილიონი ევროს აღებას ეშურებიან. შეგახსენებთ, რომ თვითონ „ლივერპულმა" ბალოტელი სწორედ „მილანისგან" 20 მილიონ ევროდ გადაიბირა.

კრისტიან ბროკი „სამპდორიასთან" მოგების შემდეგ

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

გურამ ქოსმენაშვილი (მარჯვნიდან მეორე) პეტერბურგში

მამლუქები და აბორიგენები თანაბრად

ნევისპირული გამოცდა

ᲐᲛ უქმეებზე სანკტ პეტერბურგში ჩატარდა ევროპის თასი ახალგაზრდა ძიუდოისტთა შორის. ჩვენგან იქ მხოლოდ ბიჭების გუნდი გამოვიდა, 10 კაცის შემადგენლობით, მათი მონაგარი კი 3 მედალია - 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. ტურნირის ვიცე-ჩემპიონი გიორგი ქურდიანი (81) გახდა, ხოლო მესამეზე დავით გეჯაძე (55) და გურამ ქოსმენაშვილი (+100) გავიდნენ.

დამამშვიდებელში **ბექა უდესიანი** (66), **გიორგი ხმელიძე** (73) და **ნიკოლოზ სისვაძეც** (+100) გადავიდნენ, მაგრამ იქ პირველივე შეხვედრა წააგეს და მეშვიდეზე დარჩნენ. ამათ გარდა, კვარცხლბეკზე კიდევ სამი ქართველი ავიდა, თუმცა ყველა - სხვა ქვეყნის სახელით: რუსეთიდან მოასპარეზე **იაგო აბულაძე** 60 კილოგრამში ფინალში გავიდა, სადაც იაპონელ **გენკი კოგასთან** დამარცხდა. ამავე წონაში ბრინჯაო მოიპოვა **თორნიკე ჭკადუამ** ჰოლანდიიდან (ქვეჯგუფში აბულაძესთან წააგო), ხოლო გერმანიაში გადასული **სანდრო მაქაცარია** 90 კილოგრამში გავიდა მესამეზე. თან მაქაცარიამ **იესო კვირიკაშვილიც** წმინდად დაგვიმარცხა ქვეჯგუფში, მანამ კი ჩვენებურმა ყირგიზი **ტამერლან ისმაილოვი** დააიპონა. სანუგეშოში კვირიკაშვილმა კიდევ ერთი იპონი მიითვალა რუს **არტემ ბაკალოვთან**, მაგრამ წაგო ამჯერად უკვე ნამდვილ გერმანელ **ედუარდ ტრიპელთან**.

სანკტ პეტერბურგში მწვრთნელთა იმედები ყველაზე მეტად ქურდიანმა გაამართლა, ვინც დამაჯერებლად მოიგო ჯგუფური ეტაპი და მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო იაპონელ **სოტარო ფუჯივარასთან**. იქამდე ჩვენმა ფალავანმა ყველა პექრობა დამაჯერებლად, დიდი უპირატესობით მოიგო - ფრანგ კრისტ გენგოს და რუს **ტურპალ ტეპკაევს** ვაზარით მოუგო, ბრაზილიელი **ლუან როდრიგესი** და კიდევ ერთი ფრანგი **ადრიენ კოპადო** კი პირდაპირ დააიპონა. თუმცა ნახევარფინალში **კოპადო** იპონამდე ვაზარიზეც დააგდო. ჩვენმა ფალავანმა ფინალიც ასევე იპონით წააგო. კოპადომ ქვეჯგუფში **კობა მჭედლიშვილიც** დაგვიმარცხა. ახალგაზრდებში მსოფლიოს პრიზიორ მჭედლიშვილის წაგება ყველაზე უსიამოვნო მარცხია, როგორც ახალ თაობაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულისა. მან მხოლოდ ბრაზილიელ **ჯოვანი ფერეირას** მოუგო და ისიც გაფრთხილებებით, როცა გაცილებით მეტი შეუძლია.

ქვეჯგუფი გეჯაძემაც მოიგო, ვინც პირველ წრეში ისვენებდა, მერე კი წმინდად დაამარცხა რუსები - **რუსტამ ზაბოლოტნი** ბეჭებზე დააგდო, ხოლო ალი პაფოვს ორი ვაზარი აართვა. ამით ნახევარფინალშიც გავიდა, სადაც აზერბაიჯანელთა მომავალი ჩემპიონის, ჭაბუკებში ევროპისა და მსოფლიოს პირველობების მომგებ **ნატიკ გურბანლის** ბარიერი ვერ გადალახა - სუფთად დამარცხდა. სამაგიეროდ, მისი ჯავრი ბრინჯაოსთვის შეხვედრაში მეორე აზერბაიჯანელზე - **კარამატ ჰუსეინოვზე** იყარა, ვისაც გაფრთხილებებით მოუგო.

ჩვენთვის საინტერესოდ განვითარდა მოვლენები მძიმე წონაში. მოგეხსენებათ, ამ წონაში წინა - საბერძნეთის ტურნირზე კვარცხლბეკზე მხოლოდ ქართველები იდგნენ, ფინალში კი ქოსმენაშვილი საქართველოს ჩემპიონ **ნიკოლოზ სისვაძესთან** დამარცხდა. სისვაძის გამოსვლა ახლაც დიდ ყურადღებას იქცევდა, მაგრამ ის რუსულ ბარიერს ვერ გადაახტა, რადგან ყველა პაექრობა იქაურებთან ჩაატარა - პირველივე ბრძოლა წააგო ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონთან და მსოფლიოს ფინალისტ **ინალ ტასოევთან**, ვისთანაც სამივე სინჯის გდება გაუშვა, მერე დამამშვიდებელში **ალექსანდრ ბეგმეტოვი** კი დააიპონა, მაგრამ ბოლოს წმინდად წაგო ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონ **ტამერლან ბაშაევთან**.

ქოსმენაშვილი ქვეჯგუფში ერთადერთი გაფრთხილებით დამარცხდა ჰოლანდიელ **ხურ სპიხკერსთან**, მანამ კი ესტონელი **ტანელ კაროო** გააბითურა - იუკოც აართვა, ვაზარიც, ბოლოს კი დააიპონა. დამამშვიდებელში ჩვენმა ფალავანმა რუსები გააბითურა - **ბატირ შაკიროვი** ვაზარით დაამარცხა, **მიხაილ ჩერკასოვს** ასევე სამივე სინჯის გდება ჩაუტარა, **კემალ კაიტოვი** კი იუკოთი დაამარცხა. რაც ყველაზე საყურადღებოა, ამ ბრძოლებში დაბლაჭიდში კარგი ჭიდაობის მაგალითი გვაჩვენა, როცა რუსებიც კი შებოჭა.

უდესიანმა ქვეჯგუფში ბრაზილიელი **ტიაგო პიროლო** და რუსი **აკბატ ბეისაგუროვი** იუკოთი დაჯაბნა, მაგრამ მეოთხედფინალში წაგო იაპონელთა მომავალ ჩემპიონ **კენზო ტაგავასთან**. სამწუხაროდ, მან შანსი ვერც სანუგეშოში გამოიყენა, სადაც მეორე რუს **ასლან აშრაფოვთან** დაყარა ფარ-ხმალი.

მეოთხედფინალში დამარცხდა ხმელიძეც და იქამდე მანაც ორი ბძოლა მოიგო: ბელარუსი **ალექსანდრ აკმერი** იპონზე, რუსი **ალექსანდრ კუპერშმიდტი** კი იუკოზე დააგდო. ამას ჯერ რუსთა სომეხ **არამ გრიგორიანთან** მარცხი მოჰყვა, მერე - ფრანგ **ადრიენ ლელივრესთან**.

ფრიად მოულოდნელი იყო **ჯაბა მუმლაძის** (100) ასეთი სუსტი გამოსვლაც - პირველ წრეში დასვენებული მეორეში იაპონელთა მომავალ ჩემპიონ **ლიდა კენტაროსთან** დამარცხდა, მერე კი დამამშვიდებელსაც პირველივე წრიდან გამოეთიშა რუს **ასლან ჯიოევთან** მარცხით. ამ წონაში უსახელოდ დამარცხდა **დავით ოზბეთელაშვილიც** - ლიტველი **რომას პეტკუსი** გაფრთხილებებით გააგდო, თავად კი სუფთად დათმო აზერბაიჯანელ **მუსა შაქარალიევთან**.

ᲫᲘᲣᲓᲝ. ᲩᲔᲮᲔᲗᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

ᲒᲝᲒᲝᲔᲑᲘᲡ ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝ

ᲒᲝᲒᲝᲔᲑᲘᲡ ძიუდოისტთა 10-კაციანმა ნაკრებმა განვლილ შაბათ-კვირას ჩეხურ ტეპლიცეში ჭაბუკთა ევროპის თასზე იჭიდავა და ხელცარიელიც არ დარჩენილა - 1 ბრინჯაო მოიპოვა, რაც მძიმეწონოსან სოფიო სომხიშვილის მონაგარია. დანარჩენებიდან მედალს მხოლოდ ევროპული ფესტივალის გამარჯვებული ეთერ ლიპარტელიანი (57) მიუახლოვდა, თუმცა მეშვიდეზე დარჩა.

სომხიშვილი პირველ წრეში ისვენებდა, მერე კი ხორვატ **ნინა იურიჩს** წმინდად მოუგო. ის გერმანელ **ჰანა პოლვაგესაც** ამარცხებდა იუკოთი, მაგრამ გაფრთხილებებით მოხსნეს. ჩვენებურმა დამამშვიდებელში სამი პაექრობა გამართა და ყველა წმინდად მოიგო - ბელარუს **დანა სავოშანკასთან**, პოლონელ **კინგა ვოლცზაკთან** და იტალიელ **ანალისა კალაგრეტისთან**.

ამავე წონაში - +70-ში იჭიდავა **მარიამ ცერცვაძემაც**, ვინც შიდა ტურნირებზე გამოიჩინა თავი, მაგრამ გმოუცდელობამ დააღალატა - უნგრელი **პეტრა ფარაგო** არ გამოუცხადდა, ხოლო ხორვატ **ჰელენა ვუკოვიჩთან** დამარცხდა და გავარდა.

ქვეჯგუფში ზუსტად სომხიშვილის მსგავსი გზა გაიარა კიდევ სამმა ჩვენებურმა: ლიპარტელიანმა, ევროპული ფესტივალის მესამე პრიზიორმა **ნატალია ყიფშიძემ** (48) და ევროპაზე ბრინჯაოსთვის ნაჭიდავებმა **ნინო მგელაძემ** (52), ანუ პირველ წრეში სამივე ისვენებდა, მეორეში ყველამ გაიმარჯვა და მესამეში წააგეს. განსხვავება მხოლოდ დამამშვიდებელ წრეშია, სადაც ყველა ვერ მივიდა ბოლომდე. ლიპარტელიანმა წმინდად აჯობა ბრიტანელ **ჯოსიე სტელეს** და დამარცხდა გერმანელ **ანა შნაიდერთან**. სანუგეშოში მოიგო ორი შეხვედრა - იტალიელ **ირენე პედროტისთან** და უნგრელ **ნორა სილისთან**, ტურნირზე გამოსვლა კი პოლონელ **ანგელიკა ზიმანსკასთან** მარცხით დაასრულა. ყიფშიძემ მაკედონიელი **აბრეშა რექსეპი** დააიპონა და დამარცხდა უნგრელ **ესტერ ჰაჯდუსთან**, ხოლო მგელაძე აზერბაიჯანელ **ფარიდა საფაროვასთან** დამარცხდა, თუმცა მანამ გერმანელ **ანიკა ვიურფელს** აჯობა. ევროპის მესამე პრიზიორი **თამარ ჭანტურია** ამჯერად ზედა წონაში - 63-ში მოგვევლინა, სადაც ქვეჯგუფში ორი პაექრობა მოიგო - უკრაინელი **სოფია პოტარჩუკი** და გერმანელი **ლენა კონსოლკე** დააიპონა, მაგრამ გამოვარდა გერმანელ **დენა როლისთან** მარცხით.

ტეპლიცეში ჩვენგან **ანა ხუნჭუა** (52), **ელენე ბებოშვილი**, **თინათინ რევაზიშვილი** (ორივე - 57) და **სალომე მჭედლიშვილიც** (70) ჭიდაობდნენ, მაგრამ პირველივე შეხვედრები წააგეს.

სოფიო სომხიშვილი (მარჯვნიდან პირველი)

ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

ᲧᲐᲖᲐᲜᲨᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲔᲜ

ᲒᲐᲘᲠᲙᲕᲐ საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრების შემადგენლობა, რომელიც 21-24 აპრილს ყაზანში ევროპის პირად-გუნდურ ჩემპიონატში იასპარეზებს. ამჯერად მწვრთნელებმა ყველა წონაში დააყენეს მონაწილე, რის გამოც მხოლოდ ორი წონა გააორეს. სრული გუნდის წაყვანა მოსალოდნელიც იყო, რადგან იმ ორ პრობლემურ წონაში, სადაც ყველაზე მეტად გაგვიჭირდა ოლიმპიადის ლიცენზიების მოპოვება - 66-სა და 100-ში, კანდიდატებს ექსტრა-ქულა სჭირდებოდათ, რასაც კონტინენტური პირველობები იძლევა.

ევროპის ჩემპიონატს „ჩეულებრივის" გარდა ამჯერად ჩვენთვის ის დატვირთვაც ექნება, რომ საბოლოოდ ვინძლო სწორედ აქ გავინაღდოთ ბრაზილიის საგზურები. განსაკუთრებით - 100 კილოგრამში, თორემ 66-ში ვაჟა მარგველაშვილს ბევრად უფრო მყარი პოზიცია აქვს. თუმცა თათრეთში წარმატების შემთხვევაში მას მედლის გარდა, განთესვის ზონაში შეღწევაც შეეძლება.

მწვრთნელებმა საოლიმპიადოდ არავინ დაასვენეს და ევროპირველობაზე საჭიდაოდ ყველა ლიდერს უხმეს. მათ გუნდური პირველობისთვის დამატებით ორი სარეზერვო მონაწილეც მიჰყავთ: **გიორგი პაპუნაშვილი** (81) და **პაატა ღვინიაშვილი** (90).

ყაზანში ოთხი მონაწილე ქალთა შორისაც გვეყოლება, თუმცა იმათმა დამრიგებელმა **გია თენაძემ** ეს ადრევე დააანონსა. მათ შორის იქნებიან **მარიამ ჯანაშვილი** (52) და **ესტერ სტამი** (70), რომლებიც ასევე იბრძვიან რიო დე ჟანეიროს საგზურებისთვის.

ყაზანში პირადი პირველობა სამ დღეზეა გადანაწილებული, მეოთხე - 24 აპრილი კი გუნდურ შეჯიბრებას დაეთმობა. 21 აპრილს პირადში ვაჟებიდან 60-66, ხოლო ქალებიდან 48, 52 და 57 კილოგრამის წარმომადგენლები იასპარეზებენ. მეორე დღეს ვაჟებიდან 73-81-ის ფალავნები იჭიდავებენ, ქალებიდან კი მედლების მოპოვებას 63 და 70-ის წარმომადგენლები შეეცდებიან. დანარჩენები 23-ში გამოვლენ.

ᲕᲐᲟᲔᲑᲘ

60 კგ. ამირან პაპინაშვილი
66 კგ. ვაჟა მარგველაშვილი
73 კგ. ნუგზარ ტატალაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი
81 კგ. ავთანდილ ჭრიკიშვილი
90 კგ. ვალერი ლპარტელიანი
100 კგ. ბექა ღვინიაშვილი
+100 კგ. ადამ ოქრუაშვილი, ლევან მაიშვილი

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

48 კგ. ოლგა ალადოშვილი
52 კგ. მარიამ ჯანაშვილი
57 კგ. სალომე აბაშიძე
70 კგ. ესტერ სტამი

გვერდი მოამზადა
ირაკლი თავაძემ

ჩოგბურთი

ზოგი იწყებს, ზოგიც გამოეთიშა

თბილისელი **სოფიო შაფათავა** სტამბოლში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 226.750) ჩაება. სტარტი მან საკვალიფიკაციო ეტაპიდან აიღო და პირველივე შეხვედრა ჩეხ ტერეზა მარტინცოვასთან დათმო - 2:6, 6:1, 3:6.

წყვილებში შაფათავა რუს მარინა მელნიკოვასთან ერთად დღეს ელენა ბოგდანსა და კრისტინა დინუს (ორივე-რუმინეთი) შეხვდება. გუშინ **ეკატერინე გორგოძე** და ანასტასია ვასილიევა (უკრაინა) ლაურა პოუსტ-ტიოს (ესპანეთი) და რენატა ვორაცოვას (ჩეხეთი) დუეტთან დამარცხდნენ - 1:6, 0:6. მე-2 ნომრად განთესილმა თბილისელმა **ოქსანა კალაშნიკოვამ** და შვედმა იოჰანა ლარსონმა მასპინძლებს - აილა აკსუს და მელის სეზერს ორ სეტში 6:2 და 6:4 აჯობეს.

ყაზახურ ჩიმკენტში ქალთა 10.000-იან ტურნირში თამაშობს **სოფიო ქვაცაბაია,** რომელსაც განთესვით მეორე ნომერი აქვს. გუშინ მან არინა ფოლტსი (უზბეკეთი) დაამარცხა - 6:2, 7:5. მერვედფინალში რუსებს - ქსენია შარიფოვას

სოფიო შაფათავა

და ეკატერინა კაზიონოვას შორის უძლიერესს შეხვდება.

წყვილებში ქვაცაბაია ლიზა მატვიენკოსთან (გერმანია) იყო შეამხანაგებული. ისინი სტარტზე ვიქტორია მუნისა და ვერა საკალოუსკაიას (ორივე-ბელარუსი) ტანდემთან ვერაფერს გახდნენ - 1:6, 1:6.

ჩიმკენტშივე ვაჟთა 25.000-იან ტურნირში ჩაებმებიან **ალექსანდრე მეტრეველი** და **გიორგი ცივაძე.** მეტრეველი განთესვით მესამეა და პირველ წრეში მასპინძელ ალექსეი კედრიუკთან გაარკვევს ურთიერთობას. ცივაძემ გრძელი გზა გაიარა: ჯერ კვალიფიკაციაში მონაწილეობდა, სადაც უზბეკ პაველ ცოისა (3:6, 6:1, 6:4) და ბელარუს ივან ლიუტარევიჩს (6:4, 6:1) აჯობა და დღეს ძირითადი ბადის სტარტზე ანტონ გალკინს (რუსეთი) გაუწევს მეტოქეობას. ქართველთა წარმატების შემთხვევაში ისინი მერვედფინალში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

წყვილებში მეტრეველი მარკოს კალოველონისთან (რუსეთი) ერთად ასპარეზობის მეორე ნომერია და გლებ ალექსეენკოს (უკრაინა) და ანტონ გალკინს (რუსეთი) მოუწყობს გამოცდას.

აქვე გასული კვირის შედეგების გათვალისწინებით ქართველ ჩოგბურთელ ქალთა განახლებულ სარეიტინგო მაჩვენებლებსაც გაგაცნობთ:

ერთეულები. 237 (224). სოფიო შაფათავა (215), 323 (322). ეკატერინე გორგოძე (121), 430 (433). სოფიო ქვაცაბაია (78), 478 (484). მარიამ ბოლქვაძე (61), 675 (680). ოქსანა კალაშნიკოვა (28), 775 (779). თინათინ ყავლაშვილი (20), 1087 (1096). თამარ ჭალაგანიძე (7), 1146 (1204). ანა შანიძე.

წყვილები. 46 (46). კალაშნიკოვა (1590), 139 (139). შაფათავა (492), 211 (210). გორგოძე (314). 393 (396). ქვაცაბაია (123), 602 (652). ბოლქვაძე (55), 769 (771), 1056 (1063). ახალკაცი (12), 1056 (1082). შანიძე (12),მ 1156 (1161). ჭალაგანიძე (9).

ვაჟა დანელია

წყვილებში მხოლოდ ფინალი დათმო

14 წლის თბილისელმა **ანა შანიძემ** წარმატებით ითამაშა ანტალიის ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი). ერთეულებში მან ზედიზედ სძლია ლიზა-მარი მაეჩკეს (გერმანია, 6:4, 2:6, 6:4), დანიელა ვუკოვიჩს (შვეიცარია, 6:0, 6:1), დანა კრემერს (გერმანია, 7:6, 3:6, 6:1), ნახევარფინალში კი ტინა ტეჰრანთან (აშშ) ვერაფერს გახდა - 1:6, 1:6.

ანამ უფრო წინ წაინია წყვილებში რუს ანასტასია გასანოვასთან ერთად: ნახევარინალში ასპარეზობის რეიტინგფავორიტებს - ფატმა ალ ნაბჰავის (ომანი) და ები მიერსს (ავსტრალია) მოუგო - 3:6, 7:6, 10:7. ხოლო გადამწყვეტ ორთაბრძოლაში მეორე ნომრად განთესილ ბრიტანელებთან - ემილი არბუთნოტსა და ჰარიეთ დარტთან დამარცხდა - 1:6, 0:6.

ანა შანიძე

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

ადგილებს კოეფიციენტი ანაწილებს

წლეულს 17-28 აგვისტოს ჩეხეთის დედაქალაქი პრაღა 8-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს, ხოლო ამავე ასაკში მსოფლიოს პირველობა 20 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე რუსულ ხანტი-მანსიისკში გაიმართება. მედლებთან ერთად სწორედ ამ შეჯიბრებების საგზურებისთვისაც იბრძვიან სხვადასხვა ასაკის ჩვენი მოჭადრაკეები საქართველოს პირველობებში. 10, 14 და 18-წლამდელებმა თბილისის ჭადრაკის სასახლეში მოიყარეს თავი. შვეიცარიული სისტემით ცხრა ტურად გამართული შეჯიბრება ერთობ დაძაბული გამოდგა, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ მედლების ექვსიდან ოთხი კომპლექტი უკეთესი კოეფიციენტებით განაწილდა.

10-წლამდელ გოგონებში ცხრა შესაძლებლობიდან 6.5-6.5 ქულა მოაგროვეს ანა მამარდაშვილმა, ეკატერინე ცივაძემ და ბარბარე ცირეკიძემ. უკეთესი კოეფიციენტის გათვალისწინებით პირველი-მესამე ადგილები სწორედ ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა. ბიჭებში 8 ქულით ერეკლე ჯიშკარიანი გამოირჩა. გამარჯვებულს 1.5-1.5 ქულით ჩამორჩნენ გიორგი სანიკიძე და ლუკა ფირცხალავა, რომლებმაც, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს.

14-წლამდელ ბიჭებში დიდი ხნის განმავლობაში ლუკა ობოლაძე ერთპიროვნულად მეწინავეობდა. საბოლოოდ კი ცხრატურიანი მარათონი 8 ქულით დაასრულა. ამდენივე ქულას მოუყარეს თავი ნიკოლოზ კაჭარავამ და ნიკოლოზ პეტრიაშვილმა. უკეთესი კოეფიციენტით ობოლაძე ჩემპიონი გახდა. ვერცხლი და ბრინჯაო კაჭარავამ და პეტრიაშვილმა გაინაწილეს. ამ ასაკის გოგონებში 7 ქულით პირველი ადგილი მაია ბეჭვაიამ დაიკავა. 6.5-6.5 ქულით ეკატერინე ფიფიას და ანასტასია სიდამონიძეს მეორე და მესამე ადგილები ერგოთ.

18-წლამდელებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: გოგონები. 1. ანი ჭანტურია, 2. ნატა ჯიბუტი, 3. თეა ჭოლაძე (სამივეს - 6-6 ქულა). ვაჟები. 1. ირაკლი ახვლედიანი, 2. ნოე თუთისანი, 3. გიორგი სიბაშვილი (სამივეს- 7.5-7.5 ქულა).

ასაკების მიხედვით სამივე პრიზიორი შესაბამისი ხარისხის დიპლომებითა და მედლებით დაჯილდოვდა. I-II ადგილებზე გასული მოჭადრაკეები ევროპისა და მსოფლიოს ასაკობრივ პირველობებში გაემგზავრებიან, ოღონდ ჩემპიონი ტურნირს თავად აირჩევს.

ვაჟა დანელია

ძალოსნობა. ინტერვიუ გიორგი ასანიძესთან

ლაშა ტალახაძე (მარცხნივ) და გიორგი ასანიძე

ევროპის ჩემპიონატმა გვიჩვენა, რომ შედეგების გაუმჯობესება შეგვიძლია

გუშინ დილაუთენია უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი თბილისის აეროპორტში - ისინი ოვაციებითა და ყვავილების თაიგულებით შეეგებნენ ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებულ საქართველოს ძალოსათა ნაკრების წევრებს. უპირველესი სამიზნე, ცხადია, კონტინენტის პირველობის გმირი - სამი ოქროს და ერთი ევროპული რეკორდის მფლობელი **ლაშა ტალახაძე** გახლდათ.

- დაძაბული შეჯიბრება იყო, - გვითხრა ლაშამ. - საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ცხადია, ყველა სპორტსმენი მოტივირებულია, მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე რაც შეიძლება, უკეთესი შედეგი აჩვენოს, მაგრამ ამჯერად რისკს მოვერიდეთ, რადგან ბოლო დღეებში ტრავმამ შემახსენა თავი. ამან უფრო დიდ წონებზე მისვლაში შემიშალა ხელი. თუმცა, რაც ვაჩვენე, იმითაც კმაყოფილი ვარ. თუ საჭირო გახდება, ოლიმპიადაზე გავრისკავთ, რომ ქომაგები არ გავაწბილოთ.

- რიოს ოლიმპიადის წინ ეს იყო პირველი სტარტი, ამიტომ ამ ეტაპზე სპორტსმენთა მომზადების დონე და გუნდის საერთო მდგომარეობა უფრო გვაინტერესებდა, ვიდრე მედლები, - ჩაერია საუბარში საქართველოს ძალოსანთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ოლიმპიური ჩემპიონი **გიორგი ასანიძე**. - თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ევროპის ჩემპიონატზე რამდენიმე ათლეტმა თავისი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინა, ნაკრების გამოსვლით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ, მით უმეტეს, რომ გუნდური მე-5 ადგილი დავიკავეთ. რაც მთავარია, ამ შეჯიბრებაზე ჩვენი მზადების ბევრი პლუსი და მინუსი დავინახე, რომლებზე კურადღების გამახვილება გვმართებს.

- მედალოსნებზე რას იტყვით?

- ლაშა ტალახაძემ, მიმაჩნია, რომ ფენომენალური შედეგი აჩვენა: როგორც იცით, ევროპის რეკორდი გაუმჯობესა ატაცში, ხოლო ორჭიდში თავის საუკეთესო მაჩვენებელს გადააჭარბა. აქედან გამომდინარე, რიოს ოლიმპიადაზე მისი ფავორიტობა უფრო გამოიკვეთა, ლაშას ნებისმიერი ხარისხის ოლიმპიური მედლისთვის ბრძოლა შეუძლია, თუმცა, ნუ დაგვავიწყდება რომ გულშემატკივარს ნებისმიერი მედალი არ აკმაყოფილებს. ამიტომაც ვეცდებით, ეს ჯილდო უმაღლესი სინჯისა იყოს, იმის მიუხედავად, რომ ჩემს შეგირდს თამაშებზე საკმაოდ ძლიერი კონკურენტები ეყოლება. რამდენჯერმე მკითხეს, ლაშა შეჯიბრების წინ თუ ღელავდაო. ეს ბუნებრივი პროცესია, მაგრამ მთავარი ის არის, როგორ გადალახავ ამ მომენტს და ამ ღელვას შენ სასარგებლოდ როგორ გამოიყენებ. ჩემმა შეგირდმა შეძლო ეს. არც არის გასაკვირი - როცა ადამიანი ასეთ წონებს იმორჩილებს, ცხადია, ფსიქოლოგიურადაც ყალიბდება და მასში დადებითი განწყობა ჭარბობს, რაც წარმატების წინაპირობაა.

- ატაცში ევროპის რეკორდი წინასწარ გქონდათ დაგეგმილი?

- რეკორდების დამყარება ჩვენი თვითმიზანი არ არის. მთავარია, რაც შეიძლება მაღალ შედეგებზე გავიდეთ. იქ კი რეკორდებიცაა და წარმატებებიც. ლაშასთვის ყველა წონას, რომელსაც იგი დაძლევს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოლიმპიადისთვის - თვითდაჯერების უფრო მაღალი ხარისხი ექნება. ევროპის ჩემპიონატმა გვიჩვენა, რომ ნორვეგიაში ნაჩვენები შედეგები შეგვიძლია,კიდევ რამდენიმე კილოგრამით გავაუჯობესოთ. რიოში ოქროს მოსაპოვებლად არაფერს დავიშურებთ, დანარჩენი კი უფლის ნებაა.

- გოტფრიდზე არაფერი გვითქვამს...

- ანასტასიასაც მინდა წარმატება მივულოცო. წელიწადზე მეტია, იგი საქართველოს სახელით ასპარეზობს, ჩემპიონატზე ღირსეულად გაისარჯა - სამი ვერცხლის მედალი დაიმსახურა. მისი მიზანი არც ყოფილა ევროპის ჩემპიონობა - მთავარი იყო კარგი სტარტი და ოლიმპიური თამაშებისთვის საშეჯიბრო გამოცდილების მიღება.

- ბევრ შერისხულ სპორტსმენს დოპინგის მიღება აპატიეს. ლაშას რუს მეტოქეზეც ხომ არ იმოქმედებს ეს შეწყალება?

- არა მგონია. აკრძალული პრეპარატების მიღებას არავის პატიობენ. აქ ლაპარაკია პირველ მარტამდე ჩატარებულ სინჯებში მილდრონატის ჯგუფის მედიკამენტების კვალზე, რომელიც არ უნდა ჩაითვალოს დანაშაულად, ისეთ მცირე დოზაზეა მინიშნება. რაც შეეხება ლოვჩევს, ამ კატეგორიაში იგი არ მოიაზრება, რადგან იგი სხვა პრეპარატზე ჩავარდა. ასე რომ, არა მგონია, შეწყალება მასაც შეეხოს.

- ოლიმპიური გუნდის შემადგენლობას როდის გაგვაცნობთ?

- ეს ევროპის ჩემპიონატი არ წყვეტდა ოლიმპიური ნაკრების ჩამოყალიბების საკითხს, რადგან წინ გვაქვს საქართველოს ჩემპიონატი. მინდა, რომ თანაბარ პირობებში იყოს ყველა ის სპორტსმენი, რომლებსაც ოლიმპიურ გუნდში მოხვედრის შანსი აქვთ. მართალია, დღევანდელი მონაცემებით ორი გამოკვეთილი ლიდერია, მაგრამ ეს სპორტია და გამორიცხული არაფერია, ამიტომ ნუ ვიჩქარებთ - უმჯობესია, ეროვნულ ჩემპიონატს დაველოდოთ და დასკვნები მერე გამოვიტანოთ. ახლა ერთი კვირის განმავლობაში განტვირთვითი ვარჯიშები გვექნება. მერე საქართველოში, სავარაუდოდ, ბაზალეთზე განვაგრძობთ მომზადებას.

ვაჟა დანელია
ავტორის ფოტო

მილოცვა

გურამ საღარაძე, საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“, საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი ევროპის სარბიელზე ბრწყინვალე წარმატებას ვულოცავთ საქართველოს ძალოსანთა უნიჭიერეს წარმომადგენელს, რიოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიანტს **ლაშა ტალახაძეს.**

ყველას გვეამაყება, რომ ლაშა უფროსი თაობის საქართველოს ძალოსანთა ღირსეული მემკვიდრე და მათი სასახელო ტრადიციების სამაგალითო გამგრძელებელია. გვეამაყება, რომ ეს ათლეტი პიროვნული ღირსებებითაც მისაბაძია ჩვენი ქვეყნის დღევანდელი სპორტული თაობისთვის.

ვულოცავთ ლაშას კიდევ ერთხელ, ვულოცავთ მწვრთნელებს, ოჯახს, საჩხერელებს, ვულოცავთ გიორგი ასანიძეს, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ბოლო პერიოდში საქართველოს ძალოსანთა მაღალ მიღწევებში.

რიოდანაც ოქროს მედლით — ლაშა!

ქართველი NBA-ში

ფაჩულია სასტარტოში!

ზაზა ფაჩულიას შეტევა

NBA-ის პლეი ოფის I წრეში „დალასი" „ოკლაჰომასთან" სერიას 0:1-ს აგებს. **ზაზა ფაჩულიამ** პირველი თამაში სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო, მაგრამ rotoworld.com-ი მიიჩნევს, რომ ეს არასწორი გადაწყვეტილება იყო და უნდა შეიცვალოს.

„შაბათს ზაზა ფაჩულიამ სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო და 21 წუთში 5 ქულა, 6 მოხსნა და ორ-ორი პასი და ჩაჭრა დააგროვა. მას კარგად ნამდვილად არ უთამაშია, მაგრამ უკეთესი იყო, ვიდრე ***სალაჰ მეჯრი****. ამიტომ ზაზამ თავისი შანსი მეორე თამაშში აუცილებლად უნდა მიიღოს. მით უფრო, რომ, როგორც ჩანს,* ***დევიდ ლი*** *ამ სერიაში მონაწილეობას საერთოდ ვერ მიიღებს"*, - წერს საიტი.

dallasnews.com-ი ვარაუდობს, რომ ლოგიკური იქნება, თუ ცენტრთან დაკავშირებული ექსპერიმენტის შემდეგ მწვრთნელი სასტარტოში ზაზა ფაჩულიას დააბრუნებს.

დანიშვნა

საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ბრუკლინ ნეთსს გაუძღვება

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **კენი ატკინსონი** ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის კლუბ „ბრუკლინ ნეთსის" თავკაცად დაინიშნა. ბრუკლინურმა კლუბმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ **ტონი ბრაუნის** ადგილს, რომელიც „ნეთსში" დროებით მთავარ მწვრთნელად მუშაობდა, კენი ატკინსონი დაიკავებს.

ატკინსონი „ატლანტა ჰოუქსის" სამწვრთნელო შტაბში მუშაობდა და ის „ქორების" თავკაცის, **მაიკ ბუდენ-ჰოლცერის** ასისტენტი გახლდათ.

48 წლის კენი ატკინსონი საქართველოს ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბში 2005-08 წლებში მუშაობდა. ის ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელების - **გორდონ ჰერბერტისა** და **კენ შილდსის** ასისტენტი გახლდათ. ამ მწვრთნელებმა ვერ მოახერხეს საქართველოს ეროვნული ნაკრების „ბ" დივიზიონიდან „ა"-ში გადაყვანა და 2008 წლიდან გუნდი **იგორ კოკოშკოვმა** ჩაიბარა.

საქართველოსთან ერთად ატკინსონს სხვა ეროვნულ ნაკრებებში მუშაობის გამოცდილებაც აქვს. ის უკრაინის ნაკრებში **მაიკ ფრატელოს** ასისტენტიც გახლდათ, ხოლო გასულ წელს ფიბა-ამერიკის ჩემპიონატზე დომინიკის რესპუბლიკის ეროვნულ გუნდს თავკაცობდა.

კენი ატკინსონი

ლეგიონი. საფრანგეთი

რუანს ცოტა დააკლდა

გიორგი ცინცაძე (№9)

მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი გამორჩეული მატჩი ჩაატარა ფრანგულმა „რუანმა", რომლის ღირსებასაც ქართველი უკანხაზელი **გიორგი ცინცაძე** იცავს. მიუხედავად კარგი თამაშისა, რუანელები დამარცხდნენ - მათი მეტოქე მეორე ადგილზე მყოფი „ლე მანი" გახლდათ, ხოლო ცინცაძის გუნდი ბოლოსწინა ადგილზეა და დიდი ალბათობით უმაღლესიდან ქვედა ლიგაში გავარდება.

რუანელებმა სტუმრად ერთ-ერთ ლიდერთან მხოლოდ 1 ქულით - 81:82 წააგეს. პირველი ტაიმი ცინცაძის გუნდმა 13 ქულით დათმო, თუმცა მესამე პერიოდის ბოლოსთვის ჩამორჩენა 7 ქულამდე შეამცირა. რუანელებს მოსაგებად დრო აღარ ეყოთ და საბოლოოდ შეხვედრა ბრძოლაში დათმეს.

ცინცაძე მოედანზე 9 წუთით გამოჩნდა და შეხვედრა უქულოდ, ერთადერთი შედეგიანი გადაცემით დატოვა. რუანელთაგან 22 ქულით **გერშონ იუბუსელე** გამოირჩა, ხოლო 21 ქულა **ჟან-მიშელ მიპოკამ** მიითვალა.

რეგულარული ჩემპიონატი 34 ტურისგან შედგება, „რუანს" კი 5 მოგების წილ 24 მარცხი აქვს.

ევროლიგა

დარუშაფაკა ამოიქოქა

მანუჩარ მარკოიშვილის „დარუშაფაკამ" ბოლო ხუთი მატჩიდან მეოთხე მოიგო. ამჯერად ევროლიგაზე. მისი მეტოქე ესპანეთის „უნიკახა" იყო, რომელმაც სტამბოლში ადგილობრივ გუნდთან განსაკუთრებით სუსტად მეორე ტაიმში ითამაშა და „არუშაფაკამაც" 78:55 გაიმარჯვა.

მატჩის ბომბარდირი სტამბოლელი **ლუკ ჰერენგოდი** (21 ქულა) გახდა, ხოლო მარკოიშვილმა 27 წუთში 9 ქულა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. მის ანგარიშზე 5-დან 4 ორქულიანი და 1-დან 1 საჯარიმოა.



„ა" ლიგა

ვითა-კაკტუსი

ვითა თუ კაკტუსი?

დღეს, სუპერლიგის მომავალი სეზონის „ახალწვეული" გამოვლინდება. ეს ან „ვითა" იქნება, ან „კაკტუსი".

ისინი „ა" ლიგის ფინალის დარ მატჩში დღეს დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. შეხვედრა ახალ სპორტის სასახლეში 14:30 საათზე დაიწყება. გამარჯვებული კი სუპერლიგა 2016-17-ის საგზურს მიიღებს.

„ა" ლიგის გათამაშება წრიული სისტემით წარიმართა და სატურნირო ცხრილში პირველ-მეორე ადგილებზე „კაკტუსი" და „ვითა" ავიდნენ, ოღონდ, ჯერაც გასარკვევია, რომელი იქნება პირველი და რომელი - მეორე. ამ გუნდებს შორის სხვაობა მხოლოდ ერთი ქულაა და გამარჯვებული რეგულარულის ჩემპიონადაც გამოცხადდება.

ბოლოს შეგახსენებთ, რომ „ვითას" სწორედ „კაკტუსთან" მომხდარი ამზების შემდეგ დააკლეს ორი ქულა. საქმე ის გახლდათ, რომ პირველ ურთიერთშეხვედრამდე ერთი დღით ადრე აღმოჩნდა - კაკტუსელთა ამერიკელმა ლიდერმა **კლარენს ჯექსონმა** „ვითაში" გადასვლა გადაწყვიტა. ამას სადისციპლინო კომიტეტში დიდი გარჩევა მოჰყვა, ხოლო თავად კალათბურთელმა საქართველო დატოვა, არც „კაკტუსში" უთამაშია, აღარც „ვითაში".

გუნდი	თ	მ	წ	სხ	ქ
1. კაკტუსი	14	12	2	1174/882	26
2. ვითა	14	13	1	1097/837	25*
3. წყალტუბო	14	7	7	944/956	21
4. თსუ	14	5	9	983/1122	19
5. სეუ	14	5	9	939/1128	19
6. ვინგსი	14	0	14	915/1127	14

** - „ვითას" დაკლებული აქვს 2 ქულა.*

ინტერვიუ

ბულაშვილი ბასკეთის ჩემპიონია

ლუკა ბულაშვილი

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრმა **ლუკა ბულაშვილმა** „ბასკონიასთან" ერთად ბასკეთის ჩემპიონობა მოიპოვა. ეს შეჯიბრება წინა ეტაპია ესპანეთის 18-წლამდელთა ჩემპიონატისა. ბასკეთის ორი საუკეთესო გუნდი მაისში ითამაშებს დასკვნით ეტაპზე, სადაც საუკეთესო გუნდები მოიყრიან თავს, მათ შორის „რეალი" და „ბარსელონა".

ბასკეთის პირველობის ნახევარფინალში ბულაშვილის გუნდმა „გუჩო" დაამარცხა. ქართველმა უკანახაზელმა 22 ქულა ჩააგდო. იგი არც ფინალში ჩამოსცილებია 20-ქულიან ნიშნულს - ეასო-სთან მატჩში 24 ქულას მოუყარა თავი. „ბასკონიამ" კი 62:52 გაიმარჯვა.

ლუკას ესპანეთში დავუკავშირდით და შეჯიბრების შესახებ გამოვკითხეთ.

- ბასკეთის ჩემპიონატში რეგულარული ეტაპი ორ ნაწილად იყო გაყოფილი. პირველის დასრულების შემდეგ საუკეთესო ხუთმა გუნდმა ერთმანეთში ჯგუფური სისტემით ითამაშა. მათგან უარესი შედეგის მქონე შეჯიბრებას გამოეთიშა, ხოლო დანარჩენი ოთხი ნახევარფინალში დაწყვილდა. ნახევარფინალში „გუჩოს" ვაჯობეთ, ფინალში - ეასო-ს

- „ბასკონია" თავის რეგიონში პირველია, რას ელით ესპანეთის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე?

- რადგან რეგიონის ტურნირი პირველ ადგილზე დავასრულეთ, ჯგუფებში გუნდების განაწილებისას ლიდერები არ შეგვხვდებიან. მათ შორის „ბარსა" და „რეალი", რომლებიც თავის რეგიონებში ასევე პირველები იყვნენ. კარგი გუნდი გვყავს და ვეცდებით, პლეი ოფში რაც შეიძლება წინ წავიდეთ. სხვათა შორის, მარტის ბოლოს სარაგოსაში გამართულ ტურნირზე საკუთარი ძალების შემოწმების კარგი შესაძლებლობა გვქონდა. „ვალენსიას" 20 ქულის სხვაობით ვაჯობეთ, ხოლო „ხუვენტუდთან" 7 თუ 8 ქულით დავმარცხდით. 18-წლამდელებში „ხუვენტუდი" ესპანეთში მეორე გუნდად ითვლება. პირველია „რეალი".

- ესპანეთის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი როდის იწყება?

- პირველი მაისიდან.

- ვერცხლის ლიგის წარმომადგენელ „არაბერიშიც" თამაშობ.

- გუნდი პლეი ოფშია გასული. ბოლო დროს, „არაბერისა" და 18-წლამდე „ბასკონიას" თამაშები ერთმანეთს ემთხვეოდა და ამიტომ, გუნდს ვერცხლის ლიგაში ვერ ვეხმარებოდი. „არაბერშიც" კარგი შემადგენლობაა, გუნდი მეოთხედფინალშია გასული.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

TOP 14 RUGBY · PRO D2 RUGBY

საფრანგეთის ჩემპიონატი

ნარიაშვილი სიმბოლურში

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატში ბოლო ტურებში წარმატებით ასპარეზობს ქართველი მორაგბეების, **მიხეილ ნარიაშვილისა** და **დავით ქუბრიაშვილის** „მონპელიე". ჩვენებურთა ამ გუნდმა 21-ე ტურის მატჩში სტუმრად მოუგო საფრანგეთის მოქმედ ჩემპიონს, **ზურაბ ჟვანიასა** და **გიორგი მელიქიძის** „სტად ფრანსეს" 26:20.

ნარიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 48-ე წუთზე შეცვალეს. მიუხედავად ამისა, ყოველდღიურმა სარაგბო გაზეთმა „მიდი ოლიმპიკმა" ის ტურის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა.

15. დელონ არმითიჯი (ტულონი), 14. ალოფა ალოფა (ლა როშელი), 13. ორელიან რუჟერი (კლერმონი), 12. ლევანი ბოტია (ლა როშელი), 11. დევიდ სმითი (კასტრი), 10. ბენჟამინ ურდაპილიეტა (კასტრი), 9. ბენუა პელონგი (მონპელიე). 8. კამილ ჟერონდო (კლერმონი), 7. სტეფონ არმითიჯი (ტულონი), 6. პოუტასი ლუაფუტუ (ბრივი), 5. როდრიგო კაპო ორტეგა (კასტრი), 4. გრეგორი ლამბოლეი (ტულუზი), 3. კლემან რიჩი (კლერმონი), 2. იკაირო ფორბე (ლა როშელი), 1. მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე).

გაუძლებს მონპელიე კონკურენციას?

კარლენ ასეიშვილი

საფრანგეთის **სარაგბო ჩემპიონატის რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტურიღა დარჩა. საპლეიოფო ექვსეულში მოსახვედრად ბრძოლა სულ უფრო მწვავდება. მით უფრო, რომ სამმა გუნდმა, ფაქტობრივად, გაინაღდა იქ თამაშის უფლება. ესენია: „კლერმონი". „მონპელიე" და „ტულონი".**

„კლერმონი", მიუხედვად იმისა, რომ ტრავმებისა და დისკვალიფიკაციის გამო, რამდენიმე მორაგბე აკლია, მათ შორის ქართველები, **დავით ზირაქაშვილი** და **ვიქტორ კოლელიშვილი**, გამარჯვებათა სერიას განაგრძობს და გათამაშების ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად იქცა.

„ვულკანების'მეტოქე 21-ე ტურში აუტსაიდერი, **თამაზ მჭედლიძისა** და **გიორგი თეთრაშვილის** „აჟენი"იყო. ლიდერს საკუთარ მოედანზე აჟენელთა დამარცხება არ გასჭირვებია - 38:10. ქართველთაგან მხოლოდ მჭედლიძემ ითამაშა.

თვალსაჩინოა მიხეილ ნარიაშვილისა და დავით ქუბრიაშვილის „მონპელიეს" პროგრესი. სამხრეთაფრიკელი სპეციალისტის **კრის ვაითის** ხელმძღვანელობით გუნდმა სტაბილურად თამაში დაიწყო და ახლა სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა. გამორიცხული არ არის, „მონპელიე" საფრანგეთის ახალი ჩემპიონი გახდეს. ამის პოტენციალი გუნდს აშკარად გააჩნია.

ცხადია, სათვალავიდან არც **მამუკა გორგოძის, ლევან ჩილაჩავას, კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ტულონის" ამოგდება იქნება მართებული. ეს გუნდი მძიმედ, ჭრიალ-ჭრიალით, მაგრამ მაინც წინ მიიწევს. ჩემპიონთა თასზე განცდილი მარცხის შემდეგ „ტულონმა" სტუმრად ითამაშა „პოსთან" და 25:9 გაიმარჯვა. გორგოძემ ისევ მეორე ხაზში სრულად ითამაშა, ჩილაჩავა მოედანზე 50-ე წუთიდან გამოჩნდა.

ფავორიტების, **ვასილ კაკოვინის** „ტულუზისა" და **დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგის" დაპირისპირებაში გამარჯვება პირველს დარჩა - 14:3. ორივე ეს კლუბი, სავარაუდოდ, პლეი ოფში გააღწევს და პირველობისთვის ბრძოლაში დანარჩენებს სერიოზულ კონკურენციას გაუწევენ.

გოდერძი შველიძის, კარლენ ასეიშვილისა და **გიორგი ჟღენტის** „ბრივმა" შინ დაამარცხა „ოიონაქსი" - 31:13. ასეიშვილმა, რომელიც 48-ე წუთზე შეცვალეს, მატჩის მე-18 წუთზე ლელო გაიტანა. ეს მისი მეორე ლელოა მიმდინარე გათამაშებაში.

ელიტური, მეორე დივიზიონის გათამაშებაში **ზაზა ნავროზაშვილის** „ლიონი" ოფიციალურად დააჯილდოვეს პირველადგილოსანისთვის განკუთვნილი ფარით. ლიონელებმა მიმდინარე გათამაშებაში მხოლოდ სამი მატჩი წააგეს და გათამაშება ხუთი ტურით ადრე მოიგეს. ეს გუნდი უკვე ახალი სეზონისთვის ემზადება და საკმაოდ სერიოზული შემადგენლობის თავმოყრას აპირებს.

პლეიო ოფში და, შესაბამისად, მეორე საგზურისთვის ბრძოლას განაგრძობენ ქართველ მორაგბეთა გუნდები: „ბაიონი", „ორიაკი", „ბეზიე", „პერპინიანი" და „მონ დე მარსანი".

TOP 14	
დავით ხინჩაგიშვილი (რასინგი)	განაცხადში არ იყო
გიორგი ნაცარაშვილი (პო)	განაცხადში არ იყო
მამუკა გორგოძე (ტულონი)	ძირითადში
ლევან ჩილაჩავა (ტულონი)	შეცვლაზე (50 წთ)
კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი)	განაცხადში არ იყო
ირაკლი ნატრიაშვილი (ტულონი)	განაცხადში არ იყო
თამაზ მჭედლიძე (აჟენი)	ძირითადში
გიორგი თეთრაშვილი (აჟენი)	განაცხადში არ იყო
მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე)	ძირითადში (48 წთ)
დავით ქუბრიაშვილი (მონპელიე)	შეცვლაზე (48 წთ)
გაგი ბაზაძე (ლა როშელი)	განაცხადში არ იყო
ლექსო ყაულაშვილი (ლა როშელი)	განაცხადში არ იყო
ზურაბ ჟვანია (სტად ფრანსე)	შეცვლაზე (66 წთ)
გიორგი მელიქიძე (სტად ფრანსე)	განაცხადაში არ იყო
ვასილ კაკოვინი (ტულუზი)	განაცხადში არ იყო
კარლენ ასეიშვილი (ბრივი)	ძირითადში (48 წთ)
გიორგი ჟღენტი (ბრივი)	განაცხადში არ იყო
გოდერძი შველიძე (ბრივი)	განაცხადში არ იყო
დავით ზირაქაშვილი (კლერმონი)	ტრავმირებულია
ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი)	დისკვალიფიკაცია

PRO D2	
ანტონ ფეიძრიშვილი (ბაიონი)	შეცვლაზე (63 წთ)
ზაზა ნავროზაშვილი (ლიონი)	ტრავმირებულია
გიორგი ჯავახია (ლიონი)	განაცხადში არ იყო
გიორგი ზაქაშვილი (ექსი)	ძირითადში (52 წთ)
ლაშა ლომიძე (ბეზიე)	შეცვლაზე (40 წთ)
ლევან დათუნაშვილი (ორიაკი)	ძირითადში
მერაბ შარიქაძე (ორიაკი)	ძირითადში
გიორგი შარაშიძე (ორიაკი)	განაცხადში არ იყო
ნიკოლოზ ხატიაშვილი (ორიაკი)	ძირითადში (60 წთ)
გიორგი ნემსაძე (ტარბი)	დისკვალიფიკაცია
ირაკლი მირცხულავა (ტარბი)	ძირითადში (61 წთ)
კახა კობერიძე (ტარბი)	შეცვლაზე (61 წთ)
ბექა შეყლაშვილი (ალბი)	შეცვლაზე (47 წთ)
ვახტანგ მაისურაძე (ალბი)	ძირითადში (47 წთ)
ელიზბარ ყუფარაძე (დაქსი)	შეცვლაზე (54 წთ)
გიორგი მჭედლიშვილი (პერპინიანი)	შეცვლაზე (66 წთ)
დიმიტრი ბასილაია (პერპინიანი)	განაცხადში არ იყო
ტარიელ რატიანიძე (ნარბონი)	ძირითადში
ასტამურ იოსელიანი (ნარბონი)	განაცხადში არ იყო
ბექა გორგაძე (მონ დე მასრანი)	ძირითადში

TOP 14 XXI ტური	
გრენობლი-კასტრი	**28:33**
პო-ტულონი	**9:25**
ბრივი-ოიონაქსი	**31:13**
კლერმონი-აჟენი	**38:10**
ლა როშელი-ბორდო	**22:15**
სტად ფრანსე-მონპელიე	**20:26**
ტულუზი-მეტრო რასინგი	**14:3**

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ(ა)
1. კლერმონი	21	15	1	5	+240	75(13)
2. მონპელიე	21	15	0	6	+136	68(8)
3. ტულონი	21	13	0	8	+245	67(14)
4. რასინგი	21	14	1	6	+31	64(6)
5. ტულუზი	21	11	2	8	+194	57(9)
6. კასტრი	21	11	0	10	+60	53(9)
7. ბორდო	21	11	2	8	+50	53(5)
8. ლა როშელი	21	10	0	11	-16	48(8)
9. ბრივი	21	10	1	10	-23	47(6)
10. გრენობლი	21	10	0	11	-50	47(7)
11. პო	21	9	1	11	-169	41(3)
12. სტად ფრანსე	21	7	0	14	-94	32(4)
13. ოიონაქსი	21	4	0	17	-341	18(2)
14. აჟენი	20	3	0	18	-263	16(4)

XXVI ტური	
მონტობანი-პერპინიანი	**28:25**
კარკასონი-ბიარიცი	**32:27**
ექსი-ბურგუენი	**29:6**
ალბი-მონ დე მარსანი	**19:27**
ბაიონი-ტარბი	**28:10**
ნარბონი-კოლომიე	**34:6**
დაქსი-ორიაკი	**26:18**
ლიონი-ბეზიე	**38:17**

სატურნირო მდგომარეობა						
	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ლიონი	26	23	0	3	+443	106(14)
2. ბაიონი	26	16	1	9	+45	73(7)
3. ორიაკი	26	15	0	11	+84	68(8)
4. პერპინიანი	26	13	1	12	+68	64(10)
5. ბეზიე	26	14	1	11	+58	64(6)
6. მარსანი	26	14	1	11	-21	63(5)
7. კოლომიე	26	12	3	11	-24	61(7)
8. ბურგუენი	26	11	0	15	-9	56(12)
9. მონტობანი	26	12	0	14	-22	56(8)
10. ალბი	26	12	2	12	-30	56(4)
11. ბიარიცი	26	12	0	14	+37	55(7)
12. ნარბონი	26	12	0	14	-38	55(7)
13. ტარბი	26	11	0	15	-54	45(9)
13. კარკასონი	26	10	0	16	-205	45(5)
14. დაქსი	26	8	1	17	-166	40(6)
16. ექსი	26	8	0	18	-166	37(5)

საკონტროლო მატჩი

მარცხი კრასნი იართან

საქართველოში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა რუსეთის ჩემპიონმა კრასნოიარსკის „კრასნი იარმა" საწვრთნელი შეხვედრა თბილისის „აკადემიასთან" გამართა და 26:5 დაამარცხა.

„აკადემიას", რომელმაც საქართველოს ჩემპიონატის რეგულარული გათამაშება მე-7 ადგილზე დაასრულა, რამდენიმე მოთამაშე ტრავმის გამო აკლდა. ნაწილი კი საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების საწვრთნელ შეკრებაზეა გამოძახებული. აკადემიელთა მთავარმა მწვრთნელმა **ლევან ობოლაძემ** გადაწყვიტა, სათადარიგო გუნდის 10 მორაგბისთვის შანსი მიეცა და ისინი ბევრად ძლიერ მეტოქესთან საქმეში ენახა

რადგან შეცვლები შეუზღუდავი იყო, რუსებმა თბილისში მყოფი პრაქტიკულად ყველა მორაგბე ჩართეს საქმეში. რამდენიმეს „კრასნი იარში" დებიუტი ჰქონდა, მათ შორის საქართველოს ნაკრების მგეზავ **ლაშა მალაღურაძესაც**, რომელმაც ერთი გარდასახვა გაიტანა.

„აკადემიამ" საგრძნობი წინააღმდეგობა მეტოქეს პირველ ტაიმში გაუწია. სტუმრებმა მხოლოდ ერთი ლელოს გატანა შეძლეს. შესვენების შემდეგ კრასნოიარსკელებმა კიდევ სამი ლელო მიითვალეს, რაზეც „აკადემიამ" მხოლოდ ერთით უპასუხა.

„აღსანიშნავია, რომ ფიზმომზადებაში, შესაბამისად სისწრაფესა და გამძლეობაში სტუმრები გვჯობდნენ და დაცვაში გვინევდა თამაში. თუმცა, არც ჩვენი ბიჭები იყვნენ მდევრის როლში და რაკებში, თერნოვერებში, შეიძლება ითქვას, რომ ვაჯობეთ მეტოქეს. თუმცა, როგორც აღვნიშნე, მეტოქემ სისწრაფითა და მომზადების დონის წყალობით მოგვიგო." - თქვა ლევან ობოლაძემ.

შეგახსენებთ, რომ „კრასნი იარის" თბილისური შეკრება 26 აპრილამდე გასტანს და კიდევ ორი ამხანაგური მატჩის გამართვას გეგმავს. მეტოქეები მოგვიანებით გაირკვევა.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

NBA

პლეი ოფი



წლის დამცველი ლეონარდია

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ 2015-16 წლების რეგულარული ჩემპიონატის ლაურეატების დასახელება დაიწყო. გუშინ ცნობილი გახდა, რომ სეზონის საუკეთესო დამცველი გახდა „სან ანტონიოს" მსუბუქი ფორვარდი **კავაი ლეონარდი**. მან ეს პრიზი ზედიზედ მეორედ მოიპოვა.

ხმის მიცემის შედეგად, ლეონარდმა 547 ქულა დააგროვა და 126 ქულით გაუსწრო უახლოეს მდევარს - **დრეიმონდ გრინს** „გოლდენ სტეიტიდან". 83 ქულით მესამეზეა „მაიამის" ცენტრი **ჰასან უაიტსაიდი**.

დასრულებულ რეგულარულ სეზონში 24 წლის ლეონარდმა 72 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ, 21.2 ქულა, 6.9 მოხსნა და 2.6 შედეგიანი პასი დააგროვა.

კლივლენდზე შთამბეჭდავი მაიამი

გუშინდელი ოთხი მატჩის შედეგებს თუ გადავხედავთ, ყველაზე მეტად აღმოსავლეთის ლიდერს „კლივლენდს" გაუჭირდა სერიის პირველი მატჩის მოგება. „დეტროიტთან" საშინაო შეხვედრაში, ლიდერი 17-ჯერ შეიცვალა და 21-ჯერ დაფიქსირდა თანაბარი ანგარიში. ასე რომ, მატჩის ბედი ისეთმა წვრილმანებმა გადაწყვიტა, როგორიც იყო, მაგალითად, შეხვედრის ბოლოს **რეჯი ჯექსონის** ტექნიკური ჯარიმა, რამაც „კლივლენდს" დამატებით ერთი მნიშვნელოვანი ქულა მისცა. ეს და სხვა შეცდომები **სტენ ვან განდის** გუნდს შვიდქულიან წამორჩენად დაუჯდა, რომელიც სტუმრებმა ვერ გაბათილეს.

რთული გამარჯვების მიუხედავად, „კლივლენდის" გულშემატკივრებს ოპტიმიზმის საბაბს აძლევს „დიდ ტრიოს" წევრების შედეგიანობა და შეთამაშება. **ლებრონ ჯეიმსმა**, **კაირი ირვინგმა** და **კევინ ლავმა** გუნდური 106 ქულიდან 81 თავის ანგარიშზე ჩაიწერეს. ბევრ შეტევაში ლებრონს თავის მხარეს გადაყავდა მეურვეები და ბურთს უგდებდა თავისუფალ პარტნიორებს. ამით ჯეიმსმა 11 შედეგიანი პასით ორმაგი დუბლი შეასრულა. ხოლო ლავი ბრწყინვალედ იბრძოდა ფარქვეშ და მეტოქეს მთელი მატჩის განმავლობაში, შეტევაში მხოლოდ ხუთი ბურთი მოახსნევინა.

კლივლენდი-დეტროიტი 106:101

27:25, 26:33, 23:20, 30:23

კ: ირვინგი (31+6 პასი+5 მოხსნა), ლავი (28+13 მოხსნა), ჯეიმსი (22+11 პასი+6 მოხსნა+2 დაფარება), სმიტი (9+3 პასი), დელავედოვა (7), ჯეფერსონი (5), ტომპსონი (2+6 მოხსნა), შამპერტი (2).

დ: კოლდუელ-პოუპი (21+3 პასი), მორისი (20+5 პასი), ჯექსონი (17+7 პასი), დრამონდი (13+11 მოხსნა), ჯონსონი (9+მოხსნა), ჰარისი (9+10 მოხსნა), ბალოკი (8), ბეინსი (3), ბლეიკი (1+6 პასი).

რეალიზაციის პროცენტი: თამაშიდან (44.3/50.7), სამქულიანები (34.3/51.7), საჯარიმოები (76.2/75).

სერია: 1-0

■ ■ ■

„მაიამმ" პირველ მეითხედში გადაწყვიტა მატჩის ბედი, როცა სასტარტო 12-წუთეული 19 ქულით მოიგო, თან გაიმეორა ერთ მეოთხედში დაგროვილი ქულების პირადი რეკორდი (41 ქულა).

ფლორიდელებმა არც მეორე მეოთხედში დააგდეს ტემპი. განსაკუთრებით კარგად **ერიკ სპოელსტრას** შეგირდებს მეტოქის სამწამიანში თამაში გამოსდიოდათ, საიდანაც 28 ბურთი ჩააგდეს. ამდენი ზუსტი ტყორცნა მის მეტოქეს მთლიანად მატჩში ჰქონდა. ამ ყველაფერმა ის გამოიწვია, რომ „ჰიტმა" საკლუბო რეკორდი დაამყარა - გუნდს პლეი ოფის მატჩში 123 ქულა აქამდე არასოდეს დაგროვებია.

მაიამი-შარლოტი 123:91

41:22, 26:28, 30:24, 26:17

მ: დენგი (31+7 მოხსნა), უაიტსაიდი (21+11 მოხსნა+3 დაფარება), უეიდი (16+7 პასი), ჯონსონი (11+6 მოხსნა+3 პასი), სტაუდმაიერი (11), დრაგიჩი (9+10 პასი), რიჩარდსონი (8+5 მოხსნა+3 პასი), რაიტი (8), უინსლოუ (8).

შ: ბაგუმი (24), უოკერი (19), ჯეფერსონი (13+5 მოხსნა), ზელერი (9+7 მოხსნა), ლინი (9+3 პასი), ლი (8), ლემბი (4), ჰოსი (3), უილიამსი (2).

რეალიზაციის პროცენტი: თამაშიდან (57.6/43.1), სამქულიანები (50/35.3), საჯარიმოები (76.2/78.4).

სერია: 1-0

ლებრონს ყველაფერი ეპატიება

„კლივლენდისა" და „დეტროიტის" გუშინდელ შეხვედრას თან ახლდა სკანდალური მინი-ინტერვიუ, რომელიც ერთ-ერთი შესვენებისას მისცა „პისტონზის" მთავარმა მწვრთნელმა **სტენ ვან განდიმ**. მან მსაჯების მოქმედებაზე გამოთქვა კრიტიკა, რადგან მიიჩნია, რომ მათ ორი აშკარა ჯარიმა ვერ დაინახეს ლებრონ ჯეიმსის მხრიდან.

„ზოგიერთმა გადაწყვეტილებამ წყობიდან გამოიყვანა ჩემი ბიჭები. მათ უნდა ესმოდეთ, რომ ლებრონი - ეს არის ლებრონი და არავინ დაუსტვენს მის წინააღმდეგ შეტევაში. ჯეიმსს ყველაფრის კეთების უფლება აქვს და ამას უნდა შევურიგდეთ", - თქვა ვან განდიმ, რომელსაც ამ სიტყვებისთვის სოლიდური ფულადი ჯარიმა ელოდება.

ცალფარა თამაშები

„სან ანტონიო" არ ჩამორჩა დასავლეთის სხვა ფავორიტებს - „გოლდენ სტეიტსა" და „ოკლაჰომას" და მანაც ძალიან დამაჯერებელი სტარტი აიღო პლეი ოფში. მეორე ტაიმის დებიუტში 11-დან 10 სროლის გამოყენების შემდეგ, დაფიქსირდა „სპურსის" 33:14 გაქცევა, რითაც მატჩმა ყოველგვარი აზრი დაკარგა. ამით დამყარდა NBA-ის ახალი რეკორდი. აქამდე, ლიგის ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, როცა პლეი ოფის პირველი რაუნდის ოთხ საწყის შეხვედრაში მინიმუმ 25-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა.

მესამე მეოთხედის შემდეგ, **გრეგ პოპოვიჩმა** დასვენების საშუალება მისცა ძირითადი ხუთეულის წევრებს. მატჩის ხასიათზე კარგად მეტყველებს ერთი ფაქტი: „სპურსის" არც ერთ კალათბურთელს არ გაუტარებია მოედანზე ნახევარ საათზე მეტი, რაც პლეი ოფის მატჩებში ძალიან იშვიათად ხდება.

ტონი პარკერმა მხოლოდ 21 წუთი ითამაშა და ექვსი შედეგიანი პასის შესრულება მოასწრო, რითაც პლეი ოფში ყველა დროის საუკეთესო ასისტენტთა სიაში ორი საფეხურით მაღლა აიწია - გაუსწრო **ლარი ბერდსა** და **სტივ ნეშს** და ჩამორჩება მხოლოდ **მეჯიქ ჯონსონს**, **ჯონ სტოქტონს**, **ჯეისონ კიდსა** და **ლებრონ ჯეიმსს**.

სან ანტონიო-მემფისი

სან ანტონიო-მემფისი 106:74

22:13, 26:24, 33:14, 25:23

ს-ა: ლეონარდი (20+4 ჩაჭრა+3 დაფარება), ოლდრიჯი (17+2 დაფარება), პარკერი (15+6 პასი), მილზი (15), მარტინი (10), დანკანი (7+11 მოხსნა+2 დაფარება), მარიანოვიჩი (6), დიაო (4+5 პასი), უესტი (4+5 მოხსნა), გრინი (3+3 ჩაჭრა), სიმონსი (3), ჯენობილი (2+7 მოხსნა+3 პასი).

მ: კარტერი (16), სტივენსონი (14), ალენი (7), გრინი (7), რენდოლფი (6+5 მოხსნა+3 პასი), ფარმარი (6+3 პასი), მარტინი (5), ჰეირსტონი (5), მენფორდი (4+4 პასი+3 ჩაჭრა), ანდერსენი (2+9 მოხსნა), ბარნსი (2).

რეალიზაციის პროცენტი: თამაშიდან (51.9/39.2), სამქულიანები (43.5/44.4), საჯარიმოები (92.3/66.7).

სერია: 1-0

■ ■ ■

ინტრიგა არ ყოფილა დღის ბოლო მატჩშიც. „პორტლენდი" თითქოს თანაბრად ებრძოდა პირველ ტაიმში „კლიპერსს", მაგრამ დიდი შესვენების წინ, 2:11 გაქცევა გამოეპარა და ამის შემდეგ, სტუმრების თამაში საბოლოოდ მოიშალა.

კალიფორნიელთა რიგებში, თავდაპირველად, **ბლეიკ გრიფინი** გამოირჩეოდა, რომელმაც პირველ მეოთხედში 10 ქულა დააგროვა, ამის შემდეგ კი „კლიპერსის" ლიდერობა თავის თავზე აიღო **კრის პოლმა**. გარდა იმისა, რომ მასპინძლების გამთამაშებელმა შთამბეჭდავი ორმაგი დუბლი შეასრულა (28 ქულა და 11 პასი). მას სარგებლიანობის კოეფიციენტი „+29" ჰქონდა, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ 33 წუთის განმავლობაში, როცა პოლი მოედანზე იყო, მისმა გუნდმა მეტოქეზე 29 ქულით მეტი დააგროვა.

კლიპერსი-პორტლენდი 115:95

26:21, 24:21, 31:24, 34:29

კ: პოლი (28+11 პასი+6 მოხსნა), გრიფინი (19+12 მოხსნა+6 პასი), ჯორდანი (18+12 მოხსნა+4 დაფარება), რედიკი (17), კროუფორდი (13), რივერსი (11), გრინი (3), ჯონსონი (3), პირსი (2), ოლდრიჩი (1+5 მოხსნა), მბა ა მუტე (0+5 მოხსნა).

პ: ლილარდი (21+8 პასი), ჰენდერსონი (16+3 პასი), ამინუ (10+12 მოხსნა+3 პასი), მაკალუმი (9+3 პასი), ჰარკლესი (9+2 დაფარება), დევისი (6+8 მოხსნა), კამანი (6), კრაბე (6), კონოტონი (5), პლამლი (4+5 მოხსნა), მონტერო (3).

რეალიზაციის პროცენტი: თამაშიდან (53.8/39.8), სამქულიანები (35.3/33.3), საჯარიმოები (64.1/73.1).

სერია: 1-0

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისი

სტოკი-ტოტენჰემი	0:4

იტალია

სერია B

ჩეზენა-კროტონე	2:1

ლიგა პრო. A ჯგუფი

ალგინოლეფე-პადოვა	2:4
ჩიტადელა-პორდენონე	3:1

ლიგა პრო. C ჯგუფი

ფოჯა-აკრაგასი	2:1

გერმანია

II ბუნდესლიგა

ბრაუნშვაიგი-ფრაიბურგი	2:2

საფრანგეთი

II დივიზიონი

დიჟონი-პარიზი	3:0

პორტუგალია

ბრაგა-ტონდელა	3:0
ბენფიკა-სეტუბალი	2:1

დანია

ესბერგი-ვიდტიულანდი	0:2

ნორვეგია

II დივიზიონი

ფრედრიკსტადი-კრისტიანსუნდი	0:1

შვედეთი

ელფსბორგი-მალმიო	0:1
სუნდსვალი-ერებრო	3:1

II დივიზიონი

ტრელებორგი-აფკ იუნაიტედი	1:0
სირიუსი-დალკურდი	1:2

ფინეთი

ინტერი-კუოპიო	3:1
ლაჰტი-ჰიფკ	2:2
ჰიკ-სეინაიოენი	2:1

შვეიცარია

ჩელენჯლიგა

შაფჰაუზენი-ვინტერთური	2:2

თურქეთი

გენჩლერი-ტრაბზონი	3:1

II დივიზიონი

გირესუნი-სამსუნი	2:0
ბალიქესირი-ადანა	1:2
გიოზთეფე-ბოლუ	0:0
დენიზლი-ძარსიაძა	0:0

რუსეთი

ურალი-რუბინი	0:1

II დივიზიონი

ლუჩ-ენერგია-გაზოვიკი	1:1
სკა ენერგია-ტომი	1:0
ენისეი-ვოლგარი	0:2
სიბირი-ზენიტი II	2:0
სპარტაკი II-ტორპედო (ა)	1:0
კამაზ-ფაკელი	0:0
ვოლგა (ნ-ნ)-არსენალი (ტ)	1:2
სოკოლი-ტოსნო	3:2

რუმინეთი

ვიიტორული-პანდური	0:2
იასი-პოლი ტიმიშოარა	0:0

ისრაელი

ბეითარი-ჰაპოელი (რ)	1:0

კალათბურთი

ევროლიგა

ცრ. ზვეზდა-ცსკა	71:78

საფრანგეთი

სტრასბური-პო ორტეზი	68:62

იტალია

ვენეცია-პისტოია	74:68

თურქეთი

ბეშიქთაში-დარუშაფაკა	80:74

პოკერი

ჩეხეთი

სპარტა-ლიბერეცი	4:1

ჩოგბურთი

ATP. ბარსელონა

ბანისი-**დონსკოი**	5:7, 6:7(5)
ჟაზირი-ჩუნგი	6:3, 6:4
კუკუშკინი-**ესტრელია**	6:3, 2:6, 2:6
ხირალდო-**შტეპანეკი**	4:6, 5:7
სკოგური-**სეერვანტესი**	3:6, 4:6
ხაჩანოვი-ბედენე	3:6, 6:3, 7:6
კაბრალიესი-**მონტანიესი**	3:6, 3:6
გაბაშვილი-ალმაგრო	1:6, 7:6, 6:2
შტრუფი-**ზვერევი**	4:6, 3:6

ATP. ბუქარესტი

ედმუნდი-როსოლი	7:6(4), 7:6(5)
უნგური-**პეია**	5:7, 2:6
ლინცერი-**დანიელი**	2:6, 0:6
ძუმპური-კოპილი	6:1, 3:6, 6:2

WTA. სტამბოლი

ჰიბინო-იასტრემსკა	2:6, 6:4, 6:3
ნარა-**კოვინიჩი**	3:6, 3:6

WTA. შტუტგარტი

ფრიდზემი-კონტა	6:3, 6:3
ლისიცკი-**ბაბოში**	6:7, 3:6

TV-პროგრამა (პირდაპირი რეპორტაჟები)

SILK SPORT HD1

19 აპრილი. სამშაბათი

22:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-მანჩესტერ სიტი (LIVE).

SILK SPORT HD2

19 აპრილი. სამშაბათი

22:45 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. III მატჩი. ბარსელონა-ლოკომოტივი (LIVE).
03:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ატლანტა-ბოსტონი (LIVE).

SILK-უნივერსალი

19 აპრილი. სამშაბათი

22:45 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ვიტესი (LIVE).

SETANTA SPORT

19 აპრილი. სამშაბათი

22:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-ლას პალმასი (LIVE).

ჰოკეი. NHL. პლეი ოფი

აღმოსავლეთი

დეტროიტი-ტამპა ბეი 2:0

0:0, 2:0, 0:0

გოლები: 1:0 ატანასიუ-1 (ტატარი-3, ჟ. ანდერსონი-1), 2:0 ზეტერბერგი-1.

სერია: 1-2

აილენდერსი-ფლორიდა 4:3 (ო)

0:1, 3:2, 0:0, 1:0

გოლები: 0:1 რ. სმიტი-4 (პეტროვიჩი-2, მატესონი-1), 0:2 ბარკოვი-1 (რ. სმიტი-3, იუბერდო-2), 1:2 პალოკი-1 (ოკსიპო-3, ტავარესი-3), 1:3 ბიუგსტადი-2 (რ. სმიტი-4, კულიკოვი-3), 2:3 პრინსი-1 (პალოკი-1, დე ჰაანი-1), 3:3 ნილსენი-2 (ტავარესი-4, ოკსიპო-4), 4:3 ჰიკი-1 (ნელსონი-1, ბეილი-1).

სერია: 2-1

03:00 ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. რეინჯერსი-პიტსბურგი (LIVE).

SETANTA SPORT+

19 აპრილი. სამშაბათი

22:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-ბოლონია (LIVE).

ამინდი

19 აპრილი

თბილისი	8	23	მზე
ქუთაისი	9	24	მზე
ბათუმი	11	24	მზე
ბორჯომი	3	22	მზე
ზუგდიდი	8	25	მზე
ბაკურიანი	-2	16	მზე
გორი	7	22	მზე
თელავი	9	23	მზე
მესტია	3	16	მცირე წვიმა
სიღნაღი	9	22	მზე
ფოთი	11	25	მზე

დასავლეთი

ჩიკაგო-სტ. ლუისი 2:3

1:1, 1:0, 0:2

გოლები: 1:0 სიბრუკი-1 (ტეივზი-2, პ. კეინი-3), 1:1 პარაიკო-1 (პიეტრანჯელო-2, ფაბრი-1), 2:1 ანისიმოვი-1 (პანარინი-1), 2:2 ბერგლუნდი-1 (შატენკირკი-1, ფაბრი-2), 2:3 შვარცი-1 (ბეკსი-2, ტარასენკო-1).

სერია: 1-2

ანაჰაიმი-ნეშვილი 2:3

1:1, 0:2, 1:0

გოლები: 1:0 კოლიანო-1, 1:1 ეკჰოლმი-1 (კ. უილსონი-1, კ. სმიტი-1), 1:2 კ. სმიტი-1 (ფორსბერგი-1, იოსი-2), 1:3 შ. უებერი-1 (იოსი-3, ფორსბერგი-2), 2:3 ნ. ტომპსონი-1 (სილფვერბერგი-1, კოლიანო-2),

სერია: 0-2

ლეგენდა

NBA-ის მესამე პომბარდირი და დაუფასებელი ასისტენტი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხუთგზის ჩემპიონმა და „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ 18-გზის მონაწილემ **კობი ბრაიანტმა** 20-წლიანი ბრწყინვალე კარიერა დაასრულა. საინტერესოა, კალათბურთიდან წასვლის შემდეგ, რა ადგილი უკავია „ლეიკერსის“ ლეგენდას სხვადასხვა სტატისტიკურ რეიტინგში...



მატჩები

20 სეზონის განმავლობაში, კობიმ მონაწილეობა მიიღო რეგულარული ჩემპიონატის 1346 მატჩში. ეს არის ლიგის ისტორიაში მე-11 შედეგი. ტოპ-ათეულში მოსახვედრად „ლეიკერსის“ მცველს 34 შეხვედრა დააკლდა.

ბოლო ოთხი წელია, კალიფორნიული კლუბი პლეი ოფში არ ყოფილა. ბრაიანტმა იქ 220 მატჩი ჩაატარა და ამ მაჩვენებლით მეხუთე ადგილზეა. ჩამორჩება მხოლოდ **ტიმ დანკანს**, **ქარიმ აბდულ-ჯაბარს**, **დერეკ ფიშერსა** და **რობერტ ორის**.

სათამაშო დრო

„ლეიკერსის“ გულშემატკივრებს 48 637 წუთის განმავლობაში შეეძლოთ ბრაიანტის ოსტატობაზე დაკვირვება - ეს არის მეექვსე მაჩვენებელი ისტორიაში. მაგრამ, უკვე მომდევნო სეზონში კობი, შესაძლოა, უკან ჩამოიტოვონ დანკანმა (47 368) და **დირკ ნოვიცკიმ** (47 249).

ახალგაზრდობაში კობი ბრაიანტი პლეი ოფი მატჩებში თითქმის შეუცვლელად თამაშობდა. სულ მან 8 641 წუთი გაატარა მოედანზე და ყველა დროის სიაში მესამე ადგილი დაიმკვიდრა. მასზე უფრო დიდი სათამაშო დრო დანკანსა (9 152) და აბდულ-ჯაბარს (8 851) ჰქონდათ. რომ არა ბოლო წლების ჩავარდნა, კობი ამ სტატისტიკურ კატეგორიაში ლიდერი გახდებოდა.

ქულები

ბრაიანტმა ყველა დროის ბომბარდირთა სიაში შარშან გაუსწრო **მაიკლ ჯორდანს** და მესამე ადგილზე გადავიდა. კარიერა მან 33 643 ქულით დაასრულა. ეს საუკეთესო შედეგია უკანა ხაზის მოთამაშეებს შორის, მაგრამ ვერ დაეწია ორ „მაღალს“ - აბდულ-ჯაბარსა (38 387) და **კარლ მელოუნს** (36 928).

რაც შეეხება პლეი ოფს, აქაც „ლეიკერსის“ მცველი მესამე ადგილზეა 5 640 ქულით და ჩამორჩება მხოლოდ ჯორდანს (5 987) და აბდულ-ჯაბარს (5 762). ამ ტრიოს ლებრონ ჯეიმსის უნდა ეშინოდეს, რომელსაც 5042 ქულა აქვს პლეი ოფში და შესანიშნავი შესაძლებლობა გააჩნია, უკვე ერთ ან ორ წელიწადში გადაწეროს ისტორია.

თამაშიდან სროლები

საინტერესო ფაქტია - კობის უფრო ნაკლები ზუსტი ტყორცნა (11 719) აქვს, ვიდრე ჯორდანს (12 192), მაგრამ უფრო შედეგიანი იყო კარიერაში. ბუნებრივია, ეს აიხსნება უფრო მეტი სამქულიანის რაოდენობით. თამაშიდან ზუსტი სროლების რაოდენობით, კობის ასევე უსწრებენ აბდულ-ჯაბარი, მელოუნი და **უილტ ჩემბერლენი**.

ტყორცნების რეალიზაციის პროცენტით, ბრაიანტი ისტორიაში 250 საუკეთესოს შორისაც ვერ შედის. თუმცა ეს არ არის გასაკვირი, რადგან მიზანს აღწევდა მის მიერ გაშვებული ორქულიანების 47.9 პროცენტი და სამქულიანების 32.9 პროცენტი. ორივე კარგი მაჩვენებელია, მაგრამ, ამასთან, მტკიცდება აზრი იმის შესახებ, რომ კობი დიადი მექულე იყო, მაგრამ არა დიადი სნაიპერი.

პლეი ოფის მატჩებშიც იგივე სურათს ვხედავთ: ბრაიანტი მხოლოდ მეოთხეა ზუსტი სროლების რაოდენობით აბდულ-ჯაბარის, ჯორდანისა და **შაკილ ო'ნილის** შემდეგ (2 014). რაც შეეხება თამაშიდან სროლების რეალიზაციის პროცენტს, პლეი ოფში ის ერთი მეათედით იზრდებოდა: 44.7 - რეგულარულში და 44.8 - პლეი ოფში.

საჯარიმო ტყორცნები

რეალიზაციის პროცენტით, კობი მხოლოდ 84-ე ადგილზეა (83.7 პროცენტი), სამაგიეროდ, მასზე ხშირად საჯარიმოებს ესროდნენ მხოლოდ კარლ და **მოზეს მელოუნები**, ჩემბერლენი და ო'ნილი. რეალიზებული საჯარიმოების მიხედვით კი (8 378), ბრაიანტი მესამე ადგილზეა და უსწრებს უკანა ხაზის ყველა წარმომადგენელს, მათ შორის, მაიკლ ჯორდანს (7 327).

პლეი ოფში კობი მხოლოდ 81.6 პროცენტს იყენებდა, რაც 102-ე შედეგია ისტორიაში. სულ მან 1 617 საჯარიმო შეასრულა და ამ მაჩვენებლით წინ გაუშვა არა მხოლოდ ჯორდანი, მელოუნი, ჩემბერლენი და ო'ნილი, არამედ დანკანი და ლებრონ ჯეიმსი - მეშვიდე ადგილი. ჩაგდებული საჯარიმოების მხრივ, საქმე უკეთ არის: ბრაიანტი (13 20) მეორეა ჯორდანის შემდეგ, მაგრამ წლევანდელ პლეი ოფში მას უნდა გაუსწროს ლებრონმა, რომელსაც 47-ით ნაკლები ცდა აქვს.

მოხსნები

ბრაიანტი არასოდეს ყოფილა ფარქვეშ ბრძოლის დიდი მოყვარული, მიუხედავად ამისა, ამ კატეგორიაში კარიერა მე-100 ადგილზე დაასრულა (7 047) - გაუსწრო ჯორდანს (6 672), **მეჯიქ ჯონსონსა** (6 559) და სხვა დიად მცველებს. საკუთარ ფარზე მოხსენების რიცხვით, მას 46-ე შედეგი აქვს, შეტევაში მოხსნებით კი რამდენიმე წელიწადი შეინარჩუნებს ადგილს TOP200-ში.

პლეი ოფში მაჩვენებლები უფრო შთამბეჭდავია: 36-ე ადგილი საერთო რაოდენობით (1 119), 21-ე ადგილი - საკუთარ ფარზე მოხსნებით (889) და 57-ე - შეტევაში მოხსნებით (230).

შედეგიანი გადაცემები

გავრცელებული აზრია, რომ ბრაიანტი ლიგის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ეგოისტი კალათბურთელი იყო, თუმცა სტატისტიკური მონაცემები საპირისპიროს ამტკიცებენ: 6 306 შედეგიანი პასით, ის 29-ე ადგილს იკავებს ყველა დროის საუკეთესო ასისტენტებს შორის და უსწრებს სახელოვან გამთამაშებლებს - **ბაირონ დევისს**, **ნიკ ვან ექსელსს**, **ჩონსი ბილაპს**...

პლეი ოფში კიდევ უფრო საინტერესო სურათს ვხედავთ - იქ კობი მეცხრე ადგილზეა (1 040) და ჩამორჩება მხოლოდ დიად ვარსკვლავებს: ჯონსონს, ჯეიმსს, **ტონი პარკერს**, **ჯონ სტოქტონს**, **ჯეისონ კიდს**, **ლარი ბერდს**, **სტივ ნეშსა** და **სკოტი პიპენს**.

ჩაჭრები

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ბრაიანტი ცხრაჯერ შეიყვანეს საუკეთესო დამცველთა სიმბოლურ ნაკრებში, ჩაჭრებში კარგი თამაშია. მცველი ამ კატეგორიაში მე-14 ადგილით დაიკვეხნის (1 944). თან კობი არა მხოლოდ რეგულარულში ყოჩაღობდა, არამედ პლეი ოფშიც, სადაც მეხუთე ადგილი აქვს (310) პიპენის, ჯორდანის, ჯონსონისა და სტოქტონის შემდეგ. თუმცა, სულ მალე, მას აქაც მოუწევს ერთი საფეხურით უკან დახევა, რადგან ლებრონ ჯეიმსს 305 ჩაჭრა აქვს.

დაფარებები

180-ე ადგილი ყველა დროის საუკეთესო დამფარებლებს შორის (640) - ცუდი შედეგი არ არის შემტევი მცველისთვის. რა თქმა უნდა, ამ მაჩვენებელზე გავლენა იქონია იმან, რომ კობიმ კარიერაში 20 სეზონის თამაში მოასწრო, თორემ ბოლო 11 სეზონის განმავლობაში, ის საშუალოდ 0.5 ბლოკზე მეტს ვერ აგროვებდა.

პლეი ოფში ბრაიანტს უკეთესო შედეგი აქვს - 38-ე ადგილი (144). ის უსწრებს მელოუნს და სულ მცირედით ჩამორჩება ბერდს.

შეცდომები

კობის უდიდესი როლი ენიჭებოდა „ლეიკერსის“ შეტევაში, ამიტომაც ყველაზე ხშირად ფლობდა ბურთს და კოლოსალურ ზეწოლას გრძნობდა მეტოქეების მხრიდან. ეს ორი ფაქტორი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ კარიერაში 4 010 შეცდომა დაეშვა და მესამე ადგილი დაეკავებინა ამ კატეგორიაში - კობიზე უფრო ხშირად ბურთს კარგავდნენ მხოლოდ მელოუნი (4 524) და სტოქტონი (4 244).

ანალოგიურ შედეგს მიაღწია მან პლეი ოფში (მესამე ადგილი, 647 დაკარგვა) და წინ გაუშვა ჯონსონი (696) და ო'ნილი (649).

კობი ლედ ზეპელინზე მაღლა

ჰაერი ბრაიანტის ბოლო მატჩიდან 15 ათასი ღირს

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ლეგენდამ **კობი ბრაიანტმა** საშუალება მისცა საკუთარი კლუბის საშინაო არენას - „სტეიპლს ცენტრს“ გაეყიდა 1.2 მილიონი დოლარის ღირებულების სხვადასხვა ატრიბუტიკა. ეს კობის კარიერაში ბოლო მატჩის დროს მოხდა. და ეს აბსოლუტური რეკორდია მსოფლიოს ყველა არენისთვის.

როგორც ირკვევა, წინა რეკორდი 2007 წლის 10 დეკემბერს, ლონდონის „02 არენაზე“ როკ-ჯგუფ Led Zeppelin-ის კონცერტისას დამყარდა. მაშინ რეალიზებული ატრიბუტიკის სრულმა ღირებულებამ ერთი მილიონი დოლარი შეადგინა.

■ ■ ■

ბრაიანტის უკანასკნელი მატჩიდან მეორე ინფორმაცია შემდეგში მდგომარეობს: ინტერნეტ-აუქციონი ebay ყიდის პოლიეთილენის პაკეტს, რომელშიც მოთავსებულია ჰაერი კობის ბოლო შეხვედრიდან.

ამ უცნაური ლოტის საწყისი ფასი ერთი დოლარი იყო, მაგრამ სამი დღის განმავლობაში, „სტეიპლ ცენტრის“ დარბაზის ჰაერისთვის ბრძოლაში ასამდე მყიდველი ჩაერთო და ლოტის ფასმა 15 ათას დოლარს მიაღწია. საბოლოო თანხის 25 პროცენტი საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ISSN 2233-3827
9 772233 382000

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს „გამომცემლობა ლელო“
გამოიცემა ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა

დაიბეჭდა სტამბა კოლორში

საპატიო რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე
საკონტაქტო ტელეფონი რედაქციაში
238 84 44; 599 55 48 97

მთავარი რედაქტორი გია თვალაბეიშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28);** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-2015), გია თვალაბეიშვილი (2015-დან)**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ***ელფოსტა: leloltd@gmail.com;*** მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:10 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**

ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (**რედაქცია**). ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70; გაზეთის გამოწერა: 238 26 73.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ანგ GE19CR0120007000043608**